ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 31 ივლისი 1999 №144 (917) | ფასი 50 თეთრი

3

## ყაველაშვილი ღია კარს აერიდა

შრომისმოყვარე და უტყვმა ქართველმა „გრასჰოპერს" და „ბაზელს" „ციურიხი" ამჯობინა

5

## არსენალი ანელკას დაემუქრა

ვენგერმა თქვა, ანელკას ჩემს გუნდში აღარ ვათამაშებო

6

## რონალდო ფლამენგოში მიდის



2003 წელს ბრაზილიელი ინტერს მიატოვებს და სამშობლოში დაბრუნდება

12

## სტეფანიამ ლარი ბერდს აწყენინა

ქართველი ცენტრი ბოსტონის საზაფხულო ლიგაში კვლავაც ყოჩაღობს

14

## ჰოკენჰაიმი ჰაკინენ-ირვინისთვის

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

ალილო და ხვალე გერმანიის დიდ პრიზზე

# ფრანგები არ ძუნწობენ
## ორი მატჩი — ცხრა გოლი

**ბორდო 3:2 ბასტია**

1:0 ალიკარტე (34), 1:1 ნიი (57), 1:2 პეტერსენი (69პ), 2:2 ლასლანდი (81), 3:2 მიკუ (85)

**მონაკო 2:2 სენტ ეტიენი**

1:0 სიმონე (11), 1:1 პედრონი (18), 2:1 ტრეზეგე (29), 2:2 ალოიზიო (52)

მსოფლიოს ჩემპიონთა ჩემპიონატი ძალიან საინტერესოდ დაიწყო — პირველ ორ მატჩში ერთბაშად ცხრა გოლი გავიდა. ესეც არ იყოს, ქვეყნის ჩემპიონი „ბორდო" 81-ე წუთამდე 1:2 აგებდა, არანაკლებ სახელოვანმა „მონაკომ" კი შინ, ლუი II-ზე წლევანდელი დებიუტანტი „სენტ ეტიენი" ვერ დაამარცხა

REUTERS მონაკოდან

მონაკო — სენტ ეტიენი 2:2. მასპინძელთა იტალიელი თავდამსხმელის მარკო სიმონეს ამ შეტევას მისივე პირველი გოლი მოჰყვა

XXIV European swimming championships

# მცურავი ჰოლანდიელის სასწაული

21 წლის ჰოლანდიელმა პიტერ ვან დერ ჰოოგენბანდმა სტამბოლში, საწყლოსნო სახეობათა ევროპის ჩემპიონატზე 5 დღეში 4 ოქროს მედალი მოიპოვა და ასე თუ გააგრძელა, კიდევ სამის დამატებაც შეუძლია. ვან დერ ჰოოგენბანდს აქამდე ისეთი არაფერი გაუკეთებია, ცურვის ისტორიაში შესულიყო, ახლა კი, ისტორიას ვინ ჩივის, მალე იქნებ გინესის წიგნიც არავინ დააყვედროს. ყველაფერი ორშაბათს დაიწყო...

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი



REUTERS სტოკჰოლმიდან

პიტერ ვან დერ ჰოოგენბანდი

# იაშვილის ორი კვირაც

**ბუნდესლიგის** „ფრაიბურგი“ რომ სეზონისთვის გამალებულ სამზადისშია, გუშინდელ „სარბიელში“ ალბათ, შეიტყობდით კიდეც.

„ფრაიბურგი“ ტუნისური შეკრებიდან დაბრუნდა და გუშინ საკუთარ „დრაიზამშტადიონზე“ კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი გამართა. მეტოქედ ავსტრიის ჩემპიონი, გრაცის „შტურმი“ ჰყავდა. ფოლკერ ფინკეს ბიჭებმა ავსტრიელებს არაფერი დაუთმეს და შეხვედრაც ფრედ 2:2 მორჩა.

არ დაუთმესო, რადგან „ფრაიბურგი“ მატჩს 0:1 აგებდა, მეორე ნახევარში კი ბენ სლიმანმა და ბაიამ „შტურმს“ ორი გოლი გაუტანეს, ორჯერვე ასისტენტობა ჩვენებურმა ლევან კობიაშვილმა გასწია, ბოლოს კი როდესაც მსაჯმა შეხვედრას 4 წუთი დაამატა, გრაცელებს მაშინ გაუთანაბრებიათ.

გუშინ „სარბიელი“ ალექსანდრე იაშვილს გერმანიაში დაუკავშირდა, რა თქმა უნდა, იაშკას თავიდანვე მის ჯანმრთელობაზე ეკითხეთ, ფეხი რომ მოურჩა ის კი ვიცოდით, მაგრამ ვიფიქრეთ იქნებ „შტურმთან“ ითამაშა კიდეცო:

— არა მიშავს, ტრავმა საბოლოოდ მოვიშუშე და ახლა ცალკე პროგრამით, ინდივიდუალურად ვვარჯიშობ — გვითხრა იაშვილმა.

— მე არ მითამაშია, ექიმებმა გუნდთან ერთად ვარჯიში ამიკრძალეს, ორთაბრძოლებს უნდა ერიდოო. „ფრაიბურგთან“ ვარჯიშს ალბათ, ერთ-ორ კვირაში სრული დატვირთვით დავიწყებ, მეც ვფრთხილობ, ტრავმამ ისევ რომ არ შემახსენოს თავი.

*— კობიაშვილის პასებით კი გაიტანეს გოლები, მაგრამ, ლევანი როგორაა, გავიგეთ ტუნისში ყოფნისას მსუბუქად დაშავდაო...*

— ისეთი არაფერი არ სჭირდა, ფეხი გადაიბრუნა და ახლა კარგადაა, როგორც გითხარით, „შტურმთან“ ითამაშა კიდეც.

*— „შტურმთან“ ცქიტიშვილმაც ითამაშა?*

— დიახ, ფინკემ ჩვეულ ადგილას, მარცხენა ფლანგზე გაამწესა.

*— თავად ფინკე რას გეუბნებათ, კმაყოფილია გუნდის მომზადებით?*

— ალბათ, კი, ბიჭები ვარჯიშებზე თავს არ ზოგავენ, თან ფინკეს ჩვეული ხუმრობებიც არ ავიწყდება. ახლა ერთი ფეხბურთელიც შეგვემატა — საია, გერმანელია, „ფრაიბურგში“ ადრე 8 წლის მანძილზე თამაშობდა, მერე კი „ჰამბურგში“ და „კარლსრუეშიც“ იყო, ერთი სიტყვით, გამოცდილი კია, მაგრამ როგორი ფეხბურთელია, გამოჩნდება.

**გიორგი ვაშაკიძე**



ალექსანდრე იაშვილი

ბაბრი კეთილაძის ფოტო

# ლანტანა ბოლოდან იწყებს

**დღეს** ესტონეთის ჩემპიონატის მეორე ეტაპი იწყება. უეფას თასზე ქუთაისის „ტორპედოს“ მეტოქე ტალინის „ლანტანა“ კი პირველ მატჩს კვირას „ვმკ ტალინთან“ გამართავს.

პირველი ეტაპის ბოლო ხუთ ტურში „ლანტანამ“ წაუგებლად ითამაშა. თუმცა, ესეცაა, ბოლო სამი მატჩი 1:1 მორჩა.

მეთოთხმეტე ტურის შეხვედრაში მესამეადგილოსან ვილიანდის „ტულევიკთან“ „ლანტანამ“ 16 წლის პაველ აპალინსკის გოლით გაათანაბრა ანგარიში. ტულევიკელები შინ მეექვსე წუთიდან იგებდნენ და აპალინსკიმ ესტონურ ლიგაში სადებიუტო ბურთი 65-ე წუთზე გაიტანა.

ეტაპებს შორის შესვენებისას ტალინელთა შემადგენლობაში მცირედი ცვლილებები მოხდა, რადგან ესტონეთის ჩემპიონატში მონაწილეებს სეზონის ბოლომდე არა აქვთ სხვა გუნდიდან მოთამაშის მიწვევის უფლება. „ლანტანამ“ თავისივე დუბლიდან გამოცდილი მცველი ვიაჩესლავ კულაკოვი დაიმატა.

კულაკოვი 1973 წლის 1 ივლისსაა დაბადებული და 1992-93 წლების სეზონში „ნორმას“ შემადგენლობაში ესტონეთის ჩემპიონიც იყო.

„ლანტანას“ დაუბრუნდა მოსკოვურ ცსკა-ში განათხოვრებული ანდრეი კრასნოპიოროვიც. ტალინელთა დაცვის ბურჯმა არმიულ კლუბში ოდენ 35 წუთი, მის ფარმკლუბში კი ერთი მატჩი ითამაშა და რაკი ცსკა-ს თავკაც ოლეგ დოლმატოვს თავი ვერ მოაწონა, შინ დაბრუნება მოუწია.

„ლანტანა“ მეორე ეტაპის განახლებას ბოლო, მეექვსე ადგილზე, განახევრებული, 7 ქულით ხვდება. მეშვიდე და მერვე გუნდი ლიგაში დასარჩენად თამაშს მაჩანჩალათა ქვეჯგუფში გააგრძელებენ.

**ვახტანგ გზიძაძე**

# კოლხური იბერიული რემატჩი ფოთში

**ფეხბურთელების** უკეთ შეთამაშებისთვის ამხანაგური მატჩები ხომ მისწრებაა. საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის გუნდებიც ამიტომ არ ზოგავენ თავს და თამაშებსაც ერთიმეორის მიყოლებით ატარებენ.

გუშინ ფოთში სწორედ ასეთი მატჩი გაიმართა. „კოლხეთი“ და სამტრედიის „იბერია“ კვლავ „ფაზისზე“ გაეჯიბრნენ ერთმანეთს. ეს გუნდები ამ რამდენიმე დღის წინათაც შეხვდნენ. მატჩი „კოლხეთმა“ 3:0 მოიგო. გუშინაც ფოთელებმა იმარჯვეს, ამჯერად 3:1.

იბერიელთა თავკაცმა სოსო ფრუიძემ დიდი ჯიხაიშის ბაზაზე ერთსაათიანი წვრთნის შემდეგ ფეხბურთელები ავტობუსში ჩასვა და ფოთის გზას გაუყენა. დილით ნავარჯიშევმა სამტრედიელებმა „ფაზისზე“ კი დათმეს შეხვედრა, მაგრამ ფრუიძე ამბობს, ახლა ბევრად უკეთესი გუნდი მყავს, ვიდრე ერთი კვირის წინათო. ფეხბურთელებიც ზედიზედ ორი საკონტროლო თურმე მწვრთნელის მითითებებს, დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს.

„იბერია“ პირველი ტაიმის შემდეგ „კოლხეთს“ ახალწვეული ხურციძის გოლით 1:0 უგებდა, მაგრამ შემდეგ მეორე ნახევარში ზაზა ინიაშვილის, გიორგი კრასოვკისა და ზაველ ღაღანიძის ძალისხმევას ვეღარ გაუძლო და გიორგი ნიკურაძემ სამი უპასუხო ბურთიც გაუშვა. მატჩი ამხანაგური იყო და, რა თქმა უნდა, კორექტულადაც წარიმართა. ამაზე მხოლოდ ერთი ყვითელი ბარათიც მეტყველებს, რომელიც „კოლხეთის“ ყოფილმა გორდელმა მამუკა მელაძემ მიიღო.

ზემოთ ახალწვეულები ვახსენე და ბარემ იმაზეც გეტყვით, რომ სამტრედიელებმა ორი ახალი ფეხბურთელი შეიმატეს — ყოფილი სამგურალელი მალხაზ ჯინჭარაძე და აკადემიელი ზურაბ მეტრეველი ამიერიდან „იბერიაში“ ითამაშებენ. „კოლხეთთან“ ითამაშა აგრეთვე გია ძნელაძემ. ალბათ, გემახსოვრებათ, „კაუჩუკა“ ბოლოს ბოლნისის „სიონში“ იყო და გასული სეზონის პირველი წრის მერე რუსეთში აპირებდა ბედის საძებრად წასვლას, მაგრამ, როგორც ჩანს, ჯერ-ჯერობით არაფერი გამოვიდა. ფრუიძის თქმით, ძნელაძეს კვლავაც რუსეთში სურს თამაში, „იბერიაში“ მხოლოდ ფორმის აღსადგენად ვარჯიშობს.

ისე, არაა გამორიცხული, თუ ფრუიძემ დაიყაბულა, „კაუჩუკა“ სამტრედიაში დარჩეს. იბერიელებს ყოფილი თანაგუნდელის წინააღმდეგაც მოუხდათ პაექრობა.

ალბათ, მიხვდით, დავით ხუჭუა ხომ „იბერიაში“ თამაშობდა ახლახან საკუთარი სურვილით მივიდა „კოლხეთში“. სოსო ფრუიძეს რომ დავეკითხეთ, ფოთელთაგან გოლები ვინ გაგიტანესო, მწვრთნელმა ხუმრობით გვითხრა, არ მახსოვს, მაგრამ ის კი დანამდვილებით ვიცი, ხუჭუას არ გაუტანიაო.

სამტრედიელებმა „კოლხეთთან“ ასეთი შემადგენლობით ითამაშეს:

*იბერია: ვარდანიძე (ნიკურაძე), ძნელაძე, გელაშვილი (მიქელთაძე), ბიწაძე, გეგეშიძე (რ. ცომაია), გ. ნიკოლეიშვილი, მ. ჯინჭარაძე, შველიძე, ზ. მეტრეველი (ნ. გიორგაძე), ხურციძე (ივეჩიანი), გ. ლურსმანაშვილი.*

ახლა სამტრედიელებს მორიგი ამხანაგური მატჩი 2 აგვისტოსთვის აქვთ დაგეგმილი, წყალტუბოს „სამგურალთან“.

**გიორგი ვაშაკიძე**

# ხოგელეგი მეგრეგის წინააღმდეგ

**ეროვნული** ჩემპიონატის დაწყებამდე სულ რაღაც ორი კვირაა დარჩენილი და გუნდებიც გამალებით ემზადებიან ახალი სეზონისთვის. უმეტესობამ უკვე კარგა ხანია, ვარჯიში დაიწყო, დროგამოშვებით კი საკონტროლო მატჩებსაც მართავენ. იმ 16 გუნდს შორის, რომელიც ეროვნული ჩემპიონატის პირველ ლიგაში მონაწილეობენ, ხობის „კოლხეთი“ იყო ერთადერთი, რომელსაც ახალი სეზონისთვის მზადება ჯერ არ დაეწყო. და, აჰა, როგორც იქნა, ნაგვიანევად, მაგრამ რამდენიმე დღის წინ ხობელები მაინც შეუდგნენ ვარჯიშს.

როინ ონიანი

ლევან გვაზავა

დებიუტანტი კლუბი, რომელმაც შარშანდელი სეზონი ყოველგვარი პრობლემების გარეშე ჩაატარა და პირველი ლიგის საგზური ადვილად მოიპოვა, მთლად სახარბიელო მდგომარეობაში რომ არაა, ცხადია. დღეს „კოლხეთში“, ფაქტობრივად, შარშანდელი შემადგენლობაა. იყო ლაპარაკი, როინ ონიანი და ლევან გვაზავა გუნდს ტოვებენო. ონიანი მართლაც გაემგზავრა მოლდოვაში, ოტაჩის „ნისტრუში“ გასასინჯად, მაგრამ, ეტყობა, მისით აღარ დაინტერესდნენ და არაა გამორიცხული, მან კვლავ ხობში ითამაშოს. ლევან გვაზავას საკითხი უფრო იოლად გადასაწყვეტი გამოდგა. იგი კარგა ხანია, ავადმყოფობს, რამაც გუნდიდან წასვლას ხელი შეუშალა. გამოჯანმრთელებისთანავე ხობელებთან დაიწყებს ვარჯიშს, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ „კოლხეთმა“ შარშანდელი შემადგენლობა მთლიანად შეინარჩუნა, პირველ ლიგაში მხოლოდ ამ ფეხბურთელებზე დაყრდნობა ძნელია. თუ გუნდს რამდენიმე ახალი მოთამაშე არ შეემატა, ძალიან გაუჭირდება. ეს კარგად ესმით გუნდის ხელმძღვანელებსაც, მაგრამ უფინანსობას უჩივიან და ახალი ფეხბურთელების მიწვევა უძნელდებათ. მათ მაინც მოახერხეს და რამდენიმე მოთამაშე მიიწვიეს გასასინჯად. თუ კლუბის ვიცე-პრეზიდენტ ლევან ლემონჯავას დავერწმუნებით, მხოლოდ ისინჯებიან და გუნდში დატოვებენ თუ არა, ჯერჯერობით უცნობია.

სწორედ ამ ახალწვეულებთან ერთად ესტუმრა ხობის „კოლხეთი“ ზუგდიდს და დღეგამოშვებით ორი საკონტროლო მატჩი გამართა. მეტოქედ მასსავით დებიუტანტი, ოღონდ მეორელიგელი „მეგრი“ შეიგულა.

„მეგრი“ ის გუნდია, რომელიც ამ რამდენიმე თვის წინ დაარსდა და წლეულს პირველად მიიღებს მონაწილეობას საქართველოს ჩემპიონატში. თვით კლუბი კი ახალია, მაგრამ მოთამაშეებს დებიუტანტებს ვერ უწოდებ. „მეგრის“ წლევანდელი შემადგენლობა, ფაქტობრივად, შარშანდელი „ოდიშისაა“, იმ „ოდიშის“, რომელიც დღეს უკვე აღარ არსებობს.

ვახტანგ ნანავას ყოფილი გუნდი უკვე დაშლილია და, შესაბამისად, აღარც ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას. სწორედ „ოდიშის“ დაშლას დაემთხვა „მეგრის“ ჩამოყალიბება და ფეხბურთელებს, რომლებიც ბედის ანაბარად იყვნენ მიტოვებულნი, პატრონი გამოუჩნდათ, ახალ კლუბში ჩაირიცხნენ. „მეგრის“ მთავარი მწვრთნელი ბესიკ შეროზიაა, რომელიც ასევე „ოდიშში“ მუშაობდა. მისი ხელმძღვანელობით გუნდი უკვე ორი თვეა, ვარჯიშობს. „მეგრი“ ამ რამდენიმე დღის წინ სამტრედიაში „იბერიას“ ესტუმრა, კარგადაც გაისარჯნენ და ფრედ 1:1 დაასრულეს შეხვედრა.

და ხობელებმაც სწორედ ამ მეზობელთან გადაწყვიტეს ძალების მოსინჯვა. პირველი მატჩი მთლიანად მასპინძლების უპირატესობით წარიმართა და 4:2 მოიგეს. თუმცა მატჩის მსვლელობისას ხობელები 0:4 აგებდნენ და მხოლოდ ბოლო წუთებზე შეძლეს ორი ბურთის გაქვითვა. ამ მატჩში ექსპერიმენტული შემადგენლობა გვყავდა წარმოდგენილი და ასე ცუდად ამიტომ ვითამაშეთო — აღნიშნა ხობელთა თავკაცმა ფრიდონ გოცირიძემ. მეორე თამაში სულ სხვა სცენარით წარიმართა და უფრო დაძაბული გამოდგა. „კოლხეთი“ უფრო შეკრული, მობილურ გუნდად მოგვევლინა და მატჩის ბოლო წუთზე გატანილი გოლით 2:1 მოიგო. უახლოეს დღეებში ხობელებს კიდევ რამდენიმე შეხვედრა აქვთ დაგეგმილი. 1 აგვისტოს ასევე „დებიუტანტ“ ზუგდიდურ კლუბ „ლაზიკას“ ხობში უმასპინძლებენ. რამდენიმე დღეში „სამგურალს“ შეხვდებიან, ბოლოს კი კვლავ „მეგრთან“ მოუწევთ დაპირისპირება. 3 აგვისტოს ხობელებმა ფეხბურთის ფედერაციაში განაცხადი უნდა წარადგინონ. სწორედ ამ საკითხზე გვესაუბრა ლევან ლემონჯავა:

— ის მოთხოვნები, რომელიც ფედერაციამ წამოაყენა, ფაქტობრივად, შევასრულეთ. სტადიონი რემონტდება. საწვრო გადასახადი თანხაც გვაქვს. 200 ათასი დოლარის გარანტიასაც ვიძლევით. ფეხბურთელებთან კონტრაქტებს ამ დღეებში გავაფორმებთ. ასე რომ, ფედერაციას საპრეტენზიო არაფერი ექნება. უბრალოდ, ჩვენ ჩვენი გაჭირვება გვაქვს. უკმაყოფილონი ვართ ფეხბურთელების მომზადების დონით. ახლების დამატებას ვეღარ ვახერხებთ. ამის გამო ამ სეზონში როგორ ვიასპარეზებთ, არ ვიცი. არადა, ჩემპიონატი უკვე მოახლოვდა. 14 აგვისტოს ფოთს ესტუმრობთ და მოუმზადებელი გუნდით ჩასვლა როგორია, კარგად მოგეხსენებათ.

**თენგიზ ძოჩუა ზუგდიდიდან**

# არსენალი ნატო ჩაიხუტა

**დაშლის** პირას მდგომმა თბილისის „არსენალის“ ხელმძღვანელობამ თავდაცვის სამინისტროს დახმარებით საჭირო ფინანსები გამონახა და კლუბიც გადარჩა.

არმიელებმა XI ჩემპიონატისთვის მზადება გვიან, მაგრამ მაინც დაიწყეს. აი ცოტა ხნის წინ სავალალო მდგომარეობაში მყოფი გუნდი თუ უცხოურ შეკრებაზე წასვლას მოახერხებდა, ამას ნამდვილად არავინ ელოდა.

ასეა თუ ისე, „არსენალი“ თურქეთში, კერძოდ ტრაპიზონში, 19 ივლისს გაემგზავრა და იქ გადის წვრთნას. გუნდი მეკარე თემურ ჩლაიძემ, მცველმა ვახტანგ გველესიანმა და თავდამსხმელმა ზაზა ზირაქიშვილმა დატოვეს. სამაგიეროდ, არმიელებმა ყოფილი თსუელი ბორის გონჩაროვი დაიმატეს. რამდენიმე ახალგაზრდა „არსენალი 2“-დანაც აიყვანეს.

აქამდეც გვინდოდა არმიელთა შესახებ მკითხველისთვის ინფორმაცია მიგვეწოდებინა, მაგრამ ვერ შევძელით, რადგან „არსენალი“ ტრაპიზონში ნატოს ჯარების ნაწილში იმყოფება და იქ ემზადება. ისე, უცნაურია, სად ფეხბურთელები და სად ჯარისკაცები.

ერთი სიტყვით, დილემის წინაშე აღმოვჩნდით. ნატოს ჯარების შტაბში დარეკვა თითქოს შეუძლებელი იყო. თავად გუნდში კი მობილური ტელეფონი მხოლოდ მწვრთნელ დავით ჩახავას წაუღია, მაგრამ რად გინდა, საერთაშორისო კოდი არ ჰქონია ჩართული.

ჩვენც აქ დარჩენილ გუნდის წარმომადგენლებთან ვცადეთ შეხვიანება. ბოლოს საწადელს მივაღწიეთ და „არსენალი 2“-ის მთავარ მწვრთნელ თენგიზ მონასელიძეს დავუკავშირდით. ბატონმა თენგიზმაც ეს გვითხრა:

— ალბათ, იცით, „არსენალი“ დაახლოებით 10 დღეა, რაც თურქეთშია, ტრაპიზონში, ნატოს ჯარების ნაწილში ემზადებიან. სამწუხაროდ, თავად ვერ ვუკავშირდებით, თვითონვე დაგვირეკეს. თავდამსხმელმა დავით ტარიელაშვილმა გვითხრა, კარგად ვართ, ნაყოფიერად ვემზადებით და, ალბათ, ორშაბათს ან სამშაბათს ჩამოვალთო, ჯერ-ჯერობით ამის მეტი არაფერი ვიცით.

**— ტარიელაშვილს თამაშების შესახებაც ხომ არ უთქვამს, საკონტროლო მატჩი ხომ არ ჩაუტარებიათ?**

— მხოლოდ ერთხელ ითამაშეს, თურქეთის მეორე ლიგის გუნდს შეხვდნენ და 1:0 მოიგეს, სამწუხაროდ, გუნდის სახელწოდება არ ვიცით.

**— ტარიელაშვილს არ უთქვამს?**

— ვერ გაიხსენა, მხოლოდ ის გვითხრა, რაც ზემოთ მოგახსენეთ.

**გიორგი ვაშაძიძე**

**დავით ტარიელაშვილი**

**ჯერ კიდევ გრასჰოპერელი მიხეილ ყაველაშვილი შარშანდელ სეზონში „ბაზელთან“ თამაშისას**

სარგებელის არქივიდან

# ყაველაშვილმა ჰეჯის კარი მიუხურა

## ციურიხელები ამ ტრანსფერს ჯამარაულს უმადლიან

**„მოხარული** ვარ, რომ „ციურიხში“ გადმოვედი. ჩემი უდიდესი სურვილია, ამ კლუბთან ერთად რომელიმე, თუნდაც ერთი, პრესტიჟული ჯილდო მოვიპოვო“ — განუცხადა მიხეილ ყაველაშვილმა გუშინწინ შვეიცარიულ კლუბთან დადებული სამწლიანი კონტრაქტის შემდეგ იქაურ ჟურნალისტებს.

მაშ ასე, საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელმა მიხეილ ყაველაშვილმა სასურველი კლუბი იპოვა და უგუნდოდ ყოფნის ერთთვიან პერიოდსაც წერტილი დაუსვა.

„ძალიან კმაყოფილნი ვართ შენაძენით. „ციურიხში“ ახალი მაღალი კლასის თავდამსხმელი გამოჩნდა, რაც გუნდზე ნამდვილად დადებითად იმოქმედებს. იმედია, ყაველაშვილის მოსვლა გუნდის აღმასვლის საწინდარი გახდება“ — ეს სიტყვები კი კლუბის მთავარ მწვრთნელ რაიმონდო პონტეს ეკუთვნის. „ციურიხის“ პრეზიდენტი სვენ ჰოტციც გახარებულია: „სეზონის წინ იმდენი ცუდი რამ გადაგვხვდა, აღარც კი მეგონა, ყაველაშვილს თუ დავიყოლიებდით“. მართლაც გასული სეზონის დასრულების შემდეგ „ციურიხმა“ სამი მნიშვნელოვანი ტრანსფერი წამოიწყო, მაგრამ სამივე ჩაუვარდა. ჯერ იყო და კლუბთან კონტრაქტდასრულებულ მარკ ჰოდელს შესთავაზეს მისი განახლება, მაგრამ შვეიცარიის ნაკრების ექსფეხბურთელმა უარი განაცხადა და მეორე ციურიხულ გუნდ „გრასჰოპერში“ გადავიდა. შემდეგ პონტემ და ჰოტცმა დორტმუნდის „ბორუსიას“ თავდამსხმელ შტეფან შაპუიზასთან სცადეს საქმის დაჭერა, თუმც ისიც „გრასჰოპერში“ აღმოჩნდა. მესამე ვარიანტად ამ კლუბიდან უდისციპლინობისათვის გამოგდებული კუბილაი თურქილმაზი ჰყავდათ შეგულებული. საბოლოოდ თურქული წარმოშობის ამ ფეხბურთელმა „ლუცერნში“ თამაში ირჩია. ბოლოს კი ყაველაშვილი...

მიხეილ ყაველაშვილი ბოლო ხანს თბილისში იმყოფებოდა, შვეიცარიას კი კვირას ეწვია. მას ორი იქაური კლუბი — „ციურიხი“ და „ბაზელი“ — იწვევდა. „ბაზელის“ წინადადება ქართველმა ფეხბურთელმა თავიდანვე იუარა, თუმცა კლუბის პრეზიდენტი რენე იეჯი მას მეორედ დაუკავშირდა და ბევრად უფრო კარგი პირობები შესთავაზა, ვიდრე პირველად. მიუხედავად ამისა, ყაველაშვილმა თავდაპირველი გადაწყვეტილება არ შეცვალა.

28 წლის თავდამსხმელის „ციურიხში“ გადასვლის ამბავი ოთხშაბათს, 28 ივლისს, საღამოს გადაწყდა. კლუბის ხელმძღვანელობასთან ყაველაშვილის შეხვედრა წარმატებით დასრულდა. მხარეები ყველა დეტალზე შეთანხმდნენ და ქართველიც თავისი ყოფილი კლუბის — „გრასჰოპერის“ სტადიონ „ჰარდთურმზე“ წავიდა, რათა იქიდან თავისი კუთვნილი ნივთები წამოეღო. სტადიონზე მისული ყაველაშვილი კი შემთხვევით „გრასჰოპერის“ თავკაც როჯერ ჰეჯის გადააწყდა. „ჰეჯიმ ყაველაშვილს „გრასჰოპერის“ კარი გაუღო, მაგრამ ქართველს უკვე ყველაფერი გადაეწყვიტა. მწვრთნელსაც კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, იგივე დაემართა იმავე საღამოს „ბაზელის“ პრეზიდენტ რენე იეჯს“ — წერს შვეიცარიული გაზეთი „ტაგეს ანციაგერი“, რომელიც ჩვენებურს შრომისმოყვარე და უტყვ ფეხბურთელად ახასიათებს.

ხუთშაბათს კი ყველაფერი საბოლოოდ გაცხადდა. თბილისის დროით საღამოს 6 საათზე ყაველაშვილმა „ციურიხთან“ 2002 წლამდე გააფორმა კონტრაქტი. ცოტა ხანში კი ჰეტცის სამუშაო ოთახის მაგიდაზე უკვე მანჩესტერიდან მოსული ფაქსიც იდო. „მანჩესტერ სიტიმ“ (შეგახსენებთ, „გრასჰოპერში“ ყაველაშვილი „სიტის“ განათხოვრებული ჰყავდა) „ციურიხს“ ყაველაშვილის განთავისუფლების ფურცელს წამითაც არ დაუგვიანა.

შვეიცარიული პრესა კი ერთხმად აღიარებს, რომ ამ ტრანსფერის განხორციელებაში გადამწყვეტი როლი მიშას ბავშვობის მეგობარმა გოჩა ჯამარაულმა შეასრულა, რომელიც ასევე „ციურიხში“ ირიცხება. „რომ არა ჯამარაული, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ეს ტრანსფერი არ შედგებოდა“ — აღნიშნავს გაზეთი.

ყაველაშვილი „ციურიხში“ თავის პირველ ოფიციალურ მატჩს, ალბათ, დღეს „ლუცერთან“ ჩაატარებს. „შესაბამის ორგანოებში ყველა საჭირო საბუთი წარვადგინეთ, იმედია, ყაველაშვილს „ლუცერნის“ წინააღმდეგ თამაშში ხელს ვერაფერი შეუშლის“ — თქვა პონტემ.

ისე, არაოფიციალური შეხვედრის ჩატარება „ციურიხის“ შემადგენლობაში მიშამ კონტრაქტის გაფორმების დღესვე მოასწრო. კრინსში მიმდინარე, ოთხთა ტურნირში „ციურიხის“ გარდა, „ლუცერნი“, „კრინსი“ და მიუნხენის „ბაიერნი“ მონაწილეობდნენ. 27 ივლისს ნახევარფინალში ციურიხელები „ლუცერნთან“ 1:2 დამარცხდნენ. გუშინწინ მესამე ადგილისთვის მატჩში კი მეორე ნახევარფინალში დამარცხებულ „ბაიერნს“ შეხვდნენ. ამ შეხვედრაში ორივე გუნდს ბევრი წამყვანი ფეხბურთელი აკლდა. „ციურიხის“ ძირითად შემადგენლობაში პონტემ ჯამარაულიც დააყენა და ყაველაშვილიც. თუმცა პირველი ტაიმის შემდეგ მათთან ერთად დანარჩენი ცხრა ფეხბურთელიც შეცვალა და მინდორზე მეორე შემადგენლობა შეუშვა. მეორე ნახევარში გერმანიის ჩემპიონმა „ციურიხს“ ორი უპასუხო ბურთი გაუტანა და 2:0 გაიმარჯვა. ტურნირი კი „ლუცერნმა“ მოიგო — ფინალში „კრინსი“ 2:1 დაამარცხა.

**ვანო ოძროპირიძე**



გიო ახვლედიანის

# ჩვეულებრივი ბრაზილიელი

## ჯერ ერთი და შეკანასკნელი ბრაზილიელი

ერთი ბრაზილიელი გველირსა და ისიც უბრალოდ ბრაზილიელი და არა ფეხბურთელი ბრაზილიელიო. გაიყვანე ბოსკამპო, გაათრიე აქედანო, ასეთი შეძახილებიც იყო.

ერთმა ენამწარე ანტიბრაზილისტმა ასეც იხუმრა, ჯერ კარგი ბრაზილიელი რა არის და ცუდი რაღა უნდა იყოსო.

ანდრე დე სოუზა არის ჩვენს ქვეყანაში სათამაშოდ ჩამოყვანილი პირველი ბრაზილიელი ფეხბურთელი, თუმცა ევროპაში მოთამაშე ბრაზილიელთა შორის ის ეგებ უკანასკნელიც იყოს თავისი სათამაშო გაქანებით.

სულაც არ მინდა წარმოვიდგინო, რომ ის უკანასკნელი ბრაზილიელია, ქართულ კლუბში რომ ითამაშებს.

ჯერჯერობით უცნობია, დაიტოვებს თუ არა თბილისის „დინამო“ ამ ახმახ, მოუხეშავ და ეგზოტიკურ მოთამაშეს, რომელზე უარესიც, თურმე ნუ იტყვით და „დინამოში“ არასდროს არავინ ყოფილა.

ჟურნალისტის საქმე კვლევაა. ჩვენ ეგრეც ვერ გამოვიკვლიეთ ვინ არის ეს სოუზა. მხოლოდ ის შევიტყვეთ, რომ მეკარე დიდას ძმაკაცი ყოფილა. ვაგინეთ და ვუსტვინეთ. არა გვცოდნია როგორ მოვიდა ამ თამაშამდე ეს ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ფეხბურთელი.

ახლა მახსენდება, როგორ მოვხვდი ინგლისის მეორე დივიზიონის აუტსაიდერთა თამაშზე ერთ პატარა ქალაქში. მასპინძელ გუნდში დებიუტანტი დაეყენებინათ სასტარტოში და ეს თამაშის წინ საგანგებოდ გამოაცხადეს მატჩის წინ. ხალხი ოვაციით შეხვდა ახალბედას, რომელმაც ბევრი იწვალა მაგრამ არაფერი გამოუვიდა, ბოლოს ბურთის მაგივრად მიწას დაჰკრა ჭვინტი და საკაცით გაიტანეს. კომიკური ზორბა ბიჭი იყო, მაგრამ არ აგინებდნენ და არც დაუციინიათ. ტაშითა და შეძახილებით გააცილეს, ერთი კვირაა, რაც ჩვენს ქალაქში ჩამოვიდა და ბურთაობა დაიწყო, ნახე რა მონდომებული იყოო. ჩემი სამხრეთული თვალთახედვით, ამ ბიჭმა თამაში გააფუჭა. იქაური ჟურნალისტებიც გაშაყირებდნენ, ეს რა გარდერობი შემოდგა მოედანზე „გრიმსბი თაუნის“ უფროსობამო, მაგრამ ამ სასაცილო ბიჭს თავისი ახალი გუნდის მაყურებელი ტაშს უკრავდა, მიდი, გაეჩვიეო. ასეთი რაკურსიც არსებობს და დამეთანხმებით, ეს არ არის ველური რაკურსი.

თორემ ოთხშაბათს რომ დე სოუზა სერჟინიოს კარიკატურა იყო, მეც ვიცი. ერთმა ძიაკამა აღნიშნა, სერჟინიო და ჩელეა ერთდროულადო. ორივემდე ძალიან ბევრი აკლდა. თუნდაც იმიტომ, რომ ბრძანდებოდა უვარჯიშებელი, უფორმო და შეუთამაშებელი და ეს ყოველ მის ნაკლოვანებებს კიდევ უფრო აშიშვლებდა, მის საგარაუდო კარგ თვისებებს კი ჩქმალავდა.

მე მაინც დავიტოვებდი — იაფად გამოსვლის ამბავში. რას შევუჩნდი ამ ინგლისს და იქ მისი აგებულების ჯეელები ბოლო თხუთმეტ წუთს თამაშობენ და დაღლილ მცველებს მხარბეჭით ჯაბნიან. ისე კი, ერთი თავური მაინც გამოუვიდა და ასეთი თავური შენგელიას მერე დინამოელებს აღარ დაურტყამთ (აი, ტკივილი კრიზისისა!). და საერთოდ, იმ უცნაურ და მძიმე საღამოს ბევრი რამ იყო ჩვენს სტადიონზე ისეთი, კარგგანცხადა რომ არ გვინახავს. ნებისმიერს შევედავები ამის გამო და ჩვენს გუნდში იმ ჯერჯერობით სახითითო ბრაზილიელის გამოჩენაც ამიტომ არ ჩავთვალე უბედურებად. უარესები გვახსოვს...

# შემოდგომაზე იტალიაში

ნუგზარ ჯიმლიანის ფოტო

ქართველებმა მოყვარულთა ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლა თურქებთან ფრის მერე შეძლეს

უთუოდ გემახსოვრებათ, მაისის შუა რიცხვებში თბილისში უეფას რეგიონთა თასის შესარჩევი მატჩები რომ გაიმართა მოყვარულ ფეხბურთელებს შორის. საქართველოს ნაკრებმა, „თბილისმა“, ჯონი ჯანელიძის თაგკაცობით ფინალურ ეტაპზე როგორ გააღწია, ისიც არ დაგავიწყდებოდათ. რომ არა აზერბაიჯანელი დადაშვილის ოქროს გოლი...

რაც იყო, იყო. ახლა კი საქართველოს მოყვარულ ფეხბურთელთა ნაკრებს უეფას რეგიონთა თასის ფინალური ტურნირი ელის, რომელიც იტალიაში, კერძოდ ვენეციის ოლქის ქალაქ აბანო ტერმეში შემოდგომაზე ჩატარდება. სწორედ აქ გაიმართა 22 ივლისს კენჭისყრა, რომელსაც უეფას სამოყვარულო კომიტეტის თავმჯდომარე, ამავდროულად აღმასკომის წევრი მეტიუ სპრინგერსი უძღვებოდა.

სანამ უშუალოდ წილისყრის შედეგებზე გეტყოდეთ, მანამ ჩემპიონატის საორგანიზაციო სისტემაზე მოგახსენებთ.

უეფას რეგიონთა თასის გათამაშების სისტემა ახლახან შვედეთში გამართული ევროპის 18-წლამდელ ფეხბურთელთა ჩემპიონატის ანალოგიურია — 8 გუნდი ორ ჯგუფში იქნება გადანაწილებული, ქვეჯგუფებში გამარჯვებულნი ფინალში უეფას რეგიონთა თასს გათამაშებენ, მეორე ადგილსნები კი მესამე ადგილისთვის იბრძოლებენ.

უეფას რეგიონთა თასის ფინალური ეტაპის თამაშები 31 ოქტომბრიდან 5 ნოემბრის ჩათვლით იტალიის ჩრდილოეთით მდებარე 12 სხვადასხვა დაბაში გაიმართება, თავად ფინალს კი ვენეციის „სტადიო აბანო ტერმე“ უმასპინძლებს.

კენჭისყრის შედეგად საქართველოს მოყვარული ფეხბურთელები ისრაელის „ისრაელთან“, ბელარუსის „მინსკთან“ და იტალიის „ვენეციასთან“ ერთად მოხვდნენ B ჯგუფში, A ჯგუფში კი თავი ესპანეთის „მადრიდმა“, ჩეხეთის „პრაღამ“, ჰოლანდიის „DISTRICT WEST 66“-მ და პოლონეთის „მალოპოლსკამ“ მოიყარეს.

ქართველები ჯგუფის პირველ მატჩში 31 ოქტომბერს იტალიურ „ვენეციას“ შეხვდებიან, 1 ნოემბერს ებრაულ „ისრაელს“, 3-ში კი ბელარუსულ „მინსკს“. 4 ნოემბერს გუნდები დაისვენებენ, 5 კი მესამე ადგილისა და ფინალის დღეა.

როგორი ძალის გუნდები შეხვდნენ ჯონი ჯანელიძის შეგირდებს, ამაზე ვერაფერს გეტყვით. რა როგორ იქნება და მწვრთნელიც ვის მიენდობა, ამას ტურნირის დაწყებამდე გავიგებთ.

**გიორგი ვაშაკიძე**

# საზაფხულო მიდი-მოდი

| «ა» ზონა | წასულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| **დინამო**<br>*იოჰან ბოსკამი* | ლ.მიქაძე(თბილისი),ა.მუჯირი,ტულუში(ბათუმი),გვარამაძე(კრილია სოვეტოვი, რუსეთი),სოლოლაშვილი(დილა),კვარაცხელია(თბილისი), ქებაძე(ლოკომოტივი) მ.მაჭავარიანი,შ.ჩომახიძე,გოგიჩაიშვილი(?) | ს.გიგაძე,ვ.გიგიაძე(იბერია),გ.შენგელია(სამგურალი),ქიქვეიშვილი,სიჭინავა,ლ. ხომერიკი(ბათუმი), ხიზანეიშვილი(თბილისი),თ. კობიაშვილი,შაშიაშვილი(თსუ),ლომაია(მერანი), გრიშიკაშვილი(ალანია,რუსეთი),დე სოუზა(გუარანი,ბრაზილია), დონდტი(ლოკერენი,ბელგია), ზირაქიშვილი(არსენალი),ბათიაშვილი,ქემოკლიძე, გ.მიქაძე,ო.გველესიანი,აბრამიძე, ზ.ხიზანიშვილი(თბილისი) | ერევანი (სომხეთი) 0:0, ქალაზი (აზერბაიჯანი) 1:1, ტორპედო 3:1, ჰოვარდემი (ჰოლანდია) 1:0,0, რაპიდი (რუმინეთი) 1:2, ჰერაკლესი (ჰოლანდია) 0:3, მბალინ ეიდი (ჰოლანდია) 2:1, კილმარნოკი (შოტლანდია) 2:2, ჰოფჰაიმი (გერმანია) 8:1, მაინცი (გერმანია) 1:4 |
| **ლოკომოტივი**<br>*მურთაზ ხურცილავა* | ზ.არჩვაძე(ბათუმი),დ.მუჯირი(მერიფი,მოლდოვა),კ.გოგოლაძე(ერევანი,სომხეთი), მარღიშვილი, ხორგუაშვილი (დილა), კოტორაშ-ვილი (ვიტ ჯორჯია), გოგობერიშვილი(ანჟი, რუსეთი),დოლბერიძე,დაუშვილი, ზ.ქოიავა,გ. ლუდუშური, ვ. კილასონია შ.ხუჯაძე(?) | ტრაპაიძე,კალანდაძე,მ.ქოშულაძე,შავგულიძე(კოლხეთი),დავითნიძე(მერანი), ასლანიძე,გლუნჩაძე(სამგურალი),ვ.გველესიანი(არსენალი),ბარამიძე,გოლეთიანი (ღარნყალი),ოდიშარია(ცხუმი),არსოთვილი(მერიფი,მოლდოვა),რუსია(ბათუმი), ქებაძე (დინამო) | ტორპედო 0:4, კოლხეთი 4:1, 0:1, იბერია 5:1 |
| **ბათუმი**<br>*ჯანი კარნეგალე* | თორლაშვილი(თამაშში მიატოვა),ქიქვეიშვილი,სიჭინავა,ლ.ხომერიკი(დინამო), ვერემჩუკი (თბილისი), ნადირაძე (გორდა), რუსია (ლოკომოტივი), მაქაცარია, ყულეგჯიშვილი,გუჯაბიძე,ქუტიძე,ფუტკარაძე(?) | ზ. არჩვაძე (ლოკომოტივი), გელა ქორიძე (მერანი), ტულუში, ა. მუჯირი (დინამო), ი.ბახტაძე (კოლეჯი) | ტორპედო 0:4, კოლხეთი 4:1, 0:1, იბერია 5:1 |
| **ვიტ ჯორჯია**<br>*სერგო კოტრიკაძე* | ვ.მაისურაძე(ტორპედო),გ. გვაზავა,ვ.ქუთათელაძე,ერაძე,ღამბაშიძე,გვირგვიშვილი(თსუ),ქემოკლიძე(თბილისი),ჭობონელიძე(კოლხეთი) | კოტორაშვილი(ლოკომოტივი),ბ.ჩიტაია,გ. ჩიტაია(დილა),გ. მეტრეველი(აკადემია),თოდუა(იბერია),ხართიშვილი(დინამო,სტავროპოლი,რუსეთი) | დილა 2:1, 3:4, გორდა 1:1, თსუ 6:4, ცხინვალი 3:2 |
| **არსენალი**<br>*დავით ჩახავა* | ზირაქიშვილი(დინამო),ჩლაიძე(თბილისი),ვ.გველესიანი(ლოკომოტივი) | გონჩაროვი(თსუ),კუპატაძე,ვახტანგ გაგუა,კვირკველია,კოხრეიძე(არსენალი-2) | არსენალი-2 4:2, 1:1 |
| **სამგურალი**<br>*რევაზ ბურკაძე* | აფციაური(ერევანი,სომხეთი),მახვილაძე(ტორპედო),ასლანიძე,გლუნჩაძე(ლოკომოტივი),ახალაძე(თსუ),გ. შენგელია(დინამო),გიორგობიანი(ლუჩი,რუსეთი), გ. ჯანელიძე,დარსაძე(იბერია),ბურნაძე,გ.კილასონია (?) | ჭყონია(სპარტაკი,კოსტრომა,რუსეთი),მ.ძოძუაშვილი(გურია),სადილიანი(სულორი),ი.ხაჭაპურიძე,კაკაბაძე(მარგვეთი),ზ. ფხაკაძე(იბერია),ხელაძე,ესაიაშვილი (თამაში მიტოვებული ჰქონდათ),ბოდოკია,კ. დიდავა , ზურაბიანი(ტორპედო-2), ნებიერიძე (სამგურალი-2) | ტორპედო 0:3 |
| **სიონი**<br>*ხპარტაკ არნეკაძე* | ისიანი(თბილისი),ლ.ამბიძე(მერანი) გუგუნავა(არსენალი), ძნელაძე, დ.ბერიძე, ტყავაძე,ჩალაძე(?) | დ. ჩიგოშვილი(ღარნყალი),ფოფხაძე(ივერია),დათვაძე(ღარნყალი) | ზოოვეტი 2:4 ლოკომოტივი-2 2:0 |
| **თბილისი**<br>*ოთარ კორდალიძე* | ხიზანეიშვილი(დინამო) | კვარაცხელია(დინამო),ბაჯელიძე(მერანი),ლ. მიქაძე(დინამო),ქემოკლიძე(ვიტ ჯორჯია),ვ. ჩხაიძე(გურია), ზამთარაძე,ებრალიძე(თსუ),ისიანი(სიონი),ჩლაიძე (არსენალი),ვერემჩუკი(ბათუმი),ბათიაშვილი ზ.ხიზანიშვილი(დინამო),ლ.ბერიშვილი(სლავია,მოზირი,ბელარუსი),გ.ყიფიანი(პანეტოლიკოსი,საბერძნეთი) | ლოკომოტივი 1:2, 5:1, დილა 1:1, მერანი 2:2, 3:1 |

| «ბ» ზონა | წასულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| **ტორპედო**<br>*დავით ყიფიანი* | კ. მეტრეველი,მაზანიშვილი(ტრანსფერზეარიან) | ვ. მაისურაძე(ვიტ ჯორჯია), მახვილაძე(სამგურალი), გოგიაშვილი (ჟემჩუჟინა, რუსეთი), ამისულაშვილი (კახეთი), გ. სომხიშვილი (ყვარელი), თ. მაისურაძე, მ. ბობოხიძე,თავბერიძე(დინამო 2),კვერნაძე,ვადაჭკორია(ტორპედო 2) | დინამო 1:3, დილა 5:1, ბათუმი 4:0, სამგურალი 3:0, ლიერსი (ბელგია) 1:1, ირონი (რუმინი, ირაელი) 3:2 |
| **კოლხეთი**<br>*გია ტყებუჩავა* | მ.ქოშულაძე,კალანდაძე,ტრაპაიძე,შავგულიძე(ლოკომოტივი),ე.გვასალია(ერევანი,სომხეთი),ამაბუკელი,ჩადუნელი(?) | მერკვლიშვილი (მარგვეთი), რ. ჩხენკელი, ბურჭულაძე, გ. ჭანტურია (კოლხეთი 2), ჯლარკავა,მაკალათია (ფაზისი),დ. გოგოლაძე,სიმონიშვილი(თსუ),ჭობონელიძე (ვიტ ჯორჯია), ხუჭუა (იბერია), კედელაშვილი, მ. მელაძე (გორდა), ინიაშვილი, ფაცურია,ზ.კვეკესკირი(გურია),მგელაძე(მერცხალი) | თბილისი(მოყვარულები) 4:2, 2:1 ცემენტარნიცა (მაკედონია) 2:4, 0:4, ბათუმი 1:4, 1:0, ლოკომოტივი 1:2, 0:2, იბერია 3:0, 3:1 |
| **მერანი**<br>*სერგო გაბელაია* | ლომაია (დინამო), გელა ქორიძე (ბათუმი), ბაჯელიძე (თბილისი), დავითნიძე (ლოკომოტივი),ხუციშვილი(მერიფი,მოლდოვა), ბ. ამბიძე(?,ისრაელი),გ. კვეტენაძე,დ.ჭელიძე(?) | კ. სვანიძე (გურია), როსტიაშვილი (თსუ), საბიაშვილი, ნაჭყეპია (ღარნყალი), პ. ლურსმანაშვილი(ოდიში),ლ.ამბიძე(სიონი),ნ.ყიფიანი,ლ.ხორხელი,ა.ხორხელი (თამაში მიტოვებული ჰქონდათ) | ცხუმი 4:2, ლოკომოტივი 1:1, ჭაბუკიანი 1:0 , არსენალი-2 1:2, დილა 1:3, თბილისი 2:2, 1:3 |
| **იბერია**<br>*ხოსო ფრუიძე* | სგიგიაძე,ვ. გიგიაძე(დინამო),ხუჭუა(კოლხეთი), თოდუა (ვიტ ჯორჯია), ზ.ფხაკაძე (სამგურალი),ქველაძე,გ. დოლიძე,ვარდიაშვილი(?) | გ.ჯანელიძე,დარსაძე(სამგურალი),ო. მეტრეველი(ტორპედო 2, მოსკოვი,რუსეთი), ადეიშვილი (აკადემია), ხმალაძე, ოდიკაძე(უნივერსიტეტი იბერია),ხურციძე,თ. მალლაკელიძე(ფაზისი),ფვანია (ოკეანე),გელაშვილი (ორიონი,რუსეთი),ბინაძე (მარგვეთი),ნიკურაძე(გურია) | ლოკომოტივი 0:0, მეგრი 1:1, ბათუმი 1:5, კოლხეთი 0:3, 1:3 |
| **დილა**<br>*მერაბ ხუციშვილი* | ბ.ჩიტაია,გ. ჩიტაია(ვიტ ჯორჯია),რ.ახალკაცი(?, ვარნა,ბულგარეთი) | სოლოლაშვილი(დინამო),მარღიშვილი,ხორგუაშვილი(ლოკომოტივი),ოქროპირიძე (გორდა) | ლოკომოტივი 3:0, ტორპედო 1:5, თბილისი 1:1, ვიტ ჯორჯია 1:2, 4:3, მერანი 3:1 |
| **გორდა**<br>*იასონ ალადაშვილი* | რ.მახარაძე(მერცხალი),კედელაშვილი,მ. მელაძე(კოლხეთი), ოქროპირიძე(დილა),გ.მაჭავარიანი,კალმახელიძე,პ.მესხი(?) | თელაშვილი(ღარნყალი),ბუკია(თსუ),გ. ხიზანიშვილი(აკადემია),კ. პაპავა(ალგეთი), მიქავა(დინამო-2),ნადირაძე(ბათუმი),თ. მეტრეველი(?,საბერძნეთი) | ხალიბი 5:2, 4:2, ვიტ ჯორჯია 1:1 |
| **თსუ**<br>*კოტე დოლიძე* | თ. კობიაშვილი, შაშიაშვილი (დინამო), ბუკია (გორდა), ზამთარაძე, ებრალიძე (თბილისი), გონჩაროვი (არსენალი), როსტიაშვილი (მერანი), დ. გოგოლაძე, სიმონიშვილი(კოლხეთი),ჭუმბურიძე,გაბელია(?) | ახალაძე(სამგურალი),გ. გვაზავა,ვ. ქუთათელაძე,ერაძე,ღამბაშიძე,გვირგვიშვილი (ვიტ ჯორჯია),მ. მახარაძე(გურია),დ. არჩვაძე(ნივა,ვინიცა,უკრაინა),დ. ხომერიკი, გ. მიქაძე, გ. გოცირიძე(ვაკე-91),კვიციანი,მ. ვაშაკიძე(აკადემია),კრავეიშვილი(ოკეანე),ფარქოსაძე(არმენიანამატორი,გერმანია) | გარეჯი 13:0, ვიტ ჯორჯია 4:6 |
| **ხობი**<br>*ფრიდონ გოცირიძე* | | | მეგრი 2:4, 2:1 |

**შენიშვნა: ტრანსფერთა უმრავლესობა ჯერჯეროობით საბოლოო არ არის**

# Mexico'99

FIFA CONFEDERATION CUP

24 July to 4 August, 1999

# რა იყო ეს?

REUTERS მეხიკოდან

მექსიკა — ბოლივია 1:0. მექსიკელი კვატემოკ ბლანკო ბევრს ეცადა, მაგრამ გოლი მაინც ვერ გაიტანა

**რა** გუნდია საუდის არაბეთი? მესამე ტურის შეხვედრების შემდეგ ამ კითხვას, ალბათ, ერთადერთი პასუხი აქვს — უცნაურზე უცნაური. დიახ — საუდელი ფეხბურთელები მართლაც გამოუცნობნი ყოფილან. ის, რომ საუდეთის, კონფედერაციათა თასის წინა სამი გათამაშების მასპინძელი ქვეყნის ნაკრები მეოთხე ტურნირის ნახევარფინალში გავიდა, ძალიან დიდი მოულოდნელობაა.

საუდეთის ნაკრები ნახევარფინალში ბრაზილიას შეხვდება — ვანდერლეი ლუქსემბურგოს გუნდმა შემდეგ ეტაპზე თამაში კარგა ხანია, გაინაღდა და მესამე ტურის შეხვედრა ახალზელანდიელებთან ფორმალობად ექცათ.

საუდეთი ნახევარფინალშია! დღეს ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა რამ. პირველი ორი ტურის შემხედვარე ვერც კი იფიქრებდი, ჩეხი მილან მაკალას დამოძღვრილი საუდელები აფრიკის ჩემპიონებს თუ მოუგებდნენ, მაგრამ... საუდეთმა ეგვიპტეს, შავი კონტინენტის უძლიერეს ნაკრებს, მოუგო კი არა, შავი დღე აყარა — 5:1-ს აბა, სხვა რა უნდა უწოდო.

ვინც კონფედერაციათა თასის გათამაშებას თვალყურს ადევნებს, დამეთანხმება, რომ პირველ ორ ტურში ეგვიპტე გაცილებით კარგი გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ვიდრე საუდეთი. სხვა თუ არაფერი, „ფარაონებს" შეხვედრა არ დაუთმიათ და ტურნირის მასპინძელ მექსიკასთან მართლაც ლამაზი შეხვედრა აჩუქეს ქომაგებს, საუდეთი კი... არაბებმა პირველი ორი მატჩი იმდენად ცუდად ითამაშეს, რომ მათზე საუბარიც არ ღირს. ამ დროს, მოულოდნელად 5:1!

ერთი რამ გადაჭრით შეიძლება ითქვას — საუდეთი ეგვიპტეზე უკეთესი ნაკრები სულაც არაა, უბრალოდ, ამ შეხვედრაში ბედიც, ილბალიც, ფორტუნაც და რა ვიცი, კიდევ ათასი რამ არაბებს მიემხრო, ეგვიპტელებმა კი ვერა გააწყვეს რა.

მეხიკოში გამართულმა შეხვედრამ ასევე თვალნათლივ დაგვანახა საუდელთა ერთი -ალიან კარგი თვისება — არაბებმა შესანიშნავად იციან მოპოვებული, გნებავთ სხვისგან (ამ შემთხვევაში მსაჯისგან) ბოძებული უპირატესობის გამოყენება. დავაკვირდეთ — პარაგვაელი მსაჯი უბალდო აკინო, რომელმაც უხეშობასთან ბრძოლის გამოცხადება სწორედ ამ თამაშში მოინდომა, ეგვიპტელებს 28-ე, 37-ე და მე-80 წუთებზე აძევებს. რამდენად სამართლიანად, ეს სხვა საქმეა, მაგრამ რიცხობრივი უპირატესობით საუდელები უმალ რომ სარგებლობდნენ, ეს უკვე ფაქტია.

28-ე წუთზე უბალდო აკინო ეგვიპტელ აბდელჰამედ საბრის მოედნიდან აძევებს და სამართლიანადაც — აფრიკელი მეტოქეს სახეში იდაყვს ურტყამს. საუდეთი უმალ სარგებლობს სიტუაციით და ალ ოტაიბის, რომელსაც ამ შეხვედრის გმირად გახდომა ეწერა, მეორე გოლი გააქვს.

საბრის გაძევებიდან თხუთმეტ წუთში აკინო გასახდელისკენ მიუთითებს ჰაზემ ემამს. მართალია, საუდელებს ამჯერად ბოძებული უპირატესობის გოლით ასახვისთვის გაცილებით მეტი დრო დასჭირდათ, მაგრამ ხომ მოახერხეს? იბრაჰიმ ალ შაჰრანის გოლმა ეგვიპტელთა სანახევარფინალო იმედები საბოლოოდ დაასამარა.

დაბოლოს — მესამე ეგვიპტელის, სამირ იბრაჰიმის გაძევებიდან ხუთი წუთი არ გასულიყო, რომ საუდელებმა კვლავ გაიხარეს — ალ ოტაიბმა მეოთხედ შეარხია ელ ჰადარის კარის ბადე და ტურნირის ბომბარდირთა ლიდერ, მასავით ერთ მატჩში ოთხი გოლის გამტან მექსიკელ კვატემოკ ბლანკოს წამოეწია.

ერთი სიტყვით, ეგვიპტელები დასანანად დამარცხდნენ. ისე, თავიანთ თავს დააბრალონ — არ ეუხეშათ და...

ცნობისთვის: მსოფლიოს ფეხბურთის ისტორიაში საუდეთი და ეგვიპტე პირველად დაუპირისპირდნენ ერომანეთს.

ჯგუფის მეორე შეხვედრას რაც შეეხება, მექსიკელებმა ბოლივიას სძლიეს და ნახევარფინალში გავიდნენ. პალენსიამ ბოლივიელთა მეკარე ხოსე კარლოს ფერნანდესი უყურადღებობისთვის დასაჯა.

**ლაშა გოდუაძე**

### A ჯგუფი

**მექსიკა 1:0 ბოლივია**

1:0 პალენსია (52)

მექსიკა: ფ. კამპოსი, სუარესი, მარკუსი, ვილია (არელიანო 65), რამირესი, ბლანკო, პარდო, ერნანდესი (აბუნდისი 22), პალენსია, კარმონა, სეპედა

ბოლივია: ფერნანდესი, არანა, სანჩესი, კრისტალდო, ტუფინიო, მორენო (ბოტერო 78), სანჩესი, მენაჩო (ეჩევერი 66), სორია (გუტიერესი 46), კასტილიო, რიბერა

გაფრთხილება: მენაჩო (41), ვილია (58), სანჩესი (60), სეპედა (68), ტუფინიო (80), აბუნდისი (80)

მსაჯი: ოსკარ რუის აკოსტა (კოლუმბია)

**ეგვიპტე 1:5 საუდეთი**

0:1, 0:2 ალ ოტაიბი (8, 34), 0:3 ი. ალ შაჰრანი (64), 1:3 იბრაჰიმი (70პ), 1:4, 1:5 ალ ოტაიბი (78, 85)

ეგვიპტე: ელ ჰადარი, ჰასანი, რამზი, იბრაჰიმი, მედათი, იუსუფი, საბრი, რადვანი (ვალიდი 65), ემამი, ელ საქა (ბასუნი 43), აჰმედი (ალ ამინი 55)

საუდეთი: ალ დეაია, ალ ჯაჰანი (გაჰჯი 83), ზუჰოლმავი, ალ დაუდი, ალ ჰარბი (ა. ალ შაჰრანი 65), ი. ალ შაჰრანი, ალ ოტაიბი, სულიმანი, ალ რუბაიე, ალ ტემიატი (ბინ შენანი 46), ჰარტი

გაფრთხილება: ალ ტემიატი (12), ემამი (36), ვალიდი (84), ა. ალ შაჰრანი (90)

გაძევება: საბრი (28), ემამი (37), იბრაჰიმი (80)

მსაჯი: უბალდო აკინო (პარაგვაი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მექსიკა | 3 | 2 | 1 | 0 | 8:3 | 7 |
| საუდეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:6 | 4 |
| ბოლივია | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| ეგვიპტე | 3 | 0 | 2 | 1 | 5:9 | 2 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ბლანკო (მექსიკა) | 4 |
| ალ ოტაიბი (საუდეთი) | 4 |

REUTERS მეხიკოდან

საუდეთი — ეგვიპტე 5:1. ეგვიპტელ მედათს (№6) ოთხი გოლის გამტანი ალ ოტაიბი შეხტომია

### ფეხბურთის რუკასთან

**ინგლისის** ჩემპიონ „მანჩესტერ იუნაიტედის" წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 19 წლის მცველი ვეს ბრაუნი მძიმედ დაშავდა და კლუბს დაახლოებით ნახევარი წლით დააკლდება. ალექს ფერგიუსონის განცხადებით, ახალ სეზონში იგი ბრაუნზე დიდ იმედებს ამყარებდა და მცველის გამოკლება ძალიან ეწყინა. ბრაუნმა, რომელმაც „მანჩესტერის" შემადგენლობაში პირველად ოქტომბერში ითამაშა, გასული სეზონის მიწურულს ინგლისის ნაკრებიდანაც მიიღო მიწვევა. ოლდტრეფორდული კლუბის ექიმების განცხადებით, მცველს დაშავებული მუხლის ოპერაცია ჯერჯერობით არ დასჭირდება, თუმცა საბოლოოდ განსაკურნებლად ქირურგიული ჩარევა აუცილებელი იქნება. გასულ სეზონში ვეს ბრაუნმა „იუნაიტედში" 25-ჯერ ითამაშა და ინგლისის ჩემპიონის და თასის მფლობელის, ასევე ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულის ტიტული მოიპოვა.

**ხორვატ მცველ სლავენ ბილიჩს ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედი" თავისთან ეპატიჟებოდა, თუმცა პრემიერლიგის გუნდის თავკაცებმა გუშინ საღამოს მოლაპარაკებები შეწყვიტეს. ბილიჩის ახლანდელი გუნდი ლივერპულის „ევერტონი" ხორვატი მცველის სანაცვლოდ ლონდონელებს 4,5 მილიონ გირვანქას სთხოვდა.**

**სამხრეთ ამერიკის** კონტინენტზე კიდევ ერთი საკლუბო პრიზის, „მერკოსურის თასის" გათამაშება დაიწყო. ამ დღეებში პირველი ტურის შეხვედრები გაიმართა. A ჯგუფი — პალმეირასი (ბრაზილია) - რივერ პლეიტი (არგენტინა) 3:3, კრუზეირო (ბრაზილია) - რასინგი (არგენტინა) 0:0; B ჯგუფი — ინდეპენდიენტე (არგენტინა) - კორინთიანსი (ბრაზილია) 2:1, გრემიო (ბრაზილია) - ველეს სარსფილდი (არგენტინა) 1:1; D ჯგუფი — ნასიონალი (ურუგვაი) - სერო პორტენო (პარაგვაი) 3:1; E ჯგუფი — კოლო კოლო (ჩილე) - უნივერსალ დე ჩილე (ჩილე) 2:0, ფლამენგო (ბრაზილია) - ოლიმპია (პარაგვაი) 2:1. C ჯგუფში, სადაც არგენტინის „ბოკა ხუნიორსი" და „სან ლორენსო", ასევე ბრაზილიური „სან საულუ" და ჩილეს „უნივერსიდად კატოლიკა" თამაშობენ, შეხვედრები ამ დღეებში შედგება. უახლოეს მომავალში გათამაშება D ჯგუფის მეორე მატჩით გაგრძელდება, რომელშიც ურუგვაის „პენიაროლი" და ბრაზილიური „ვასკუ და გამა" შეხვდებიან.

**ინგლისის 1995 წლის ჩემპიონმა „ბლეკბერნმა" 1,5 მილიონი გირვანქის სანაცვლოდ პრემიერლიგის „ლესტერს" მეკარე ტიმ ფლაუერსი დაუთმო. „ბლეკბერნი" პირველ დივიზიონში დაქვეითდა. ფლაუერსი, რომელსაც დროგამოშვებით ინგლისის ნაკრებშიც იწვევდნენ, „ლესტერში" ამერიკელ კეისი კელერს შეცვლის, რომელსაც კლუბთან ხელშეკრულების ვადა ამოეწურა. კელერი, რომელიც დღესდღეობით მექსიკაშია და ნაკრების შემადგენლობაში კონფედერაციის თასის გათამაშებაში მონაწილეობს, პრიმერა დივიზიონში აღზევებულ „რაიო ვალეკანოში" გადასვლას დაყაბულდა.**

# მეთოფეთა სასიკვდილო გასროლა

**ლონდონის** „არსენალის" მწვრთნელმა არსენ ვენგერმა წუხელ სენსაციური განცხადება გააკეთა:

— ნიკოლა ანელკა ჩვენს გუნდში აღარ ითამაშებს. ეს კითხი 99 პროცენტით გადაწყვეტილია. მომავალში რას იზამს იგი ვერ გეტყვით.

მეთოფეებმა გაისროლეს და ახალგაზრდა ფრანგი თავდამსხმელი სასიკვდილოდ თუ არა, ძალიან მტკივნეულად დაჭრეს — 19 წლის ფეხბურთელისთვის მწვრთნელის ნათქვამი, უეჭველია მძიმე დარტყმა იქნება.

— მის გარშემო ატეხილმა ამბავმა დამღალა. სრულიადაც არ ვაპირებ მთელი ჩემი ენერგია და ნერვები შევალიო ფეხბურთელს, რომელმაც არც სიკეთის დანახვა იცის და ამავე დროს უმადურია. თუ იგი „არსენალში" არ დაბრუნდება, ხელფასს ვერ მიიღებს. ეს მტკიცედ გადავწყვიტე — ვენგერი ანელკამ ეტყობა მართლაც ძალიან დაღალა.

ანელკა მართლაც უმადური ადამიანის შთაბეჭდილებას სტოვებს. განა იცოდით ორი წლის წინ ვინ იყო ნიკოლა ანელკა? იშვიათი გამონაკლისის გარდა, მისი გვარი ბევრს არ ეცოდინებოდა, რადგან ანელკა პსჟ-ს სათადარიგო შემადგენლობაში თამაშობდა. ვენგერმა დიდი ბრძოლის ფასად, იგი „არსენალში" გადაიყვანა და ერთ წელიწადში ქვეყნის ნაკრების თავდამსხმელად აქცია.

რით უპასუხა ფეხბურთელმა? ზოგი მართლაც და უმადურია.

# დაბრუნება ალბიონზე

**შვედეთის** ნაკრების ნახევარმცველი შტეფან შვარცი ესპანეთის „ვალენსიადან" ინგლისის „სანდერლენდში" გადავიდა. პრემიერლიგის კლუბის განცხადებით, მათ შვედი ფეხბურთელის სანაცვლოდ 6,4 მილიონი დოლარი გაიღეს.

შვარცმა, რომელმაც ინგლისური ფეხბურთი ერთხელ უკვე დააჭაშნიკა, როცა 1994-95 წლების სეზონში ლონდონის „არსენალში" თამაშობდა, „სანდერლენდთან" ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. შეგახსენებთ, რომ „სანდერლენდი", რომელსაც პიტერ რიდი წვრთნის, პრემიერლიგაში გასულ სეზონში აღზევდა.

30 წლის ფეხბურთელს, რომელსაც „ვალენსიასა" და „არსენალის" გარდა პორტუგალიურ „ბენფიკაში" და იტალიის „ფიორენტინაშიც" უთამაშია, ქვეყნის ღირსება 62-ჯერ დაუცავს. ინგლისელთა შორის იგი მას შემდეგ გახდა პოპულარული, რაც 1992 წლის ევროპის ჩემპიონატზე ინგლისის ნაკრების წინააღმდეგ ბრწყინვალედ ითამაშა.

— შვარცი მაღალი კლასის ფეხბურთელია და დიდი იმედი მაქვს, მიუხედავად იმისა, რომ 30 წლისაა, ჩვენ კლუბს ძალიან დაეხმარება — განაცხადა რიდმ.

# ერთს არა უთხრა, მეორეს?

**ბერძნულმა** „პანათინაიკოსმა" მილანის „ინტერთან" გააბა მოლაპარაკებები მსოფლიოს ჩემპიონ, ფრანგ ფეხბურთელ იური ჯორკაეფის თაობაზე.

ჯორკაეფმა გაზაფხულზე მეორე ბერძნული კლუბი — „ოლიმპიაკოსი" გაისტუმრა უარით. „პანათინაიკოსი" მისი შეძენით სერიოზულადაა დაინტერესებული და მზადაა, ფრანგი ფეხბურთელის სანაცვლოდ ბევრი რამ გაიღოს.

ყოფილმა პსჟ-ელმა და მონაკოელმა იური ჯორკაეფმა აპრილში განაცხადა, რომ „ინტერში" აღარ ითამაშებდა.

ფრანგს ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედიც" იწვევდა და მზად იყო, მილანელთათვის მის სანაცვლოდ 6,5 მილიონი დოლარი გადაეხადა, მაგრამ ოლდტრეფორდელებმა მოგვიანებით ჯორკაეფის შეძენა გადაიფიქრეს.

სად წავა 31 წლის ფეხბურთელი, დღესდღეობით უცნობია.

სარგბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **სპეტელეკომ ალუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20




სარბიელის არქივიდან

სპეციალისტთა აზრით ახალი „უემბლი“, 2003 წელს რომ გაიხსნება, სწორედ ასეთი იქნება

# ინგლისელთა ახალი სიამაყე

„უემბლის“ ორი ცნობილი კოშკურა მომავალ წელს მოიშლება. გაისად მსოფლიოში ცნობილი სტადიონის რეკონსტრუქცია იწყება, რომლის დასრულებისთანავე „უემბლის“ ტევადობა 90 ათასამდე გაიზრდება.

ორი კოშკურა, რომლებიც სტადიონის სიმბოლოდ ითვლება, ოთხი, 130 მეტრის სიმაღლის კოშკებით შეიცვლება. მათი დანახვა შორი მანძილიდანაც იქნება შესაძლებელი.

— ბევრს ვეცადეთ, მაგრამ ახალ პროექტში კოშკურების შენარჩუნება ვერ მოვახერხეთ — განაცხადა „უემბლის“ ახალი პროექტის ავტორმა, სერ ნორმან ფოსტერმა.

„უემბლის“ რეკონსტრუქცია, სპეციალისტთა გამოთვლით, 763 მილიონი დოლარი დაჯდება.

— ჩვენ ვერ შევძელით ამ ორი კოშკურის შენარჩუნება. მესმის, რომ ისინი 76 წელია „უემბლის“ სიმბოლოდ, ინგლისური ფეხბურთის სიამაყედ მიიჩნევა, მაგრამ ახალ პროექტში მათ ადგილი ვერ გამოვუნახეთ. მერე რა, რომ ახალი „უემბლი“ სხვაგვარი იქნება. ახალი იქნება და ძალიან ლამაზი, თანამედროვე — ეს სიტყვები იმავე სერ ნორმან ფოსტერს ეკუთვნის.

სტადიონის გახსნას 2003 წლისთვის ვარაუდობენ. ახალი „უემბლი“ არა მარტო ფეხბურთისთვის იქნება განკუთვნილი, არამედ სხვა სახეობებისთვისაც. გაიმართება შეჯიბრებები მძლეოსნობაში, რაგბიში...

თუ მოხდა და 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება სწორედ ინგლისმა მოიპოვა, „უემბლი“ ტურნირის ცენტრი შეიქნება. ამ სტადიონის წყალობით ლონდონში ოლიმპიური თამაშები და სხვა დიდი სპორტული ღონისძიებები ჩატარდება.

ახალი სტადიონის ოთხი კოშკურა, როგორც გითხარით, 130 მეტრი სიმაღლისა იქნება, ანუ ოთხჯერ მაღალი, ვიდრე ორი კოშკურა. მთლიანად სტადიონი 60 მეტრ სიმაღლეს მიაღწევს, ნაცლად დღევანდელი 30-ისა.

კენ ბეიტსმა, პრემიერლიგის კლუბ „ჩელსის“ პრეზიდენტმა და „უემბლის“ თავმჯდომარემ, განაცხადა: „ყველა ჩვენგანი უნდა ჩაერთოს ახალი „უემბლის“ მშენებლობაში. ჩვენ ეროვნულ სიამაყეს ვაშენებთ და ყველა ვალდებულია, მონაწილეობდეს მასში“.

შეგახსენებთ, რომ „უემბლი“, მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი ულამაზესი და სახელოვანი სტადიონი, 1923 წელს აიგო. „უემბლიზე“ ბევრი მნიშვნელოვანი შეჯიბრება გამართულა, მაგრამ მათ შორის 1948 წლის ოლიმპიურ თამაშებს, 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს და 1996 წლის ევროპის პირველობას გამოყოფენ.

სწორედ „უემბლიზე“ მოიგო ინგლისმა 1966 წელს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული. ფინალში ინგლისელებმა მაშინდელ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებს 4:2 მოუგეს.

კოტე ვაიტაძე

# რონალდო ფლამენგოზე ნავა

**რონალდომ** განაცხადა, რომ „ინტერთან“ კონტრაქტის დასრულებისთანავე იგი სამშობლოში დაბრუნდება და, ბრაზილიის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ კლუბ „ფლამენგოში“ ითამაშებს.

ფეხბურთელი ამჟამად რიო დე ჟანეიროში ისვენებს. ამ განცხადებამ „ბარსელონას“ ხელმძღვანელებს მისი უკან დაბრუნების ყოველგვარი იმედი გადაუწურა. შეგახსენებთ, რომ რონალდო „ინტერში“ გადასვლამდე სწორედ კატალონიური კლუბის ღირსებას იცავდა. „ბარსელონას“ პრეზიდენტ ხოსეპ ლუის ნუნიესს ფეხბურთელის უკან დაბრუნება სურს, მაგრამ რონალდო უარობს.

რონალდოს, რომელიც აგვისტოში კოსოვოში ჩასვლას და ომისგან დაზარალებული ხალხის დასახმარებლად საქველმოქმედო მატჩის გამართვას აპირებს, „ფლამენგოს“ ხელმძღვანელები უკვე შეეხმიანნენ.

რიო დე ჟანეიროს კლუბის პრეზიდენტმა ედმუნდო სანტოს სალკამ ჟურნალისტებს დაუდასტურა, რომ იგი რონალდოს მართლაც ესაუბრა ტრანსფერის შესახებ და თანხმობაც მიიღო. მანვე დასძინა, რომ რონალდო „ფლამენგოში“ მხოლოდ „ინტერთან“ ხელშეკრულების ვადის დასრულების შემდეგ გადავა. რონალდო მილანურ კლუბთან 2003 წლამდეა დაკავშირებული.

სანამ მსოფლიოს ექს-საუკეთესო ფეხბურთელი „ფლამენგოში“ თამაშის შესახებ განაცხადებდა, მანამდეც ამბობდა, რომ „ინტერის“ შემდეგ იგი აუცილებლად ბრაზილიურ კლუბში გადავიდოდა. ევროპული გუნდის ვარიანტს იგი თავიდანვე გამორიცხავდა. მისი თქმით, ევროპაში გატარებული წლები მისთვის საკმარისია. მას შემდეგ, რაც რონალდო ბრაზილიიდან წავიდა, მან სამი ევროპული კლუბის მაისურა მოირგო — იტალიის „ინტერამდე“ ჰოლანდიურ „ეინდჰოვენში“ და ესპანურ „ბარსელონაში“ თამაშობდა.

ბრაზილიელი ვუნდერკინდის შემენით ინგლისის ბოლო წლების უძლიერესი კლუბი „მანჩესტერიც“ დაინტერესდა. ინგლისელები „ინტერს“ გვარიან თანხასაც სთავაზობდნენ, მაგრამ მილანელებმა რონალდოს გაყიდვა იუარეს.

კლუბის პრეზიდენტის მასიმო მორატის განცხადებით, რონალდოს უახლოეს ორ წელიწადში არ გაასხვისებს, თუმც არაა გამორიცხული, „ინტერთან“ კონტრაქტი დასრულებამდე ერთი წლით ადრე მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონმა კლუბი დატოვოს.

ირაკლი ილაშვილი



სარბიელის არქივიდან

ისვენებს რონალდო — წინ მორიგი მძიმე სეზონია

სარბიელის არქივიდან

მილანელები ბობანი, გულიელმინპიეტრო და მალდინი — იტალიის ჩემპიონებმა ტიტული უნდა დაიცვან

# იტალიური კალენდარი

**იტალიის** ფეხბურთის ფედერაციამ გამოაქვეყნა სერია A-ს კალენდარი. გულშემატკივრებსაც მეტი რა უნდათ? — საქმე მიეცათ.

კალენდრის მიხედვით, ევროპის ჩემპიონთა თასის ხუთგზის მფლობელი „მილანი“, რომელიც გაზაფხულზე მეთექვსმეტედ გახდა იტალიის ჩემპიონი პირველობას არც ისე ძლიერ მეტოქესთან, „ლეჩესთან“ დაიწყებს. „ილ როსო დიავოლო“, იგივე „წითელი ეშმაკი“, იგივე „მილანი“ ჩემპიონატის პირველ მატჩს, ისევე როგორც ყველა სხვა გუნდი, 29 აგვისტოს გამართავს.

იტალიის ჩემპიონები სერია A-ს მეორე ტურში „პერუჯას“ შეხვდებიან.

მილანელთათვის პირველი დიდი გამოცდა 3 ოქტომბერს შედგება „ლაციოსთან“. შეგახსენებთ, რომ სწორედ რომის „ლაციო“ ის კლუბი, რომელსაც ალბერტო ძაკერონის გუნდმა ბოლო ტურში ჩემპიონობა აართვა.

თავის მხრივ „ლაციო“ ჩემპიონატის პირველ შეხვედრას შინ, „კალიარისთან“ გამართავს.

იტალიის 1998 წლის ჩემპიონის, ახლა კი ინტერტოტოს თასზე მოსპარეზე ტურინის „იუვენტუსის“ პირველი მეტოქე „რეჯინა“ იქნება. „ბებერი ქალბატონი“ სერია A-ში აღზევებულ გუნდს ტურინში, „სტადიო დელე ალპიზე“ შეხვდება. სხვათა შორის, იტალიის სამხრეთით მდებარე ქალაქ რეჯინას ამავე სახელწოდების გუნდი თავისი არსებობის მანძილზე სერია A-ში პირველ მატჩს ჩაატარებს. აქამდე „რეჯინას“ იტალიური ფეხბურთის ელიტაში არ უთამაშია.

მილანის „ინტერი“, სუპერთავდამსხმელთა — რონალდოს და ვიერის პატრონი კლუბი, პირველ ტურში „ვერონას“ მასპინძლობს.

უეფას და იტალიის თასის მფლობელი „პარმა“ „პერუჯას“ ხვდება, ფლორენციის „ფიორენტინა“ — „ბარის“ „რომა“ კი „პიაჩენცას“ დაუპირისპირდება.

სერია A-ს მეორე ტურში ძალიან დაძაბული ორთაბრძოლა იქნება რომში — „რომა“ „ინტერს“ შეხვდება.

პირველი მილანური დერბი 24 ოქტომბერს შედგება, ხოლო რომაული დაპირისპირება დედაქალაქის ოლიმპიურ სტადიონზე 21 ნოემბრისთვისაა დანიშნული.

თუ ჩემპიონობისთვის ბრძოლა გასული სეზონის დარად ბოლომდე გაგრძელდა, მაშინ დაძაბულობა კულმინაციას ალბათ 2000 წლის 7 მაისს მიაღწევს — ამ დღეს „ფიორენტინა“ „ინტერს“, „მილანი“ „რომას“, ხოლო „პარმა“ „იუვენტუსს“ ხვდება.

კოტე ვაიტაძე

# ვინ რამდენს მიიღებს

UEFA CHAMPIONS LEAGUE

წლევანდელ სეზონში ჩემპიონთა ლიგის გათამაშება ახალი ფორმულით გაიმართება. ჯგუფურ ტურნირში 32 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. კლუბების შემოსავლებიც შეიცვლება და გაცილებით გაიზრდება. იხეირებენ ეროვნული ფედერაციებიც. შარშანდელი გათამაშებიდან, მაგალითად, ყველაზე მეტი ფული პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციამ მიიღო მილიონ 230 ათასი შვეიცარიული ფრანკი, შემდეგ რუმინელები და იუგოსლავიელები მოდიან (მილიონ 150 ათასი). საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ანგარიშზე კი 750 ათასი შვეიცარიული ფრანკი გადმოირიცხება.

რაც შეეხება გასულ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში მონაწილე გუნდებს, ისინი ფულს უეფას წესების თანახმად მიიღებენ.

## 1998-99 წლების ჩემპიონთა ლიგა

| კლუბი | ჯგუფური ტურნირი | | | 1/4 ფინალი | 1/2 ფინალი | ფინალი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ფიქს. თანხა | ბონუსი | ტელევიზია | | | | |
| **A ჯგუფი** | | | | | | | |
| ოლიმპიაკოსი | 2000000 | 4000000 | 550000 | 3000000 | | | 9550000 |
| კროაცია | 2000000 | 3000000 | 500000 | | | | 5500000 |
| პორტუ | 2000000 | 2500000 | 550000 | | | | 5050000 |
| აიაქსი | 2000000 | 2500000 | 1100000 | | | | 5600000 |
| **B ჯგუფი** | | | | | | | |
| იუვენტუსი | 2000000 | 3500000 | 3025000 | 3000000 | 3250000 | | 14775000 |
| გალათასარაი | 2000000 | 3000000 | 632500 | | | | 5632500 |
| რუსენბორგი | 2000000 | 3000000 | 500000 | | | | 5500000 |
| ატლეტიკი | 2000000 | 2500000 | 2475000 | | | | 6975000 |
| **C ჯგუფი** | | | | | | | |
| ინტერი | 2000000 | 4500000 | 2475000 | 3000000 | | | 11975000 |
| რეალი | 2000000 | 4000000 | 3025000 | 3000000 | | | 12025000 |
| სპარტაკი | 2000000 | 3000000 | 500000 | | | | 5500000 |
| შტურმი | 2000000 | 500000 | 500000 | | | | 3000000 |
| **D ჯგუფი** | | | | | | | |
| ბავარია | 2000000 | 4000000 | 3915000 | 3000000 | 3250000 | 4000000 | 20165000 |
| მანჩესტერ იუნაიტედი | 2000000 | 4000000 | 2475000 | 3000000 | 3250000 | 5000000 | 19725000 |
| ბარსელონა | 2000000 | 3000000 | 3025000 | | | | 8025000 |
| ბრონდბიუ | 2000000 | 1000000 | 500000 | | | | 3500000 |
| **E ჯგუფი** | | | | | | | |
| დინამო კ. | 2000000 | 4000000 | 500000 | 3000000 | 3250000 | | 12750000 |
| ლანსი | 2000000 | 3000000 | 3025000 | | | | 8025000 |
| არსენალი | 2000000 | 3000000 | 3025000 | | | | 8025000 |
| პანათინაიკოსი | 2000000 | 2000000 | 450000 | | | | 4450000 |
| **F ჯგუფი** | | | | | | | |
| კაიზერსლაუტერნი | 2000000 | 4500000 | 4785000 | 3000000 | | | 14285000 |
| ბენფიკა | 2000000 | 3000000 | 450000 | | | | 5450000 |
| ეინდჰოვენი | 2000000 | 2500000 | 900000 | | | | 5400000 |
| ჰიკ | 2000000 | 2000000 | 500000 | | | | 4500000 |
| სულ | 48000000 | 72000000 | 39382500 | 24000000 | 13000000 | 9000000 | 205382500 |

# მათიას ზამერი მეორე ცხოვრებისთვის ემზადება

**გერმანიის** ეროვნული ნაკრებისა და დორტმუნდის „ბორუსიას“ სახელგანთქმულ ფეხბურთელ მათიას ზამერს ცოტა ხნის წინ თავის კლუბთან კონტრაქტის ვადა გაუვიდა და უგუნდოდ დარჩა. 1996 წლის ევროპის ჩემპიონმა და 1997 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელმა შარშანწინ შემოდგომაზე მუხლის უმძიმესი ტრავმა მიიღო, რომელიც დღემდე ვერ მოირჩინა. გასული სეზონის წინ „დორტმუნდმა“, ზამერის ტრავმის მიუხედავად, ფეხბურთელთან კონტრაქტი გააგრძელა. მაშინ კლუბის ხელმძღვანელები იმედოვნებდნენ, რომ ზამერი მალე მოიშუშებდა ტრავმას და თამაშსაც შეუდგებოდა. თუმცა 31 წლის ფეხბურთელის გამოჯანმრთელებას არა და არ დაადგა საშველი. დორტმუნდელებმაც მისი გუნდში დატოვება ზედმეტ ხარჯად ჩათვალეს და...

„მართალია, დორტმუნდიდან წამოვედი, მაგრამ შეიძლება მალე უკან დავბრუნდე. მე და კლუბის პრეზიდენტმა გერდ ნიებაუმმა მოვილაპარაკეთ, რომ როცა მთლიანად გამოვკეთდები და თამაშს შევძლებ, უპირველეს ყოვლისა „ბორუსიას“ ხელმძღვანელებს შევხვდები. თუ მოვრიგდებით, იქ ვითამაშებ“ — განუცხადა ზამერმა პოპულარულ გერმანულ გაზეთ „ბილდს“.

ზამერს კლუბში დაბრუნების იმედი კი აქვს, მაგრამ ნაკლებადმსალოდნელია, ასე მოხდეს. 90-იანი წლების გერმანული ფეხბურთის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლის მუხლს ცნობილი მკურნალები ევლებიან თავს, მაგრამ სასიკეთო ჯერვჯერობით არაფერი ჩანს. ზამერს რამდენიმე ქირურგიულმა ჩარევამაც ვერ უშველა. თავიდან თითქოს უფრო ჩანდა სასიკეთო ნიშნები, მაგრამ ოპერაციის შემდეგ მას ბაქტერიული ინფექცია შეეჭრა, მუხლის მდგომარეობაც მნიშვნელოვნად გაუუარესდა. მიუხედავად ამისა, ზამერი იმედიანადაა განწყობილი და ამას არც მალავს.

„ყველაფერს გავაკეთებ საიმისოდ, რომ ტრავმისგან სრულად განვიკურნო და ფეხბურთს დავუბრუნდე. მე მეორე ცხოვრებისთვის ვემზადები. მთავარია, მოთმინება ვიქონიო. შევძლებ კიდეც. ისე, ვატყობ, საქმე უკეთესად მიდის. დღეში ექვს-რვა საათს მსუბუქად ვვარჯიშობ. ვფიქრობ, სარეაბილიტაციო პერიოდი ნორმალურად მიმდინარეობს“ — აღნიშნა ფეხბურთელმა საუბრის ბოლოს.

ზამერისგან განსხვავებით, თავშეკავებულნი არიან მისი ექიმები. ისინი გადაწყვეტით ვერაფერს ამბობენ.

**ვანო ოძროპირიძე**



სარბიელის არქივიდან

კლაუდიო რანიერი ახალ გუნდს ქმნის

# კლაუდიო რანიერის ახალი ატლეტიკო

**მადრიდის** „ატლეტიკოს“ იტალიელმა მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმ განაცხადა, რომ კლუბის ბრაზილიელი ნახევარმცველი ჟუნინიო მის გეგმებში არ შედის.

— ჟუნინიო არ მჭირდება. არა იმიტომ, რომ იგი ჩემს მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს, არამედ იმიტომ, რომ მე სხვა ტაქტიკა-სტრატეგია მაქვს, ჩემი შეხედულებით კი, ჟუნინიო გამოუსადეგარია — განაცხადა რანიერიმ „ატლეტიკოში“ პირველსავე პრესკონფერენციაზე. „ძნელია, მოთამაშეს უთხრა, რომ იგი არ გჭირდება, მაგრამ სხვა გზა არ არის. სიმართლე უნდა ითქვას. პირველ ყოვლისა, საქმე უნდა გაკეთდეს, მერე ყველაფერ დანარჩენზეც შეიძლება ფიქრი. ჟუნინიოს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ გუნდში არ მჭირდება. მოხარული ვიქნები, თუ სხვაგან კარგად ითამაშებს“ — დასძინა რანიერიმ.

რანიერიმ, რომელმაც შარშან „ვალენსიას“ ესპანეთის თასი მოაგებინა და კლუბი პრიმერა დივიზიონში მეოთხე ადგილზე გაიყვანა, თქვა, რომ ახალი სეზონის წინ, „ატლეტიკოს“ შემადგენლობის ძირფესვიანად გადახალისება სწადია. ჟუნინიო წამსვლელთა შორის მოხვდა. „თუ ჟუნინიოს თამაში უნდა, ვურჩევდი, „ატლეტიკოში“ არ დარჩეს“ — ეს სიტყვებიც რანიერის ეკუთვნის.

ბრაზილიელ ნახევარმცველს გასული სეზონის შუაგულში ინგლისურმა კლუბებმა — ბირმინგემის „ასტონ ვილამ“ და „მიდლსბრომ“ დაადგეს თვალი, მაგრამ მაშინ გარიგება არ შედგა. იმ ხანებში ჟუნინიოს კლუბიდან წასვლა-არწასვლის საკითხი არ იდგა.

შეგახსენებთ, რომ ჟუნინიოს მადრიდულ კლუბთან კონტრაქტი 2002 წლის 1 ივლისამდე აქვს. იგი ესპანურ გუნდში 1997 წლის ზაფხულში გადავიდა „მიდლსბროდან“ მას შემდეგ, რაც მადრიდელებმა ინგლისელებს 19,7 მილიონი დოლარი გადაუხადეს.

რაც შეეხება რანიერის გეგმებს, „ატლეტიკო“ მილანის „ინტერის“ ნახევარმცველით, ფრანჩესკო მორიეროთია დაინტერესებული და უახლოეს მომავალში იტალიურ გუნდთან ფეხბურთელის თაობაზე მოლაპარაკებებსაც წამოიწყებს.

სხვათა შორის, ორი წლის წინ, „რომაში“ შესანიშნავი სეზონის შემდეგ მორიერო ლამის გადავიდა კიდეც „ატლეტიკოში“, მაგრამ საბოლოოდ მაინც „ინტერში“ წასვლა არჩია.

მადრიდელებმა კარგად იციან, რომ მილანელთა ახალი მწვრთნელი, მარჩელო ლიპი მორიეროს არ წყალობს და ამიტომაც შეეხმიანნენ „ინტერს“. თუ „ატლეტიკოს“ შეთავაზებულ თანხას მილანელები დაყაბულდებიან და მორიეროს პრიმერა დივიზიონის კლუბში გაუშვებენ, მაშინ „ატლეტიკო“ ჟუნინიოს, ალბათ, „ასტონ ვილას“ დაუთმობს. ბირმინგემელები ახალგაზრდა ბრაზილიელით სერიოზულად არიან დაინტერესებულნი. მორიეროს სატრანსფერო თანხა კი 4 მილიონი გირვანქაა.

რანიერის ინგლისის ჩემპიონატში მოთამაშე „ლიდსის“ ჰოლანდიელი თავდამსხმელის, ჯიმ ფლოიდ ჰასელბაინკის შეძენაც მოუწადინებია, მაგრამ ფორვარდის კლუბმა, ფეხბურთელის გაყიდვა იუარა. „ატლეტიკო“ ჰასელბაინკის სანაცვლოდ 10 მილიონ გირვანქას იხდიდა, მაგრამ პრემიერლიგის კლუბის მენეჯერმა დევიდ ოლირიმ ჰოლანდიელის გაყიდვა გამორიცხა.

**ირაკლი ილაშვილი**

# ალექს ფერგიუსონი: სუპერვარსკვლავებს დაუმსახურებლად დიდი წარმოდგენა აქვთ საკუთარ თავზე

**47 წლის ალექს ფერგიუსონი მოუსვენარი კაცია. წლეულს მაისში თავის „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ერთად ფანტასტიკურად მოიგო ჩემპიონთა თასი, მაგრამ სერ ალექსი ამას არ გაუბრუებია და ახალი სიმაღლეების დაპყრობას აპირებს. აგერ, მომავალ შაბათს პრემიერლიგა იწყება, მერე ახალი ჩემპიონთა ლიგაც გახურდება. მანამდე კი „უორლდ სოკერი“ ევროპის საკლუბო ჩემპიონთა მწვრთნელს ესაუბრება.**



სარბიელის არქივიდან

**— „მანჩესტერ იუნაიტედი“ ოთხი მცველით თამაშს არჩევს. რატომ?**

— როგორც ვიცი, სამი მცველით თამაშისას მხოლოდ გერმანელები აღწევენ ხოლმე წარმატებებს. რა თქმა უნდა, 3-5-2 ტაქტიკურ სქემას დადებითი ასპექტებიც აქვს, კერძოდ, როცა მოთამაშეები დაცვის სიღრმიდან ერთვებიან შეტევებში. მაგრამ ასეთი სქემის შესრულებას უმკაცრესი დისციპლინა სჭირდება. თანაც ამ დროს ფრთის ნახევარმცველებს ძალიან დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ. ნიშანდობლივია, რომ ბრაზილიისა და საფრანგეთის ნაკრებები, აგრეთვე „იუვენტუსი“ და „მილანი“ ოთხი მცველით თამაშს ანიჭებენ უპირატესობას. 4-4-2 ან 4-3-3 ტაქტიკური სქემების დროს დაცვიდან შეტევაში გადასვლა უფრო მწყობრად ხდება, მოთამაშეებს შეტევისათვის მეტი შესაძლებლობები უჩნდებათ. ვფიქრობ, მხოლოდ 4-4-2 უზრუნველყოფს საიმედო ზონურ დაცვას.

თუმცა ახლა ინგლისური გუნდების უმეტესობა სამი მცველით თამაშს არჩევს. საინტერესოა, რომ პრემიერლიგის ბოლო ექვს მატჩში მხოლოდ „ჩელსი“ შეგვხვდა ისეთი, ოთხი მცველით რომ თამაშობდა. მიმაჩნია, რომ ცენტრალური მცველები ზედმიწევნით კარგად უნდა ასრულებდნენ თავის სამუშაოს. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ მათთან პირისპირ დარჩენილ თავდამსხმელებს ორთაბრძოლას უნდა უგებდნენ.

დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ განაპირა ნახევარმცველებს. ამ მხრივ „მანჩესტერს“ დიდებული შესაძლებლობები აქვს. მარჯვნიდან ბექჰემის გრძელი ჩაწოდებები მეტოქე გუნდის დაცვის პარალიზებას იწვევს. რაიან გიგზს კი სხვაგვარ დავალებას ვაძლევ ხოლმე. მან ბურთი უნდა დაიჭიროს და ერთი მოწინააღმდეგე მაინც მოატყუოს. ინგლისში მეტოქეები ხშირად ბურთის კოლექტიური ართმევით ცდილობენ ჩვენი განაპირა ნახევარმცველების გაუვნებლებას, ამ დროს ვცდილობთ, ბურთი ცენტრში გადავიტანოთ, იქ კი მეტოქე რიცხობრივ უმცირესობაში ექცევა და ეს გარკვეულ უპირატესობას გვანიჭებს.

**— რა ამოცანებს გისახავენ თქვენ, როგორც „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელს?**

— მთავარი წარმატებების მიღწევაა. თანაც ჩვენგან ყოველთვის ლამაზ გამარჯვებებს ელიან. ცხადია, შეიძლება უსახურად ითამაშო და გაიმარჯვო. მოგება დარჩება, თამაში კი ყველას მალე დაავიწყდება, მაგრამ „მანჩესტერის“ მრავალწლიანი ტრადიცია გვავალდებულებს, ღია და ლამაზი ფეხბურთი ვითამაშოთ.

სხვა მხრივ კი, „მანჩესტერ იუნაიტედის“ საქმეებს დაახლოებით 380 ადამიანი აგვარებს, ამიტომ ჩემი საქმე ფეხბურთი და ჟურნალისტებთან ურთიერთობაა.

**— როგორ ფიქრობთ, რა არის დღევანდელი კარგი მწვრთნელის მთავარი თვისებები?**

— როცა სამწვრთნელო კარიერას ვიწყებდი, ძირითადად ფეხბურთელების ტექნიკური და ფიზიკური მომზადებით ვიყავი დაკავებული. მათთვის ისეთი ფეხბურთი უნდა მესწავლებინა, რომელიც თავად მომწონდა. ახლა კი ამოცანა უფრო გამირთულდა. საჭიროა მოთამაშეებში გუნდური სულის დანერგვა. ბიჭებს ვასწავლი, რომ მთელი ძალები თამაშს მოახმარონ. ხშირად ვეუბნები, თუ გინდათ, ყოველთვის ვიმარჯვებდეთ, კარგი ფეხბურთის თამაში მინიმუმ რვა კაცს მაინც უნდა შეეძლოს-მეთქი. გამარჯვებისკენ სწრაფვა კი დღეს ლამის გადამწყვეტ კომპონენტად იქცა ფეხბურთში. ასევე ვალდებული ვარ, გასახდელში უშუალო და თბილი ატმოსფერო შევქმნა, რათა გუნდის წევრები ერთმანეთს პატივს სცემდნენ. ვცდილობ, ცხოვრების რთულ მომენტებში ბიჭებს გვერდში დავუდგე. ბევრს ვმუშაობ ფსიქოლოგიურ მომზადებაზეც — სულ იმას ვეუბნები, რომ თამაშის ჟინი არ დაკარგონ და ბოლო წუთამდე იბრძოლონ. თუკი რომელიმე ფეხბურთელი გუნდს ვერ ერგება, მას ყოველთვის პირდაპირ ვეუბნები ამის შესახებ.

როცა წინა სეზონში ჩემპიონატი „არსენალმა“ მოგვიგო, ჩემმა ახალგაზრდა ფეხბურთელებმა საჭირო „მწარე“ გამოცდილება მიიღეს. ისინი ხომ წაგებებს შეუჩვეველნი იყვნენ. საბოლოოდ კი ამან სასარგებლო სამსახური გაგვიწია. წაგებების მოკლე სერიას მალე ხანგრძლივი გამარჯვებები მოჰყვა.

მიმაჩნია, რომ მწვრთნელის მთავარი ამოცანა ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელების პოვნა და აღზრდაა. ეს თითქმის ყველამ იცის, მაგრამ ხშირად გაბედული ნაბიჯის გადადგმა უჭირთ. მაგალითისთვის დუაიტ იორკს მოვიყვან. დარწმუნებული ვიყავი, რომ ის „მანჩესტერს“ გამოადგებოდა, ამიტომაც მივიღე მისი ყიდვის გადაწყვეტილება. ვფიქრობ, ასი პროცენტით მართალი ვიყავი.

**— მდიდარი კლუბების უმეტესობა უკვე ჩამოყალიბებული ფეხბურთელების ყიდვას ამჯობინებს. თქვენ კი აქცენტს საკუთარ ახალგაზრდა ტალანტებზე აკეთებთ...**

— როგორ გითხრათ, წინა წლებში „მანჩესტერმა“ არაერთი ვარსკვლავი იყიდა, თუნდაც ბრაიან რობსონი და ერიკ კანტონა გავიხსენოთ. თუმცა კლუბს უამრავი თავისი ვარსკვლავიც ჰყავდა, მაგალითად: ბობი ჩარლტონი, ჯორჯ ბესტი, დანკან ედვარდსი და ახლანდელი თაობა — ბექემი, გიგზი, სქოულზი. მიმაჩნია, რომ საკუთარი ვარსკვლავების აღზრდა უმნიშვნელოვანესია. ისინი ხომ გუნდის გულს წარმოადგენენ.

**— საერთაშორისო ფეხბურთის მომავალზე რას ფიქრობთ?**

— საბოლოო ჯამში ის ორ კატეგორიად იყოფა — მსოფლიოს ჩემპიონატი და ჩემპიონთა ლიგა. ამიტომ საერთაშორისო ფეხბურთი იყო და კვლავაც რჩება უმნიშვნელოვანესად. ყველა უნდა ეცადოს, რაღაცით მაინც შეუწყოს ხელი ამ მექანიზმს.

**— ლეგიონერებზე რას იტყვით, რა გავლენას ახდენენ ისინი თქვენი გუნდის სტილზე?**

— ერიკ კანტონა გავიხსენოთ. მან კლუბში თავისი ეთიკა მოიტანა. ერიკი ვარჯიშების შემდეგაც რჩებოდა და ოსტატობას ხვეწდა, ახალგაზრდები კი მას უყურებდნენ და ამით დიდ სარგებელსაც იღებდნენ.

როცა კანტონას პრობლემები ჰქონდა, ყოველთვის მის მხარეზე ვიყავი. ვფიქრობ, მოთამაშეს მწვრთნელისა ასი პროცენტით უნდა სჯეროდეს. ამიტომაც სახალხოდ არასოდეს არავინ გამიკიცხავს. თუ რაიმე შენიშვნა მაქვს, მირჩევნია, ადამიანს ერთი ერთზე ველაპარაკო. ფეხბურთელსა და მწვრთნელს შორის ნდობა წმინდა საქმეა.

**— ახალი თაობის სუპერვარსკვლავებზე რას ფიქრობთ?**

— სუპერვარსკვლავებს, როგორც წესი, დაუმსახურებლად დიდი წარმოდგენა აქვთ საკუთარ თავზე. რას ვიზამთ, ფული ადამიანს ცვლის. მაგრამ ჩემი ფეხბურთელების მენტალიტეტი ურყევია, მიუხედავად იმისა, რომ ისინი საკმაოდ მაღალ ანაზღაურებას იღებენ. ისეთი ხალხიც არსებობს, რომლებიც დიდი ფულის შოვნის შემდეგაც ამბიციურებად რჩებიან, კარგი გაგებით, რა თქმა უნდა. მე ბუნებით ენერგიული კაცი ვარ, ამიტომ მიღწეულით არასოდეს ვკმაყოფილდები და ვცდილობ, უფრო და უფრო მეტს შევწვდე.

**— კიდევ რა არ მოგწონთ თანამედროვე ფეხბურთში?**

— ყველაზე ძალიან ფეხბურთელების მინდორზე სიმულაცია მაბრაზებს. ისინი ცდილობენ, მსაჯს საჯარიმო ან ბარათი გამოსთხოვონ. ბევრს ეს უკვე თვისებად ექცა. ვთვლი, რომ ასეთი ქცევა ნამდვილ ფეხბურთელს არ ეკადრება. ამიტომ ჩემს მოთამაშეებს ვუკრძალავ მსგავს ულირსობებს. კარგი იქნებოდა, ასეთებს მინდვრიდან აძევებდნენ.

**— უკვე არაერთი წელიწადია, იღბლიან მწვრთნელად გთვლიან. შეიცვალა თუ არა ამ ხნის მანძილზე თქვენი საფეხბურთო ფილოსოფია?**

— არა მგონია. გუნდები, რომლებსაც ვწვრთნიდი, სანახაობრივ, შემტევ ფეხბურთს თამაშობდნენ. მოთამაშეები ჟინიანები და საკუთარ თავში დარწმუნებულები იყვნენ. ისინი მინდორზე ყოველთვის გასამარჯვებლად გადიოდნენ. ესეც ჩემი საფეხბურთო ფილოსოფია. უკვე 25 წელიწადია, მწვრთნელი ვარ და ყოველთვის მინდოდა, ფეხბურთელებს მინდორზე ჩემი იდეები განეხორციელებინათ.

თქვენ გაინტერესებთ, როდის გადავდგები და რას გავაკეთებ, როცა მწვრთნელობას თავს დავანებებ? ეს ძალიან რთული საკითხია. შესაძლოა სამოცს რომ გადავცილდები, კარიერა მაშინ დავამთავრო. თუმცა ეს ჯერ კიდევ საკითხავია...

„უორლდ სოკერი“



სარბიელის არქივიდან

ეშმაკი ფერგის დღევანდელი ვარსკვლავები

## საჭირბოროტო კითხვა-პასუხი

— ჩვენი სოფელი არა...

***— შენც აღენთე?***

— როგორ, აბა ის ბიჭი ფეხბურთელია?

***— მე ვიცი, ჩვენი მთავარი უბედურება.***

— მეც ვიცი...

***— შენ რომ იცი, ის არ არის მთავარი.***

— მთავარია. გახსოვს „მიმინოში“ რა ქალი ეუბნება, კარგი, ყველაფერი ძვირიაო.

***— მერე?***

— მერე იაფი არასოდეს ვარგა.

***— იაფი იყო ანელკა და ნახე როგორ გაძვირდა?***

— შენ სადა ბანაობ?

***— ლაგუნა ვერეზე.***

— ჰოდა, მანდ ანელკა არ დამინახავს.

***— ამით რისი თქმა გინდა?***

— იმისა, რომ ვერ შეხვდებიან ერთმანეთს, ღამე და დღე.

***— და მაინც, ეგ არ არის მთავარი.***

— აბა, მაშ რა?

***— ისა, რომ გვეშინია?***

— ჩვენ გვეშინია?

***— დიახ.***

— მე არაფრის მეშინია.

***— ეგ იმას არ ნიშნავს, რომ არ წააგებ. სან მარინოსაც არ ეშინია იტალიასთან თამაშის, მაგრამ აგებს.***

— ვერ გავიგე, რა გინდა?

***— უცხოელების გეშინიათ, მაგრამ გავიწყდებათ...***

— რა გვავიწყდება?

***— რომ ფეხბურთი თელასი და საბაჟო არ არის.***

— სულაც არ მეშინია მაგ შენი უცხოელების. მითუმეტეს, თელასის...

***— გააღე კარი და შემოუშვი...***

— ფეხბურთს ლოზუნგები არ უხდება.

***— „ლივერპულს“ აქვს ლოზუნგი, „პსჟ“-ს აქვს ლოზუნგი. ყველას აქვს ლოზუნგი...***

— აკი გითხარი, სხვაგან ბანაობ-მეთქი.

***— რა გინდა, ვინ მოგვიყვანოთ? ამოტოლა ბოსკამპი მოგვიყვანია...***

— შუკერიც წაგვართვეს...

***— შუკერი შენთან წამოვიდოდა?***

— კაცი მინდა აფრიკიდან, მაგრამ ისეთი კი არა, გზა რომ დაებნევა და შემთხვევით შემობოდიალდება...

***— ეგეთი მუსტაფა ჰაჯია და აქედან შორსაა...***

— კაი შემოდგომა და მოვაახლოვებ ვინმე ეგეთს.

***— ზღაპარია. შენი მუსტაფა არის ანდრე დე სოუზა.***

— ეგ სკოტი პიპენს ჩამოჰგავს.

***— და გაზა?***

— გაზასაც ჩამოიყვანდი?

***— ეჰ...***

— ჰა, მართალი ვარ?

***— პიერ რიშარი ჩამოგვიყვანია და...***

— ჯეიმს ბრაუნი?

***— დიახ.***

— ერთი დღით.

***— და მაინც, ნუ გეშინია.***

# ევროპის უმნიშვნელოვანესი ტრანსფერები

## იტალია

FEDERAZIONE ITALIANA GIUOCO CALCIO

**მილანი:** იბრაჰიმ ბა (სევილია, ესპანეთი), ჯამპიერო მაინი (პარმა), ანდრე კრუზი- (ტენერიფე), [illegible] (რაპიდი, ავსტრია), მორფეო (ფიორენტინა), ოდო (ნაპოლი), კოკო (ტორინო), იანუცი (ბოლონია), [illegible] (კორინთიანსი, ბრაზილია); **ანდრეი შევჩენკო (დინამო, უკრაინა), სერჟინიო (სან პაულუ, ბრაზილია), დიეგო დე აშენტისი (ბარი), ჯენარო გატუზო (სალერნიტანა), პიერლუიჯი ორლანდინი (პარმა), ალესანდრო ტეოდორანი (ჩენინა), მაკს ტონეტო (ემპოლი);** ლაციო: პოლ ოკონი (ფიორენტინა), კრისტიან ვიერი (ინტერი), ძორონე (ემპოლი), ბარონიო (რეჯინა); **კენეტ ანდერსონი (ბოლონია), სიმონე ინძაგი (პიაჩენცა), რობერტო სენსინი (პარმა), დიეგო სიმეონე (ინტერი), ხუან სებასტიან ვერონი (პარმა);** იუვენტუსი: დიდიე დეშამპი (ჩელსი, ინგლისი), ანჯელო დი ლივიო (ფიორენტინა), ანჯელო პერუჯა (ინტერი), ბლანშარი (ლანსი, საფრანგეთი), დე სანტისი (უდინეზე); **ჯონათან ბაჯინი (უდინეზე), დარკო კოვაჩევიჩი (სოსიედადი, ესპანეთი), სანდო ოლისე, ედვინ ვან დერ სარი (აიაქსი, ჰოლანდია), მარსელო სალაიეტა (ემპოლი), ჯანლუკა ძამბროტა (ბარი), პეკაია (სამპდორია), ობრაიენი (მიდლსბრო, ინგლისი), ისაქსონი (ტრელებორგი, შვედეთი);** ინტერი: ჯანლუკა პალიუკა (ბოლონია), დიეგო სიმეონე (ლაციო), ნიკოლა ვენტოლა (ბოლონია), არონ ვინტერი (აიაქსი, ჰოლანდია), ზე ელიასი (ბოლონია), დი ნაპოლი (პიაჩენცა); **ლორან ბლანი (მარსელი, საფრანგეთი), ზუმანა კამარა (ემპოლი), სირილ დომორო (მარსელი, საფრანგეთი), სალვატორე ფრეზი (სალერნიტანა), ვლადიმირ იუგოვიჩი (ატლეტიკო, ესპანეთი), ლუკა მეცანო (პერუჯა), კრისტიან პანუჩი (რეალი, ესპანეთი), ანჯელო პერუცი (იუვენტუსი), ალვაროო რეკობა (ვენეციკა), კრისტიან ვიერი (ლაციო), კრისტიანო ძანეტი (კალიარი), დაბო (ვიჩენცა), ფერარი (ლეჩე), კალონი (კალიარი);** ფიორენტინა: ფრანჩესკო ფლაკი (სამპდორია), კარმინე ესპოზიტო (კალიარი), რობიატი (ნაპოლი), ბიჯიკა (ნაპოლი), ედმუნდო (ვასკო და გამა, ბრაზილია); **დანიელე ადანი (ბრეშა), აბელ ბალბო (პარმა), სტეფანო ბეტარინი (ბოლონია), მაურო ბრესანი (ბარი), ენრიკო კიეზა (პარმა), ანჯელო დი ლივიო (იუვენტუსი), პრედრაგ მიატოვიჩი (რეალი, ესპანეთი), პოლ ოკონი (ლაციო), ფაბიო როსიტო (ნაპოლი), ალესანდრო პიერინი (უდინეზე), მორფეო (მილანი);** პარმა: აბელ ბალბო, ენრიკო კიეზა (ფიორენტინა), რეინალდ პედროსი (მონპელიე, საფრანგეთი), რობერტო სენსინი, ხუან სებასტიან ვერონი (ლაციო), პიერლუიჯი ორლანდინი (მილანი), ფიორე (უდინეზე), კარდონე (ვენეციკა), ადაილტონი (ვერონა), ასპრილია (პალმეირასი, ბრაზილია); **მარსიო ამოროზო, სტეფან აპია (უდინეზე), რობერტო ბრედა (სალერნიტანა), მარკო დი ვაიო (სალერნიტანა), ჯამპიერო მაინი (მილანი), მიკელე სერენა (ატლეტიკო, ესპანეთი), ანტონ სერიჩი (ჰაიდუკი, ხორვატია), რობერტო სტელონე (ლეჩე), სტეფანო ტორიზი (ატლეტიკო, ესპანეთი), ლასისი (სამპდორია), სტრადა (პერუჯა), ვალემი (უდინეზე), მონტანო (კლმესი, არგენტინა);** რომა: პაულო სერჟიო (ბაიერნი, გერმანია), პიერ ვომე (ბოლონია), ლუჩენტი (ნაპოლი), კიმენტი (ლეჩე), დ. კონტი (კალიარი); **ფრანჩესკო ანტონიოლი (ბოლონია), სერგეი გურეჩკო (ლოკომოტივი, რუსეთი), ალესანდრო რინალდი (ბოლონია), ვალტერ სამუელი (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა), მონტელა (სამპდორია), მანგონე (ბოლონია), ასუნსაო (სანტოსი, ბრაზილია);** ბოლონია: კენეტ ანდერსონი (ლაციო), ფრანჩესკო ანტონიოლი (რომა), სტეფანო ბეტარინი (ფიორენტინა), ალესანდრო რინალდი (რომა), მაინი (მილანი), ბრუნერი (კომო), პომპეი (ასკოლი), მანგონე (რომა); **დავიდე დი მიკელე (სალერნიტანა), ჯანლუკა პალიუკა, ნიკოლა ვენტოლა, ზე ელიასი (ინტერი), პიერ ვომე (რომა), როკატი (რავენა);** უდინეზე: მარსიო ამოროზო, სტეფან აპია (პარმა), ჯონათან ბაკინი (იუვენტუსი), ალესანდრო პიერინი (ფიორენტინა), ვალემი (პარმა), კალორი (პერუჯა), ვაპენაარი (უტრეხტი, ჰოლანდია); **ვარლეი (ატლეტიკო პარანენსე, ბრაზილია), მარჯიოტა (რეჯანა), პინედა (მალიორკა, ესპანეთი), სოტილი (ატალანტა), პისარო (უენდერერსი, ჩილე), ფიორე (პარმა), დე სანტისი (იუვენტუსი), ბუდიმირი (ჰაიდუკი, ხორვატია), მუცი (კალიარი), რენარდი (შარლერუა, ბელგია), აკვასი (ლუგანო, შვეიცარია);** ბარი: მაურო ბრესანი (ფიორენტინა), დე აშენტისი (მილანი), ჯანლუკა ძამბროტა (იუვენტუსი); **დელ გროსო (სალერნიტანა), დიეგო მარკიჩი (რივერ პლეიტი, არგენტინა), პეროტა (იუვენტუსი), ფერარი (ინტერი);** კალიარი: კ. ძანეტი (ინტერი), ვაზარი (სამპდორია), ძანინჩელი (ბრეშა), კენტურიონი (ტრევიზო), კალონი (ინტერი), ბიზოლი (პერუჯა), მუცი (უდინეზე); **მოდესტო (ბასტია, საფრანგეთი), დილიზო (ვიჩენცა), მაიელი (შატორუ, საფრანგეთი), დ. კონტი (რომა);** ლეჩე: სტელონე (პარმა), კასალე (სამპდორია), ფერარი (ინტერი); **ბონომი (ემპოლი), კოლონელო (პერუჯა), ლიმა (ციურინი, შვეიცარია), კიმენტი (რომა), კობმეევი (ლიტექსი, ბულგარეთი);** პერუჯა: კოლონელო (ლეჩე), რანტანელი (რეჯანა), რივასი (ინტერი), სტრადა (პარმა); **ტაპია (უნივერსიდად კათოლიკა, ჩილე), ბერნანდინი (სალერნიტანა), დანი გარსია (აალსტი, ბელგია), სტეფანოვიჩი (შეფილდ უენსდეი, ინგლისი), პანტელიჩი (ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია), კალორი (უდინეზე), მილანეზე (პარმა), ბიზოლი (კალიარი), მატერაცი (ევერტონი, ინგლისი);** პიაჩენცა: ს. ინძაგი (ლაციო), სტატუტო (რომა); **მორონე (ლაციო), დი ნაპოლი (ინტერი);** რეჯინა: ფირმანი (ვიჩენცა), ტომიჩი (ვიჩენცა); **ბარონიო (ლაციო), კალონი (ინტერი), იანუცი (მილანი), სტოვინი (ვიჩენცა);** ტორინო: ფატორი (ვიჩენცა); **ივეჩი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), ლანტეი (ველსინგბორგი, შვედეთი), ედმანი (ჩელსინგბორგი, შვედეთი); კრუზი (მილანი), სილენცი (რავენა), კოკო (მილანი), დიაგარა (მონაკო, საფრანგეთი), პანარელი (ნაპოლი), პეკია (იუვენტუსი);** ვენეციკა: რეკობა (ინტერი), აპინფული (ბოავიშტა, პორტუგალია), ტუტა (გიმარაეში, პორტუგალია), პისტონე (ნიუკასლი, ინგლისი); **ბუდანი (რიეკა, ხორვატია), კარდონე (ვიჩენცა), ნანადი (ჯუბილო ივატა, იაპონია), პეტკოვიჩი (ბაია, ბრაზილია), ბერგი (რუსენბორგი, ნორვეგია);** ვერონა: ფოლიო (რეჯინა); **ადაილტონი (პსჟ, საფრანგეთი), სპეხარი (მონაკო, საფრანგეთი), ფრეი (ინტერი), ანასტასი (ფოჯა).**

## ინგლისი

**მანჩესტერ იუნაიტედი:** პეტერ შმაიხელი (სპორტინგი, პორტუგალია); **მარკ ბოსნიჩი (ასტონ ვილა), ხორდი კრუიფი (სელტა, ესპანეთი);** არსენალი: კაბა დიავარა (მარსელი, საფრანგეთი), დავიდ გრონდინი (სენტ ეტიენი, საფრანგეთი), სტივ ბოულდი (სანდერლენდი); **ოლეგ ლუჟნი (დინამო, უკრაინა), მოლვინიო (კორინთიანსი, ბრაზილია), სტეფან მალეი (მიუნხენი, გერმანია);** ჩელსი: მაიკლ დაბერი (ლიდსი), ენდი მეიერსი (ბრედფორდი), ედი ნიუტონი (ბირმინგემი); **დიდიე დეშამპი (იუვენტუსი, იტალია), მარიო მელხიოტი (აიაქსი, ჰოლანდია), კრის სატონი (ბლეკბერნი), იენს ჰოჯი (ფენერბაჰჩე, თურქეთი);** ლივერპული: სტივ მაკმანამანი (რეალი, ესპანეთი), დევიდ ჯეიმსი (ასტონ ვილა), ჟან მიშელ ფერი (სოშო, საფრანგეთი); **აბუბაკარ „ტიტი“ კამარა (მარსელი, საფრანგეთი), სტეფან ენჩოსი (ბლეკბერნი), სემი ჰიპია (ტილბურგი, ჰოლანდია), ვლადიმირ შმიცერი (ლანსი, საფრანგეთი), სანდერ ვესტერველდი (ვიტესი, ჰოლანდია), ერიკ მეიერი (ლევერკუზენი, გერმანია), დიტმარ ჰამანი (ნიუკასლი), ჯიმი ტროორე (ლავალი, საფრანგეთი);** ნიუკასლი: დავიდ ტერეე (ნიკა, საფრანგეთი), ფილიპ ალბერი (შარლეროა, ბელგია), დიტმარ ჰამანი (ლივერპული); **ფრანკ დუმა (მონაკო, საფრანგეთი), ალან გიმა (პსჟ, საფრანგეთი), მარსელინო ელენა (მალიორკა, ესპანეთი), კაირონ დაიერი (იფსვიჩი);** ევერტონი: იბრაჰიმ ბაკაიოკო (მარსელი, საფრანგეთი), ოლივიე დაკურტი (ლანსი, საფრანგეთი), მარკო მატერაცი (პერუჯა, იტალია); **კევინ კეშბელი (ტრაბზონი, თურქეთი), რიჩარდ გაფი (ნოტინგემი);** ძოვენორი: ჯორჯ ბოატენგი (ასტონ ვილა), ფილიპ კლემენტი (ბრიუგე, ბელგია); **მუსტაფა ჰაჯი (დეპორტივო, ესპანეთი), იუსუფ ჩიპო (პორტუ, პორტუგალია);** ასტონ ვილა: სტენ კოლიმორი (ფულემი); **დევიდ ჯეიმსი (ლივერპული), ჯორჯ ბოატენგი (ქოვენთრი), ნაგუან გრაეფი (ჰაპოელი, ჰაიფა, ისრაელი);** ლესტერი: კეიტი კელერი (რაიო ვალეკანო, ესპანეთი); **სანდერლენდი:** მაიკლ ბრიჯისი (ლიდსი), ლი კლარკი (ფულჰემი); **ტომას ჰელმერი (ბაიერნი, გერმანია), სტივ ბოულდი (არსენალი), კარსტენ ფრედგაარდი (ლუნგბიუ, დანია);** ლიდსი: ლი შარპი (ბრედფორდი), დევიდ ვატერსი (ბრედფორდი), გუნარ ჰალე (ბრედფორდი); **მაიკლ ბრიჯისი (სანდერლენდი), მაიკლ დაბერი (ჩელსი), დენი მილსი (ჩარლტონი), ერიკ ბაჟე (სოგნდალი, ნორვეგია);** დერბი: პაოლო ვანჩიპი (ვესტ ჰემი); **ესტებან ფუერტესი (კოლონი, არგენტინა), ენდი ოუკსი (ჰული), სეტ იონსონი (ქრიუ);** ვესტ ჰემი: ეიალ ბერკოვიჩი (სელტიკი, შოტლანდია); **პაოლო ვანჩიპი (დერბი);** შიმბლდონი: მარკ კენედი (მანჩესტერ სიტი), კრის პერი (ტოტენჰემი); **უალედ ბადერი (ჰაპოელი, ფ-თ, ისრაელი), კელვინ დევისი (ლუტონი), კრის ვილმოტი (ლუტონი), ტორე პედერსენი (აინტრახტი, გერმანია);** უოტფორდი: დარენ ბაზელი (ვულვზი); **დომინიკ ფოლი (ვულვზი), მარკ უილიამსი (ჩესტერფილდი), დეს ლიტლი (ნოტინგემი);** ტოტენჰემი: რორი ალენი (პორტსმეთი), ენდი სინტონი (ვულვზი); **კრის პერი (უიმბლდონი), ვილი კორსტენი (ვიტესი, ჰოლანდია);** საუთჰემპტონი: დინ რიჩარდსი (ვულვზი); **შეფილდ უენსდეი:** ჟილ დე ბილდე (ეინდჰოვენი, ჰოლანდია), გერალდ სიმონი (აიაქსი, ჰოლანდია), ფილ ოდონელი, სიმონ დონელი (ორიგე სელტიკი, შოტლანდია);

## ესპანეთი

**ბარსელონა:** სონი ანდერსონი (ლიონი, საფრანგეთი), ჯოვანი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), დრაგან ჩირიჩი (აეკი, საბერძნეთი), როხერი (მონაკო, საფრანგეთი), ოსკარი (ვალენსია), ოკუნოვო (ბენფიკა, პორტუგალია), პელეგრინო (ველესი, არგენტინა); **დანი (მალიორკა), ფრედერიკ დეუ (ლანსი, საფრანგეთი), იარი ლიტმანენი (აიაქსი, ჰოლანდია), სიმაო საბროსა (სპორტინგი, პორტუგალია);** რეალი: ფერნანდო სანსი (მალაგა), ხაიმე (დეპორტივო), პრედრაგ მიატოვიჩი (ფიორენტინა, იტალია), კრისტიან პანუჩი (ინტერი, იტალია), როხასი (მალაგა), კონტრერასი (მალაგა), ედგარი (მალაგა), ეტო (მალაგა); **ელვირ ბალეი (ფენერბაჰჩე, თურქეთი), მანუელ კანაბალი (ალავესი), ივან ელგერა (ესპანიოლი), სტივ მაკმანამანი (ლივერპული, ინგლისი), მიჩელ სალგადო (სელტა), ხულიო ცეზარი (ვალიადოლიდი), კონგო (კალდესი, კოლუმბია), ნჯიტაპი (გენჩლერბირლიგი, თურქეთი);** სელტა: მიჩელ სალგადო (რეალი), ოსკარ ვალენსია (ბილბაო), ხუან სანჩესი (ვალენსია), ხორდი კუიფი (მანჩესტერი, ინგლისი), ეგენი (ალავესი), ხოსეა (ოსასუნა); **გუსტავო ლოპესი (სარაგოსა), მარკო პანტელიჩი (ლოზანა, შვეიცარია), მარიო ეჭტორ ტურდო (ინდეპენდიენტე, არგენტინა), ჯოვანელა (ალამანსა), ველასკო (სევილია), პაბლო (ნუმანსია), სერხიო (სპორტინგი);** სარაგოსა: გუსტავო ლოპესი (სელტა); **ალბერტო ბელსუე (ალავესი), ცეზარ ლაინესი (ვილიარეალი), პიერი (ტენერიფე), მარტინ ველიკა (ალამანსა),** ატლეტიკო: ხუან კარლოს კარსედო (ნიკა, საფრანგეთი), ვლადიმირ იუგოვიჩი (ინტერი, იტალია), მიკელე სერენა (პარმა, იტალია), სტეფანო ტორიზი (პარმა, იტალია); **ხუან კაბეჟონი (ესპანიოლი), კარლოს გამარა (კორინთიანსი, ბრაზილია), ვლი

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### საფრანგეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. I ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 31.07 | მეცი — რენი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | პსჟ — ტრუა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | ლიონი — მონპელიე | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| | სტრასბური — ლანსი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | ნანტი — ლე ავრი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | მარსელი — სედანი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | ოსერი — ნანსი | 1,8 | 2,9 | 4,2 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. I ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 30.07-1.08 | ვასკალი — ლე მანი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | კრეტეი — ნიორი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | გენგამი — ამიენი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | ლავალი — ლილი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | ნიმი — სოშო | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | ნიცა — გენიონი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | აიაჩო — ლორიანი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | შატორუ — ვალანსი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | ლუანი — კანი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | ტულუზი — კაენი | 1,5 | 3,3 | 6,0 |

### ჩეხეთის ჩემპიონატი. I ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 31.07 | იაბლონეცი — დუკლა | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | ტეპლიცე — ოპავა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 1.08 | ბუდეიოვიცე — დრნოვიცე | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | ბრნო — სიგმა | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | ბოჰემიანსი — სლავია | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| | ბანიკი — ბლშანი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | ჰ. კრალოვე — ლიბერეცი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

### პოლონეთის ჩემპიონატი. III ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 30.07-1.08 | ამიცა — ლეხი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | ლეგია — ზაგლებე | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | ოდრა — გურნიკი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | პლოცკი — ლკს | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | ვიძევი — ვისლა | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| | რაძიონკოვი — რუხი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | გროცლინი — პოლონია | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | პოგონი — სტომილი | 2,1 | 2,9 | 3,2 |

### უკრაინის ჩემპიონატი. V ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.08 | ზაპოროჟიე — დინამო | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| | შახტარი — ვორსკლა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | პრიკარპატია — კრივბასი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | მარიუპოლი — დნიპრო | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | ნივა — ტავრია | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | ცსკა — ზირკა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | მეტალისტი — მეტალურგი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | კარპატი — ჩორნომორეცი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. I ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 31.07 | აბერდინი — სელტიკი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | რეინჯერსი — კილმარნოკი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | ჰიბერნიანი — მოზერველი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | სტ. ჯონსტონი — ჰართსი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | დანდი იუნაიტედი — დანდი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი. VI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 31.07 | ივერდონი — გრასჰოპერი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | ბაზელი — დელემონი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | ლუგანო — ლოზანა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | ქსამაქსი — სენტ გალენი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | ციურიხი — ლუცერნი | 1,2 | 3,9 | 4,7 |
| 1.08 | არაუ — სერვეტი | 3,4 | 2,9 | 2,0 |

### ავსტრიის ჩემპიონატი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 31.07 | აუსტრია — რაპიდი | 2,6 | 2,9 | 2,4 |

### დანიის ჩემპიონატი. II ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.08 | ვეილე — ბრონდბიუ | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| | აგფ — ჰერფოლგე | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | ოდენსე — აკადემისკი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | ლიუნგბიუ — ესბიერგი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | სილკებორგი — კოპენჰაგენი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 2.08 | ოლბორგი — ვიბორგი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

### შვედეთის ჩემპიონატი. XV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 31.07 | აიკ — ელფსბორგი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 1.08 | ნორჩიოპინგი — კალმარი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | ტრელებორგი — ფრიოლუნდა | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 2.08 | ჰამარბი — იორებრო | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | ჰელსინგბორგი — იორგრიტე | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | გიოტებორგი — მალმიო | 1,7 | 3,0 | 4,7 |

### ნორვეგიის ჩემპიონატი. XVII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.08 | ბრანი — ბოდო გლიმტი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | მოლდე — ვოლერენგა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | ოდ გრენლანდი — მოსი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | სტაბეკი — ლილესტრიომი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | სტრომსგოდსეტი — სკეიდი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | ვიკინგი — ტრომსიო | 2,3 | 2,8 | 2,9 |

### გერმანიის თასი. I ეტაპი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 31.07 | ვერლი — მონხენგლადბახი | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| | დარმშტადტი — ხემნიცი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | კარლ ცაისი — ფიურტი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| | პლაუენი — ალემანია | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | ოსნაბრიუკი — კოტბუსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | ჰემი — კიკერსი | 6,0 | 3,8 | 1,4 |
| | ზინგენი — ობერჰაუზენი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 1.08 | ვუპერტალი — ოფენბახი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | დუსელდორფი — ნიურნბერგი | 4,4 | 3,1 | 1,7 |

### ინგლისის სუპერთასი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.08 | მანჩესტერი — არსენალი | 1,8 | 3,0 | 4,0 |

### რომელი გუნდი გაიმარჯვებს

| | |
|---|---|
| მანჩესტერი | 2,5 |
| მილანი | 2,5 |
| ბარსელონა | 2,5 |
| ლაციო | 4,0 |
| ფიორენტინა | 5,0 |
| პარმა | 5,0 |
| ბაიერნი | 5,0 |
| რეალი | 6,0 |
| არსენალი | 7,0 |
| ჩელსი | 7,0 |
| დორტმუნდი | 10,0 |
| ლევერკუზენი | 10,0 |
| მარსელი | 10,0 |
| ბორდო | 10,0 |
| ვალენსია | 10,0 |
| მალიორკა | 15,0 |
| ჰერტა | 15,0 |
| ლიონი | 15,0 |
| ფეიენოორდი | 15,0 |
| ეინდჰოვენი | 15,0 |
| პორტუ | 15,0 |
| დინამო (კიევი) | 15,0 |
| სპარტაკი | 25,0 |
| რუსენბორგი | 25,0 |
| კროაცია | 25,0 |
| პარტიზანი | 25,0 |
| გენკი | 25,0 |
| ოლიმპიაკოსი | 50,0 |
| აეკ | 50,0 |
| გალათასარაი | 50,0 |
| ბეშიქთაში | 50,0 |
| ბოავიშტა | 50,0 |
| ცსკა | 50,0 |
| რეინჯერსი | 50,0 |

## ჩემპიონთა თასი

CHAMPIONS LEAGUE

### რომელი ქვეყნის ნარმომადგენელი გაიმარჯვებს

| | |
|---|---|
| იტალია | 2,0 |
| ესპანეთი | 2,4 |
| ინგლისი | 2,4 |
| გერმანია | 3,0 |
| საფრანგეთი | 5,0 |
| ჰოლანდია | 8,0 |
| პორტუგალია | 15,0 |
| უკრაინა | 15,0 |
| ნორვეგია | 25,0 |
| რუსეთი | 25,0 |
| ხორვატია | 25,0 |
| ბელგია | 25,0 |
| იუგოსლავია | 25,0 |
| საბერძნეთი | 50,0 |
| თურქეთი | 50,0 |
| შოტლანდია | 50,0 |

## უეფას თასი

UEFA CUP

### რომელი ქვეყნის ნარმომადგენელი გაიმარჯვებს

| | |
|---|---|
| იტალია | 2,5 |
| ესპანეთი | 3,0 |
| ინგლისი | 3,0 |
| გერმანია | 5,0 |
| საფრანგეთი | 8,0 |
| ჰოლანდია | 8,0 |
| პორტუგალია | 12,0 |
| ბელგია | 15,0 |
| რუსეთი | 25,0 |
| იუგოსლავია | 25,0 |
| ხორვატია | 25,0 |
| შვედეთი | 25,0 |
| ჩეხეთი | 50,0 |
| ნორვეგია | 50,0 |
| თურქეთი | 50,0 |
| შვეიცარია | 50,0 |
| შოტლანდია | 50,0 |
| საბერძნეთი | 50,0 |
| რუმინეთი | 50,0 |

### რომელი გუნდი გაიმარჯვებს

| | |
|---|---|
| იუვენტუსი | 3,0 |
| რომა | 5,0 |
| ლიდსი | 7,0 |
| ტოტენჰემი | 7,0 |
| ბოლონია | 7,0 |
| უდინეზე | 7,0 |
| აიაქსი | 7,0 |
| კაიზერსლაუტერნი | 7,0 |
| დეპორტივო | 10,0 |
| სელტა | 10,0 |
| ატლეტიკო | 10,0 |
| ნიუკასლი | 10,0 |
| ვერდერი | 15,0 |
| ვოლფსბურგი | 15,0 |
| ჰამბურგი | 15,0 |
| დუისბურგი | 15,0 |
| ვესტ ჰემი | 15,0 |
| მონაკო | 15,0 |
| ნანტი | 15,0 |
| ლანსი | 15,0 |
| რენი | 25,0 |
| მონპელიე | 25,0 |
| გენფიკა | 25,0 |
| სპორტინგი | 25,0 |
| ვიტებსკი | 25,0 |
| ლოკომოტივი (მოსკოვი) | 25,0 |
| ჰაიდუკი | 25,0 |
| ცრვენა ზვეზდა | 25,0 |
| ბრიუგე | 25,0 |
| ანდერლეხტი | 25,0 |
| სელტიკი | 25,0 |
| გიოტებორგი | 50,0 |
| ჰაპოკ | 50,0 |
| პანათინაიკოსი | 50,0 |
| როდა | 50,0 |
| სლავია (პრაღა) | 50,0 |
| ზენიტი | 50,0 |
| ფენერბაჰჩე | 50,0 |
| გრასჰოპერი | 50,0 |
| ლიერსი | 50,0 |
| ლოკერენი | 50,0 |
| სტ. ტრუიდენი | 50,0 |
| სტიაუა | 50,0 |
| დინამო (ბუქარესტი) | 50,0 |

*გადამრავლება შეიძლება მხოლოდ ქვეყნის ქვეყანაზე ან გუნდის გუნდზე. ქვეყნის და გუნდის გადამრავლება არ შეიძლება.*
*იმ გუნდებზე, რომლებიც სიაში არ არის შეტანილი, ფსონები არ მიიღება.*

კროკოს ბიუროთა მისამართები:
თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი.
ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში.
ბათუმში — აჰმედ მელაშვილის ქუჩა 23. (ყოფილი კამოს ქუჩა)
რუსთავში — მაჩაბლის ქუჩა 3. პირიმზე, მეორე სართული.
გორში — სტალინის ქუჩა. ჭადრაკის კლუბი.
თელავში — კოსტავას ქუჩა 23
ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

სერენა უილიამსი



ვინუს უილიამსი

# ორმაგი პრობლემა

*იქნებ მოგწონდეთ ისინი, იქნებ დასანახადაც ვერ იტანდეთ, მაგრამ ამ დღეებში დებ უილიამსებს ვერსად გაექცევით — ქალების ჩოგბურთი მათი დაკუნთული სხეულებისა და გამალიზიანებელი თავდაჯერების გარეშე თითქმის წარმოუდგენელი გახდა. ქვემორე იშვიათი ინტერვიუ, რომელშიც სერენა და ვინუსი ერთობლივად მონაწილეობდნენ, ძირითადად შავი ვარსკვლავების პირად ცხოვრებას ეხება.*

**— თქვენ ბალენაილზში, მშობლების საცხოვრებლიდან ათიოდე მილის მოშორებით ერთ ჭრიანი სამოსახლო იყიდეთ. როგორც ამბობენ, სახლების ფასი ამ რაიონში მინიმუმ 1,5 მილიონი დოლარია. რაიმეს ხომ არ გვეტყოდით ამის შესახებ?**

*სერენა:* მამაჩემი ამბობს, ჩემი სახლი თქვენთან შედარებით ძაღლის საცხოვრებელი ხუხულა იქნებაო. თუმცა ძალიან გამიხარდება, როდესაც ბოლოს და ბოლოს მშენებლობა დასრულდება. ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ სახლის აშენებას ამდენი ხანი დასჭირდებოდა. თანაც ძირითადად ადვოკატებისა და დოკუმენტების საკითხებს თავად მე და ვინუსი ვაგვარებთ. როდესაც იზრდები, ახალი რამეების კეთების სურვილი გიჩნდება. ეს დიდი ცვლილება იქნება ჩვენს ცხოვრებაში, სასიამოვნო ცვლილება.

**— ვინუს, თქვენს საქველმოქმედო წამოწყებაში როგორაა საქმე?**

*ვინუსი:* როგორც იცით, ერთი ან ორი ავტობუსი აგვისტოს მეორე კვირაში ჩვენთან ტურისტებს წამოიყვანს. ისინი 150 დოლარის საფასურად მიიღებენ სუვენირებს, პლაკატებს, ჩვენს ავტოგრაფიან სურათებს და ზოგიერთს ვეთამაშებით კიდეც. მთელი თანხა პალმ ბიჩისა და ბელ ლეიდსის გაჭირვებულ ბავშვებს მოხმარდება, წიგნებს იყიდიან, მუზეუმებში წავლენ და სულ მთლად უქონლებს ფეხსაცმელებითაც მოამარაგებენ.

**— მამათქვენმა „ლიპტონის“ ჩემპიონატის ფინალის შემდეგ, რომელშიც თქვენ ერთმანეთს შეხვდით, თქვა, რომ ეს უბედნიერესი დღე იყო მის ცხოვრებაში. რას ნიშნავდა ის ფინალი თქვენთვის?**

*ვინუსი:* სერენას და მე ყოველთვის გვწამდა, რომ დიდი ტურნირების ფინალში მოგვიხდებოდა შეხვედრა, ჩვენ ამას ველოდით და არც ვმალავდით. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია, ჩვენ კიდევ ბევრ ფინალში ვიპაექრებთ — უიმბლდონზე, აშშ-ის ღია პირველობაზე...

**— ტრეისი ოსტინმა, „ოუფენის“ ყოფილმა ჩემპიონმა, ახლა კი სატელევიზიო კომენტატორმა, თქვა, ვინუს და სერენას თავიანთი პოტენციალი ჯერაც არ გამოუვლენიათო. რას ფიქრობთ ამაზე?**

*ვინუსი:* ზუსტი კომენტარია. სერენა და მე ახლა ბევრ რამეს ვითვისებთ და სრული ძალით ჯერაც არ ავთამაშებულვართ. როდესაც ეს მოხდება, ჩვენს მეტოქეებს ნამდვილად ცუდი დღე დაუდგებათ (იცინის).

**— ჩოგბურთის გულშემატკივრები საკმაოდ კარგად იცნობენ მამათქვენს (რიჩარდს), მაგრამ გაცილებით ნაკლებად დედას — ორასინს, რომელიც თქვენ ტურნირებზე დაგყვებათ. ისიც ისეთივე მკაცრი და მომთხოვნია?**

*სერენა:* იგი შესანიშნავი პიროვნებაა და ყოველთვის გვამხნევებს ხოლმე, ამასთან კარგი მოძღვარიცაა. როდესაც განათლებას შინ ვიღებდით, ორასინი ჩვენი ერთ-ერთი მასწავლებელი იყო. სულაც არ ვგავართ სხვა თინეიჯერებს, რომლებსაც დედასთან ცუდი ურთიერთობა აქვთ. ჩვენ არასოდეს ვკამათობთ და ბევრს ვხუმრობთ, ძალიან გვსიამოვნებს ერთად ყოფნა.

**— თქვენ ღარიბების უბანში, გეტოში გაიზარდეთ. ახლა, როდესაც „რიბოკთან“ და „პუმასთან“ მრავალმილიონიანი კონტრაქტები გაქვთ, საპრიზოებითაც დიდ თანხებს შოულობთ, თქვენი ცხოვრება შეიცვალა. თავად თუ შეიცვალეთ?**

*სერენა:* ვფიქრობ, არა. ადამიანების უმეტესობას გამდიდრება აყოყოჩებს. იქნებ ცოტათი შევიცვალე კიდეც, მაგრამ არა იმდენად, რომ ცუდი პიროვნება გავმხდარიყავი. შეიცვალა ის, რომ ახლა სულ სხვა საგნებს ვყიდულობ და გაცილებით მეტ გადასახადსაც ვიხდი (იცინის).

**— რამ გადაგაწყვეტინათ საკუთარი ჟურნალის — „ყოველთვიური ჩოგბურთის მიმოხილვის“ დაარსება?**

*ვინუსი:* საქმე ისაა, რომ მე და სერენას ძალიან გვიყვარს კომპიუტერი და კარგად ვერკვევით ამაში. ყველაფერი სწორედ იქედან დაიწყო. ერთ საღამოს ბეჭდვა დავიწყე და მოულოდნელად იდეა გამიჩნდა. მეორე დილით ნაწერი სერენას ვაჩვენე და რაიმე სტატიის დაწერა მოვთხოვე, ასე გახდა იგი მთავარი რედაქტორი და მწერალიც. მერე კი გადავწყვიტე, დაგვებეჭდა ჩვენი წერილები და ტურნირებზე გაგვევრცელებინა, თან ახალი სტატიებიც მოგვეპოვებინა. რაკი სკოლაში აღარ დავდივართ, ეს კარგი გასართობია.

**— ასე რომ, ახლა ჟურნალისტები გახდით?**

*ვინუსი:* შეიძლება ასეც ითქვას, ბევრი ვიკითხეთ და ბევრი ინტერვიუც გავაკეთეთ. უამრავმა ჩოგბურთელმა შეგვაქო, ბევრი წინადადებაც მივიღეთ, თუმცა მათ დაუხმარებლადაც იოლად გავდივართ ფონს.

**— პატარებისთვის განკუთვნილ წიგნში, სახელად „ვინუს უილიამსი“, ვირჯინია არონსონი წერს, რომ ვინუსსა და სერენას ეკრძალული აქვთ ბიჭებთან შეხვედრა, ტელევიზორს კვირაში ორი საათით უყურებენ და წვეულებებზეც საერთოდ არ დადიან, ეს მართალია?**

*ვინუსი:* წვეულებაზე ცხოვრებაში არასოდეს ვყოფილვარ და არც მსმენია, სადმე ახლოს მოეწყოთ. ტელევიზორსაც თითქმის არ ვუყურებ, რადგან დრო არ მაქვს. მაგრამ რომ მსურდეს, ალბათ, არავინ დამიშლიდა.

*სერენა:* უმეტესობა ტყუილი წერია. ალბათ, ისეთი რამის დაწერა სურდათ, რაც პატარებს დააინტერესებდათ.

**— მაშ, რომ გსურდეთ, პაემნებზეც ივლიდით?**

*ვინუსი:* ამისთვის დრო მართლა არ მაქვს. მე უფრო ჩოგბურთითა და სულიერი ცხოვრებით ვცხოვრობ.

**— თქვენ ამბობდით, რომ იეღოველობა ჩოგბურთში ძლიერ გეხმარებათ, რწმენის წყალობით ახალგაზრდა ვარსკვლავის ცხოვრებასაც იოლად უმკლავდებით. ხომ არ აგვიხსნიდით, როგორ?**

*ვინუსი:* რელიგიამ მიგვახვედრა, რომ ტურზე თამაში არ არის მთელი ცხოვრება, არსებობს უფრო მნიშვნელოვანი რამეებიც.

**— ვინუს, პემ შრაივერი, WTA ტურის მიერ შენთვის დანიშნული მენტორი, ამბობს, რომ ხშირად სერიოზული საუბრები გქონიათ. რის შესახებ? რა ზეგავლენას ახდენს შრაივერი თქვენს კარიერაზე?**

*ვინუსი:* ჩვენ უმეტესად პირად ცხოვრებაზე ვსაუბრობთ. პემს და მე ბევრი საერთო გვაქვს. ორივენი განუთესლები და დებიუტანტები ვიყავით, როდესაც აშშ-ის ღია პირველობის ფინალში გავედით, თანაც ერთი სიმაღლის ვართ. მან ბევრი რჩევა მომცა. საერთოდ, სასიამოვნო პიროვნებაა.

**— იანა ნოვოტნამ თქვა, რომ ნიჭიერ ახალგაზრდებთან პაექრობა ვეტერანებს დამატებით სტიმულს აძლევს. უკეთ ირჯებიან თქვენი მეტოქეები ახლა?**

*ვინუსი:* ო, დიახ. რაც მე და სერენა გამოვჩნდით, ყველამ მოუმატა, ყველას მოგება სურს. ადრე მხოლოდ რამდენიმე ჩოგბურთელს შეეძლო კონკურენციის გაწევა, ახლა კი ასეთები ბევრნი არიან.

*სერენა:* ჩემი და ვინუსის ჩოგბურთში მოსვლამ ბევრი რამ შეცვალა, ახლა ყველა ბოლომდე იბრძვის, იოლად არაფერს დაგითმობს.

**— ვინუს, თქვენ ქალების მოწოდების სიჩქარის რეკორდი გეკუთვნით — 205 კმ/სთ. ერთხელ თქვით, რომ ამას ყოველწლიურად 15 კმ/სთ-ს მოუმატებდით. მართლა ასე ფიქრობთ?**

*ვინუსი:* არა, რა თქმა უნდა, ეს შეუძლებელია. ადრე, თუ გვიან, 210-ზე ავალ, მაგრამ მეტის გაკეთება ძალიან ძნელი იქნება.

**— მამათქვენმა „ორმაგი პრობლემა“ შეგარქვათ, მაგრამ წყვილეში ერთად ძალიან იშვიათად თამაშობთ. მომავალში რას აპირებთ?**

*სერენა:* „ორმაგ პრობლემაში“ მან მარტო წყვილები კი არა, ერთეულებიც იგულისხმა. ისე, კარგი იქნებოდა, ამ სეზონის ბოლოს საუკეთესოთა ხუთეულში მოვხვედრილიყავით.

**— ვინუს, თქვენ ამბობთ, რომ ძალიან გიყვართ კინოში სიარული. რომელი ფილმები მოგეწონათ ამ ბოლო ხანებში?**

*ვინუსი:* ბოლოს „ათი რამ, რაც შენში მეზიზღება“ (შექსპირის „ჭირვეულის მორჯულების“ თანამედროვე ვარიანტი) ვნახე, მაგრამ დიდი შთაბეჭდილება დატოვა „ქალაქურმა ლეგენდამ“. ისე შემეშინდა, კინაღამ დარბაზიდან გავვარდი, მგარამ მაშინ ფილმის ფინალს ვერ გავიგებდით და დავრჩით (იცინის).

**— ვინუს, თქვენი საყვარელი ადგილი თურმე წიგნების მაღაზია ყოფილა. რა წიგნებს კითხულობთ ხოლმე?**

*ვინუსი:* ყველაფერი რაც სხვადასხვა ქვეყნის კულტურას ეხება. მაგალითად, წლეულს ბევრი წიგნში შევიძინე რუსეთის ისტორიის შესახებ. ეს განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან რუსეთს ახლა მძიმე დრო უდგას.

**— სერენა, თქვენი საყვარელი მწერალი მაია ანგელუ ამბობს, რომ ღირსებათაგან ყველაზე იშვიათი სიმამაცეა. თუ გეგულებათ ასეთი თვისებით დაჯილდოებული პიროვნება?**

*სერენა:* ასეთი ხალხი უამრავი მოიძებნება ისტორიაში. ჩემმა მშობლებმა — დედამ და მამამ დიდი სიმამაცე გამოიჩინეს, რომ მე და ვინუსი იმ სპორტს გვაზიარეს, რომელიც შავკანიანებისთვის თითქმის ხელმიუწვდომელია და შესაძლებლობა მოგვცეს, ჩემპიონები გავმხდარიყავით.

**თარგმნა ავთანდილ სვანიძემ**

## რუსული ვენდეტა

კიცბიუელი. ავსტრია.
GENERAL OPEN
საპრიზო 535 ათასი $

პირველ ნომრად განთესილი ევგენი კაფელნიკოვი ტურნირში მეორე წრიდან ჩაერთო. აქ მისი მეტოქე ჩეხი დოსედელი იყო. სოჭელმა ჟენიამ სამ სეტში მოახერხა ჩეხის დამარცხება და მომდევნო ეტაპზე ესპანელ ალბერტო მარტინს (16) შეხვდა. ჩინებულ ფორმაში მყოფმა რუსმა აპენინელის წინააღმდეგობაც იოლად დაძლია და გუშინ მეოთხედფინალში, თვისტომი მარატ საფინის გამამწარებელს, ავსტრიელ რიჩარდ ფრომბერგს დაუპირისპირდა, ჟენიამ პირველი სეტი 6:3 კი მოიგო, მაგრამ მერე ავსტრიელმა გამოიღო ხელი — მეორე სეტში ტაიბრეიკზე 8:6 იმარჯვა, თუმცა კაფელნიკოვი მალე მოეგო გონს და შეხვედრაც საბოლოოდ მისი გამარჯვებით დასრულდა. დღეს კაფელნიკოვი ნახევარფინალში ტურნირში მეხუთე ნომრად განთესილ ალბერტ კოსტას შეხვდება, რომელმაც მეოთხედფინალში თვისტომი ხუან კარლოს ფერერი 3:6, 6:2, 6:3 დაამარცხა.

ნახევარფინალი: **ალბერტ კოსტა** (5, ესპანეთი) — ხუან-კარლოს ფერერო (ესპანეთი) 3:6, 6:2, 6:3; **ევგენი კაფელნიკოვი** (1, რუსეთი) — რიჩარდ ფრომბერგი (ავსტრალია) 6:3, 6:7 (6:8), 6:3; **ფერნანდო ვისენტე** (14, ესპანეთი) — ნიკოლას ლაპენტი (6, ეკვადორი) 6:7 (4:7), 6:1, 6:3; **შტეფან კოუსბი** (15, ავსტრია) — ფერნანდო მელიგენი (7, ბრაზილია) 6:2, 6:3

REUTERS

ევგენი კაფელნიკოვი

სტენფორდი. კალიფორნია.
BANK OF THE WEST-ის
პირველობა. ჰარდი.
საპრიზო 520 ათასი $

მეორე წრე: **ვინუს უილიამსი** (2, აშშ) — კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) 6:1, 7:6 (7:3); **კორინა მორარიუ** (აშშ) — ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) 7:5, 6:2; **სანდრინ ტესტიუ** (8, საფრანგეთი) — პატი შნიდერი (შვეიცარია) 6:4, 6:1; **ანა კურნიკოვა** (6, რუსეთი) — მარი ჯო ფერნანდესი (აშშ) 6:4, 6:4.

ლოს ანჯელესი. აშშ.
„მერსედეს-ბენცის თასი“ ჰარდი.
საპრიზო 350 ათასი $

მეორე წრე: **ანდრე აგასი** (1, აშშ) — ერიკ ტაინო (აშშ) 6:2, 6:3; **ენდრიუ ილიე** (ავსტრალია) — გორან ივანიშევიჩი (6, ხორვატია) 6:4, 6:4; **ლეიტონ ჰიუიტი** (7, ავსტრალია) — ალექს პრეტცი (გერმანია) 6:3, 6:1.

ანა კურნიკოვა

# სტეფანიამ ბერდი დაამწუხრა

**ბოსტონის საზაფხულო ლიგა**

**სიეტლი 92:85 ინდიანა**

**სიეტლი:** ვინსონი (15), ვილიამსი (15), პატერსონი (21), მაკკოი (10), **სტეფანია (18 ქულა, 7 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 2 დაფარება);** ელისმა, ლუისი (10), ბერი, ჯონსონი (3)
**ინდიანა:** ჰარინგტონი (16), მისკინი (12), პოუპი (4), კროშერი (21), ფოსტერი (6); სმიტი (17), სკელინი (2), იანგი (7), პიერ-ლუი, ფრაიერსონი, ელი

ლარი ბერდის ბოსტონში ჩასვლას ყოველთვის ზარ-ზეიმი ახლავს. არა აქვს მნიშვნელობა ჩასვლის მიზეზს — ბოსტონელები ყოველთვის სიხარულით ხვდებიან „სელტიქსის“ ლეგენდას. ხალხი 80-იან წლებში მოგვრილი სიხარულისთვის სამადლობელს იხდის.

დიდ ლარისაც სიამოვნებს ამგვარი დახვედრა და არაერთხელ უთქვამს: ბოსტონში ყოველთვის კარგ ხასიათზე ვარო. ბერდი ამჟამადაც ბოსტონშია — „ინდიანა პეისერზის“ მთავარი მწვრთნელი გუნდს საზაფხულო ლიგაში ათამაშებს. საწყისი ორი დღის შემდეგ ლარი-ლეგენდა მართლაც კარგ ხასიათზე უნდა ყოფილიყო: მისმა გუნდმა ზედიზედ დაამარცხა გერმანიის ნაკრები და „ფილადელფია 76“.

ტურნირის მესამე დღეს კი ბერდს ხასიათი წაუხდა და ამ საქმეში ქართველი კაცის ხელი ურევია. ამ დღეს ინდიანა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კიდევ ერთი ყოფილი ვარსკვლავის (ოღონდ ბერდზე ნაკლები ელვარების) ჰოლ ვესტფოლის „სიეტლ სუპერსონიქსს“ დაუპირისპირდა.

AP ბოსტონიდან

**სიეტლი — ბოსტონი. ლარი ბერდი (მარცხნივ) ელ ჰარინგტონს ირიგებს**

უეჭველია, რომ ბერდმა ვლადიმერ სტეფანიას ვერავინ მიამაგრა ისეთი, ვინც ქართველს რაღაცაში მაინც დაჩაგრავდა. მოედანზე დაყოფილი 38 წუთის განმავლობაში ვოვა რიგრიგობით იცვლიდა „პეისერზის“ ცენტრებს და მათ თამაშის საკუთარ პირობებს კარნახობდა. „სუპერსონიქსის“ ქართველმა 10-დან 6 ორქულიანი, 3-დან 1 სამქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო.

სიეტლის გამთამაშებელი ფრედ ვინსონი ცოტა უცნაური მოთამაშეა. მან 6-ჯერ ესროლა სამქულიანი და 5-ჯერ მიზანს მიაღწია. სამაგიეროდ, ექვსჯერ ნასროლი ორქულიანიდან ყველა ააცილა. პირველ მეოთხედში ვინსონმა სამი სამქულიანი ჩააგდო და „სუპერსონიქსის“ 30:26 დაწინაურება ძირითადად ამან განაპირობა. სტეფანიას გუნდელების უპირატესობა ნელ-ნელა იზრდებოდა: ტაიმი ხუთი ქულით მოიგეს, მესამე მეოთხედი — რვა ქულით, ხოლო მეოთხე მეოთხედში ერთხანს 16 ქულითაც იყვნენ წინ. ინდიანელმა ოსტინ კროშერმა ძალიან კი მოინდომა, მაგრამ ვერაფერს გახდა. სიეტლელთაგან ყველაზე შედეგიანი რუბენ პატერსონი იყო.

„სუპერსონიქსს“ ბოსტონის საზაფხულო ლიგაში სამი თამაშიდა დარჩა — გერმანიის ნაკრებთან, „ვაშინგტონ ვიზარდსთან“ და „ბოსტონ სელტიქსთან“.

მესამე დღის დანარჩენი თამაშები ასე დასრულდა: „ვაშინგტონ ვიზარდსი“ — გერმანიის ნაკრები 83:63, „ფილადელფია 76“ — „ნიუ ჯერსი ნეთსი“ 97:88, „ბოსტონ სელტიქსი“ — „ნიუ იორკ ნიქსი“ 82:69.

# დასვენებული ტომიანოვიჩის დაბრუნება



**რუდი ტომიანოვიჩი**

„ჰიუსტონ როკეტსის“ მწვრთნელი რუდი ტომიანოვიჩი დიდი მშრომელი კაცია. დღე ხომ გუნდის წვრთნითა ან თამაშებითაა დაკავებული, საღამოს კი ვიდეოდარბაზში მიდის და მთელი ღამე მეტოქე გუნდების თამაშებს უკირკიტებს. ასე იცხოვრა ბოლო ორი წელიწადი ტომიანოვიჩმა და ორგანიზმმაც უმალ ნიშანი მისცა. „როკეტსის“ ექიმმა ჯიმ მუნცმა მწვრთნელს პირდაპირ მიახალა: თუ გადაღლისგან სიკვდილი არ გინდა, ორი თვე კალათბურთი საერთოდ დაივიწყე, ვიდეოდარბაზს არ გაეკარო, დაისვენე და იმკურნალეო.

ტომიანოვიჩი დათანხმდა, რის გამოც ამერიკის ნაკრების მწვრთნელობაზე თქვა უარი. გუნდს ლარი ბრაუნი ჩაუდგა სათავეში და ამერიკის ზონის საოლიმპიადო, შესარჩევი ტურნირი მოაგებინა.

ოთხშაბათს დასვენებული ტომიანოვიჩი სამსახურს დაუბრუნდა და სოლტ ლეიკ სიტიში, „როკი მაუნთინის“ საზაფხულო ბანაკში მყოფ „როკეტსს“ შეუერთდა. შეგირდებმა ღირსეულად აღნიშნეს მასწავლებლის დაბრუნება და „საკრამენტო კინგზს“ 90:73 მოუგეს.

„კარგი ვქენი, ექიმს რომ დავუჯერე. პატარა ბიჭი აღარ ვარ. ადრე ზედიზედ სამი ღამის გათევა შემეძლო, ახლა კი იგივეს გაკეთება ჯანმრთელობას მინგრევს. მთავარია, დასვენებული და ენერგიით სავსე ვარ. კალათბურთიც მომნატრებია“ — თქვა ნამატჩევს რუდი ტომიანოვიჩმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცხვალ ბაზარი იხსნება

*ხვალიდან, 1 აგვისტოდან, ნბა-ში იხსნება თავისუფალ აგენტთა ბაზარი. შეგახსენებთ, რომ თავისუფალი აგენტი გახლავთ კალათბურთელი, რომელსაც ძველ გუნდთან კონტრაქტი დაუძთავრდა და ახლის ძიებაშია. გთავაზობთ გუნდებთან და თავისუფალ აგენტებთან დაკავშირებით მოარულ ხმებსა და ვარაუდებს.*

## ატლანტიკის დივიზიონი

### ბოსტონ სელტიქსი

სავარაუდოდ ბოსტონელები დაიტოვებენ უკანახაზელ რონ მერსერს. არადა, „ჩიკაგო“ მის სანაცვლოდ ტონი კუკოჩს იძლევა.

გუნდის მწვრთნელ რიკ პიტინოს „სიეტლიდან“ ვინ ბეიკერის გადმოყვანა განუზრახავს და მზადაა ამისთვის ანტუან უოლკერს შეელიოს. ბოსტონს აგრეთვე თვალში მოსდის „კლიპერსის“ ფორვარდი როდნი როჯერსი.

### ნიუ ჯერსი ნეთსი

უეჭველია, რომ გუნდი შეინარჩუნებს კეიტ ვან ჰორნს. მისთვის ექვსწლიანი და 73-მილიონიანი კონტრაქტი გამზადებულია, რომელიც ოფიციალურად 1 აგვისტოს გაფორმდება. ამბობენ, ნიუჯერსელები ყველაფერს იღონებენ „ვაშინგტონიდან“ ფორვარდ ოთის ტორპის გადმოსაყვანადო.

### ვაშინგტონ ვიზარდსი

დედაქალაქელებს ძალიან სურთ მიჩ რიჩმონდის დატოვება, მაგრამ საეჭვოა მისი მადა დაკმაყოფილონ: კალათბურთელი ოთხწლიან კონტრაქტს და ყოველწლიურად 12 მილიონ დოლარს ითხოვს. ვაშინგტონელები რიჩმონდის „ორლანდოში“ გაგზავნას და, სანაცვლოდ, პენი ჰარდევეის მიღებას ცდილობენ, მაგრამ ჭირს: ამ შეხვედრაში ჯამური ხელფასის ზღვარი ირღვევა.

### მაიამი ჰითი

მიჩ რიჩმონდით აქაც არიან დაინტერესებულნი, მაგრამ პრობლემაც იგივეა — ფული საკმარისად არ არის. „ლეიკერსის“ გლენ რაისს მაიამიში სახლი აქვს, ამიტომ „ჰითში“ გადმოსვლა სურს. მაიამელები მის სანაცვლოდ პი. ჯეი. ბრაუნს იმეტებენ.

აშშ-ის ნაკრებისა და „ჰითის“ წევრი ტიმ ჰარდევეი დიდი ხანია ეჩიჩინება ნაკრებში თანაგუნდელს, ისე კი სიეტლელ ფორვარდს ვინ ბეიკერს — მაიამიში გადმოდიო. ალბათ არც აქედან გამოვა რამე, რადგან ბეიკერი შვიდ წელიწადში 71 მილიონ დოლარს ითხოვს. ეს კი მაიამელთა ჯამური ხელფასის ზღვარს სცილდება.

### ნიუ იორკ ნიქსი

ეს გუნდი იმათ შორისაა, ვისაც ვაშინგტონელი ოთის ტორპის დასაკუთრება სურს. იმასაც ამბობენ, რომ „ნიუ იორკი“ ლატრელ სპრიუელს ან ალან ჰიუსტონს სთავაზობს „მინესოტას“, საიდანაც ტერელ ბრენდონის გადმოყვანა სურს.

### ორლანდო მეჯიკი

ორლანდოელთა მთელი ვაჭრობა პენი ჰარდევეის უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ კალათბურთელი წელიწადში 10 მილიონ დოლარს ითხოვს, მსურველები მაინც ბლომად ჰყავს. შესაძლებელია, ორლანდომ გაუფორმოს კონტრაქტი ჰარდევეის და მერე გაცვალოს ან გაყიდოს. ამ შემთხვევაში არ გამორიცხავენ გარიგებას „ლეიკერსთან“ (სანაცვლოდ მიიღებენ გლენ რაისს) ან „ვაშინგტონთან“ (სანაცვლოდ მიიღებენ მიჩ რიჩმონდს).

### ფილადელფია 76

ალენ აივერსონი, ალბათ, გუნდში დარჩება. ფილადელფიელები მუშაობენ ერიკ სნოუს მრავალწლიან კონტრაქტზე, რომლის მიხედვითაც იგი წელიწადში 3 მილიონს მიიღებს.

## ცენტრალური დივიზიონი

### კლივლენდ კავალიერზი

კლივლენდმა ორ ახალბედა უკანახაზელს — ანდრე მილერს და ტრაიან ლანგდონს დაუდო კონტრაქტი, ეს კი ნიშნავს, რომ დერიკ ანდერსონისთვის გუნდში ადგილი აღარ არის.

### ჩიკაგო ბულზი

წლეულს არაფერს აპირებენ. სამაგიეროდ, მომავალი წლის ბაზრისთვის უდიდესი გეგმები აქვთ. ამჟამად სახელფასოდ 15 მილიონი დოლარის რეზერვი აქვთ. საგაისოდ ეს რიცხვი უფრო გაიზრდება.

### შარლოტ ჰორნეთსი

სხვა გუნდებთან საქმეს არ დაიჭერს. სურს ჩაკი ბრაუნის და ჩარლზ შეკლფორდის შენარჩუნება. შეელევა ჩაკ პერსონს და კორი ბეკს.

### ტორონტო რეპტორზი

ორლანდოელი პენი ჰარდევეის ერთ-ერთი მსურველია. ამავდროულად სურს პორტლენდელი ჯერმენ ონილის დათრევაც. იგივეს უპირებდა ფილადელფიელ ერიკ სნოუს, მაგრამ ეს უკანასკნელი, ალბათ, ყოფილ კლუბში დარჩება.

„რეპტორზის“ თავისუფალ აგენტს ჩარლზ ოკლის სურს გუნდში დარჩენა, ოღონდ წელიწადში 8 მილიონ დოლარად. კლუბს კი მხოლოდ 5 მილიონის გადახა უნდა.

### ატლანტა ჰოქსი

ჯამური ხელფასის ზღვარამდე 4,4 მილიონი დოლარი უკლია და ამ ფულის შეძლევას ძლიერი თავდამსხმელისთვის აპირებს. ერთ-ერთი კანდიდატურაა ტორონტოელი ჩარლზ ოკლი.

„ატლანტამ“ უკვე მიყიდა „გოლდენ სტეიტს“ მუკი ბლეილოკი. სავარაუდოდ, „პორტლენდში“ წავა სნაიპერი სტივ სმიტი. მის სანაცვლოდ კი ალზია რაიდერს და კელვინ კატოს (ან ჯიმ ჯექსონს) ელიან.

### დეტროიტ პისტონზი

დეტროიტელებს იმიტომ სურთ თავისუფალი აგენტების თავიდან მოშორება, რომ ხელფასის ფონდი გამოათავისუფლონ. ჯერომ ვილიამსი, ბისონ დელი, ჯერი სტეკჰაუზი — ესენი გასაყიდთა სიაში არიან. დელის შეძენა „მილუოკის“ სურდა. იმის შანსიცაა, რომ დელი „ფილადელფიას“ გაუცვალონ თეო რეთლიფში.

### ინდიანა პეისერზი

ინდიანაპოლისელები ჰოლანდიელ ცენტრ რიკ სმიტსს უცდიან: მან უნდა თქვას, ანებებს თუ არა თავს კალათბურთს. არ გარკვეულა ჯალენ როუზის საკითხიც: 1 აგვისტოს ლიგა იტყვის, არის თუ არა იგი თავისუფალი აგენტი.

„ინდიანამ“ ანტონიო დევისი „ტორონტოში“ გაყიდა და ახლა მის შემცვლელ თავდამსხმელს ეძებს. სასურველ კანდიდატურებად „კლიპერსის“ ლორენცენ რაიტი, „პორტლენდის“ ჯერმენ ონილი და „დალასის“ გერი ტრენტი განიხილებიან.

### მილუოკი ბაქსი

მილუოკელებმა თავიანთი ერთადერთი ვარსკვლავი გლენ რობინსონი გასაყიდთა სიაში შეიყვანეს და ხელსაყრელ წინადადებას ელიან. მთხოვნელები ჰყავთ მაიკლ კარის და დელ კარის. მაიკლის გადაყვანა „დეტროიტს“ სურს, მას თვით გრანტ ჰილი უწევს რეკომენდაციას.

## შუა დასავლეთის დივიზიონი

### ვანკუვერ გრიზლიზი

ჯერჯერობით 1999 წლის დრაფტის მეორე ნომრის, სტივ ფრენსისის კონტრაქტით არიან დაკავებულნი.

### დალას მავერიქსი

ჯამური ხელფასის ზღვართან მოტრიალე „დალასს“ ძალიან უნდა ფორვარდ გერი ტრენტის შენარჩუნება, მაგრამ ორ წელიწადში 4,2 მილიონ დოლარზე მეტის გადახდა არ შეუძლია. იგივე დღე უდგათ ეი. სი. გრინსა და სამაკი უოლკერს.

### დენვერ ნაგითსი

გუნდს შორიდან მსროლელი სჭირდება და, შესაძლოა, ამგვარი „დალასის“ თავისუფალი აგენტი ჯორჯ მაკლაუდი გახდეს. მაკლაუდი იყო ჩასული დენვერში და წლიურ 2 მილიონ დოლარს დათანხმდა.

გაჭიანურდა მოლაპარაკება ნიკ ვან ექსელთან. ამ გამთამაშებელს ფული ეცოტავა. თუმცა, ისეთი გუნდებიც ცოტაა, რომლებიც ვან ექსელს წელიწადში 5 მილიონ დოლარზე მეტს გადაუხდიან.

### მინესოტა ტიმბერვულვზი

გუნდის უმთავრესი ამოცანა გამთამაშებელი ტერელ ბრენდონის დატოვებაა. კლუბმა და თავისუფალმა აგენტმა შეთანხმებას მიაღწიეს, რომელიც ოფიციალურად 1 აგვისტოს გაფორმდება.

„მინესოტას“ კევინ გარნეტი ურჩევს ფორვარდ ჯო სმიტს წელიწადში 2 მილიონ დოლარად გუნდში დარჩენას. ტომ ჰემონდსი, „ტიმბერვულვზის“ ყველაზე ღონიერი კალათბურთელი, ალბათ სხვაგან წავა. მის სანაცვლოდ კლიპერსელი ლორენცენ რაიტის ან დალასელი სამაკი უოლკერის მოყვანას ფიქრობენ.

### ჰიუსტონ როკეტსი

ჩარლზ ბარკლის ისეთ გუნდში სურს გადასვლა, რომელიც ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. მისთვის სულერთია, თუ რომელი გუნდი იქნება. მთავარია — ჩემპიონის ბეჭედი.

პიპენთან დაკავშირებით გაურკვევლობაა. კალათბურთელს ჰიუსტონში სურს დარჩენა, კლუბი კი, თითქოს, „ლეიკერსში“ უპირებს გაყიდვას.

„როკეტსს“ მოსწონს კლიპერსელი თავისუფალი აგენტი როდნი როჯერსი.

### სან ანტონიო სფურზი

თირკმლის დაავადების გამო შონ ელიოტი უეჭველად გამოტოვებს ამ სეზონს, რის გამოც „სფურზს“ ფრთის მოძებნა მოუწევს. „ნიუ ჯერსის“ სკოტ ბარელი შესაფერისი კაცია, მას შეუძლია წელიწადში 2 მილიონი იშოვოს.

### იუტა ჯაზი

იუტელთა „დიდი სამეული“ ხელუხლებელი დარჩება. თავისუფალი აგენტები კარლ მელოუნი, ჯონ სტოქტონი და ჯეფ ჰორნაჩეკი ძალიან მალე გააფორმებენ ახალ კონტრაქტებს ძველ გუნდთან.

„ჯაზის“ აზრი ემთხვევა ჩარლზ ბარკლის და დეტლეფ შრემპფის აზრს. ამიტომაც არ არის გამორიცხული, რომ აღნიშნულმა კალათბურთელებმა მომავალი სეზონი ამ გუნდში დაიწყონ.

„იუტა“ უკმაყოფილოა თავის ცენტრით გრეგ ოსტერტაგით და „ნიუ ჯერსის“ რუმინელი გეორგ მურეშანის შესახებ ჩამოუგდო სიტყვა.

## წყნარი ოკეანის დივიზიონი

### სიეტლ სუპერსონიქსი

მთელ სიეტლს აბოდებს მიჩ რიჩმონდზე. იმდენად, რომ გუნდის გამთამაშებელი გერი პეიტონი ყოველდღე ტვინს უღებს ხელმძღვანელობას — ეგ კაცი შეიძინეთო. ხოლო რასაც პეიტონი ამოიჩემებს, „სიეტლი“ იმას ასრულებს. ამბობენ, „სიეტლი“ ჰერსი ჰოკინსსა და ჰორას გრანტს შესთავაზებს „ვაშინგტონს“.

ფორვარდ ვინ ბეიკერს „სიეტლთან“ კონტრაქტის განახლება სურს. თუმცა „ბოსტონ სელტიქსს“ ბეიკერზე გული შეუვარდა და მის გაჯასაყვანად არც ანტუან უოლკერს დაიშურებს. დეტლეფ შრემპფი, ალბათ, გუნდიდან წავა, რადგან ხელფასად შეთავაზებული ერთი მილიონი დოლარი ეცოტავება. მის შემცვლელად ჩარლზ ბარკლის განიხილავენ, თუმცა ამაზე ბარკლის აზრი უცნობია.

თუკი რიჩმონდს ვერ დაისაკუთრებს, მაშინ „სიეტლი“ საკრამენტოელი თავისუფალი აგენტის ვერნონ მაქსველის დათრევას შეეცდება.

### ლოს ანჯელეს კლიპერსი

იყო ლაპარაკი პენი ჰარდევეიზე, მაგრამ ეს კაცი შეიძლება ქალაქის მეორე ბოლოში, „ლეიკერსში“ აღმოჩნდეს. „კლიპერსი“ საკუთარი თავისუფალი აგენტების — მორის ტეილორის, შერმან დუგლასის და დერიკ მარტინის შენარჩუნებაზე ზრუნავს.

### ლოს ანჯელეს ლეიკერსი

კვლავ ითამაშებენ პენი ჰარდევეი და შაკილ ონილი ერთად? ლოსანჯელესელებს მტკიცედ გადაუწყვეტიათ ჰარდევეის გადაყვანა, მის სანაცვლოდ გლენ რაისს და დერიკ ფიშერს სთავაზობენ „ორლანდოს“.

ჰარდევეიზე როდი მთავრდება „ლეიკერსის“ „ვარსკვლავური ავადმყოფობა“. მართალია, სკოტი პიპენ-გლენ რაისის გაცვლა ჩაშალა, მაგრამ მწვრთნელ ფილ ჯეკსონს ძალიან უნდა პიპენის, „ჰიუსტონის“ თავისუფალი აგენტის თავის გუნდში ხილვა. ამასობაში ჩარლზ ბარკლიმაც თქვა „ლეიკერსი“ ჩემი შესაფერისი გუნდიაო.

თუკი „ლეიკერსს“ პიპენის და ჰარდევეის საქმე ჩაეშლება, მაშინ მიჩ რიჩმონდზე ინადირებს.

### გოლდენ სტეიტ ვორიორზი

უმთავრეს ამოცანად მიჩ რიჩმონდის გადმოყვანა დაუსახავთ.

### პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი

რეალური ვარიანტი: აიზია რაიდერი და კელვინ კატო (ან ჯიმ ჯექსონი) — „ატლანტაში“, იქიდან კი სტივ სმიტი. გუნდი დიდ ძალას შეალევს ფორვარდ ჯერმენ ონილის შენარჩუნებას.

### ფინიქს სანზი

ჰენი ჰარდევეი ამათაც სურდათ და სანაცვლოდ დენი მენიგსა და ჰეტ გერიტის იძლეოდნენ. „ორლანდომ“ ესენი იუარა და ტომ გულიოტა მოითხოვა. ეს ვარიანტი კი „ფინიქსმა“ იუარა.

### საკრამენტო კინგზი

ერთ დროს „საკრამენტომ“ მიჩ რიჩმონდი „ვაშინგტონში“ გაუშვა, იქიდან კი კრის ვებერი მიიღო. ამჟამად „კინგზს“ ამ ორი ვარსკვლავის ერთად შეყრა გადაუწყვეტიათ. ერთი სიტყვით, ისინიც ჩაებნენ რიჩმონდისთვის რბოლაში.

# სლოვანმა ბოისა ითხოვა...

**ვლადიმერ ბოისას** ვარაუდი გამართლდა. ამბობდა საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების თავდამსხმელი, „ოლიმპია“ ახლა „სლოვანში“ განათხოვრებას მიპირებს და მომავალ სეზონში, ალბათ, იქ ვითამაშებო.

თბილისში გატარებული შვებულების შემდეგ ბოისა სლოვენიაში ჩავიდა, „ოლიმპიას“ ხელმძღვანელობას ესაუბრა და...

— გადაწყვეტილი ამბავია, სულ ცოტა, ერთი წლით „სლოვანში“ ვიქნები. მე და კიდევ ერთი ლეგიონერი, მალელი ცენტრი ამიერიდან ტომო მახოროვიჩის ხელმძღვანელობით ვივარჯიშებთ. მახოროვიჩს კარგად ვიცნობ, „ოლიმპიაში“ დამხმარე მწვრთნელად მუშაობდა, სულ ახლახან კი „სლოვანს“ ჩაუდგა სათავეში.

ორი დღეა, რაც გუნდი ვარჯიშს შეუდგა. თავიდან ორჯერად წვრთნას გავდივართ. დილაობით ფიზიკურად ვგტვირთავენ, საღამოს კი თეორიულად ვემზადებით.

ჩემპიონატი სექტემბერში დაიწყება. ორშაბათს კი შეკრებაზე მივემზგავრებით. აქვე, ახლომახლო მთებში მივდივართ, ძირითად დატვირთვებსაც სწორედ იქ მივიღებთ — გვითხრა გუშინ ვლადიმერ ბოისამ.

ვლადიმერ ბოისა

სარგბილის არქივიდან

# ...ცქიტიშვილს კი კონტრაქტს უფორმებს



ნიკა ცქიტიშვილი დღე-დღეზე სლოვანელი გახდება

გურამ ფირცხალავას ფოტო

**კალმტ** კალათბურთელთა ნაკრების მწვრთნელმა ნუგზარ ჭეიშვილმა კი გვითხრა, კეიდია, ცქიტიშვილი და უგრეხელიძე სლოვენიაში დარჩნენო, მაგრამ ჭეიშვილმა ზუსტად ვერც ჩვენებურთა მოსურნე კლუბის ვინაობა დაგვისახელა და საკონტრაქტო პირობებზეც წარმოდგენა არ მაქვსო, გვიპასუხა.

ისღა დაგვრჩენოდა, სლოვენიაში ვლადიმერ ბოისას დავკავშირებოდით და ქართველ თექვსმეტწლამდელთა ავან-ჩავანიც მისგან გაგვეგო. ვოვას უარი ნამდვილად არ უთქვამს. ეგ კი არა, მათი საცხოვრებლის ტელეფონის ნომერსაც დაგვპირდა და აასრულა კიდეც.

სლოვენიელებს ქართველები ლუბლიანაში, ერთერთ სასტუმროში დაუბინავებიათ და დაუბარებიათ, სამი დღე თავისუფლები ხართ, რაც გინდათ, ის აკეთეთ, დათქმულ დღეს კი „სლოვანში“ ვარჯიშზე გამოცხადდითო.

ბიჭებსაც ის დღეები ზღვის სანაპიროზე უნებივრიათ და გუშინწინ პირველად შეუღიათ „სლოვანის “ საწვრთნელი ბაზის კარი.

„სამივე მათგანმა „სლოვანის“ დიდ გუნდთან ერთად ივარჯიშა“ — გვითხრა ნიკა ცქიტიშვილის დედამ, რომელსაც გუშინ სლოვენიური სასტუმროს ნომერში დავუკავშირდით.

— კონტრაქტი ჯერჯერობით არც ერთს არ გაუფორმებია. კეიდიასა და უგრეხელიძეზე ვერაფერს გეტყვით, ისინი თავადვე აგვარებენ თავიანთ საქმეს, ის კი ვიცი, რომ ნიკა, ალბათ, „სლოვანში“ დარჩება და ოფიციალურად საბუთები 3-4 დღეში გაფორმდება. დასაზუსტებელი ერთი დეტალიღაა: სლოვენიელები ნიკას ოთხწლიან კონტრაქტს სთავაზობენ, ჩვენ კი ვცდილობთ, საშწლიანზე დავიყაბულოთ. სხვა მხრივ ყველაფერი წესრიგშია. მე ძალიან კმაყოფილი ვარ. კეიდიაც და უგრეხელიძეც თავს მშვენივრად გრძნობენ და ყველაფერი მათ მარიფათზე იქნება დამოკიდებული — ესეც ქალბატონი გულიკოს სიტყვებია.

**გიორგი ბიკაშვილი**

# ფასულასიც წავიდა

**ბერძნული** კალათბურთის ლეგენდამ, 36 წლის პანაიოტის ფასულასმა ათენის სასტუმრო „ლედრა მარიოტში“ ხალხი მოიწვია და აცნობა — კალათბურთიდან მივდივარო. „ყველაფერს აქვს დასასრული. მოედნის გარეთ თავს ახალგაზრდად ვგრძნობ, მოედანზე კი ვხვდები, რომ მოვხუცდი. დღეს ბერძნულ კალათბურთში საქმე გაციცებით ახალგაზრდა მოთამაშეებმა უნდა აკეთონ“ — თქვა გამოსამშვიდობებელ სიტყვაში ფასულასმა.

ცერემონიაზე ბევრი პატივცემული გვარი მიბრძანდა, მათ შორის ათენის „ოლიმპიაკოსის“ პრეზიდენტი სოკრატის კოკალისი, საბერძნეთის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გეორგიოს ვასილაკოპულოსი. იქვე იყვნენ საბერძნეთის ნაკრების ყოფილი წევრები, რომლებმაც ფასულასთან ერთად ევროპის 1987 წლის ჩემპიონატი მოიგეს: იანაკისი, ხრისტოდულუ, რომანიდისი, ფილიპუ. დიადმა ნიკოს გალისმა, რომელიც სალონიკში ცხოვრობს, ამ ღონისძიებაზე ჩასვლა ვერ მოახერხა, სამაგიეროდ ყოფილ თანაგუნდელს მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა.

ფასულასმა თქვა, კალათბურთიდან როგორც მოთამაშე მივდივარ, თორემ ამ საქმის გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენიაო. სავარაუდოდ, პანაიოტისი „ოლიმპიაკოსის“ ადმინისტრაციაში დაიწყებს მუშაობას.

ასეთი იყო პანაიოტის ფასულასი მოედანზე

სარგბილის არქივიდან



# ამიერიდან ასოციაცია

## ქართული ხელბურთი 12 სექტემბერს გამოიცდება

**გუშინ საქართველოს ხელბურთის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა გაიმართა. სპორტის დეპარტამენტის სხდომათა დარბაზში შეკრებილმა დელეგატებმა ჯერ 1996-99 წლებში ფედერაციის აღმასკომის მიერ გაწეული მუშაობა შეაფასეს დადებითად, მერე ნაკრების მთავარ მწვრთნელ ზაზა დოლიძეს მოუსმინეს, ბოლოს კი წესდებაში ცვლილებები შეიტანეს**

ზაზა დოლიძე

პაპლო ძიძიგურის ფოტო

**პირველი** საკითხის განხილვისას მომხსენებელმა, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ალექსანდრე კიკაბიძემ ის დრო გაიხსენა, როცა ჩვენი ფედერაცია ევროპის ხელბურთის კავშირისაგან როგორღაც გარიყულად იდგა (სხვადასხვა მიზეზთა გამო), რისთვისაც გვარიანი ჯარიმის (ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპიდან მოხსნად რომ დაუჯდა) გადახდაც დაეკისრათ. ფედერაციის მუშაობა დღეს ამ მხრივ სრულად გარდაიქმნა. პირველ ყოვლისა, მოწესრიგდა ელექტრონული კავშირი და ახლა მარტო ფაქსის გადასახადი ლამის ცერცვაძე და მამუკა სხირელი დაამტკიცა, გენმდივნად — თამაზ თევზაძე, ხაზინადარად — ზურაბ კეკელიძე.

ჩვენთვის ყველაზე საინტერესო მაინც ზაზა დოლიძის სიტყვა იყო, რომელიც მთლიანად ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრების გამოსვლას ეხებოდა. მან მოკლედ მიმოიხილა ნაკრების მიერ განვლილი გზა და ბოლოს დანიასთან გასამართ საპლეიოფო მატჩებზე შეჩერდა. ჩვენები მეტოქეს 12 სექტემბერს თბილისში უმასპინძლებენ, 18 ან 19 სექტემბერს კი თავად ითამაშებენ ტვირთად დაწვეს ფედერაციას. მორჩილი ბავშვივით აღარც ევროპის ხელბურთის კავშირის საჭირბოროტო სხდომებს აკლდება ვინმე. ამათაც, თქვენ რა კარგები ყოფილხართო და პირდაპირ გულში ჩაიხუტეს — შეუძინეს ბურთები, ფორმები, ხელოვნურსაფარიანი მოედანი, ინვენტარი... სულ მალე მწვრთნელები — ამბერკი ტაბიძე და ვახტანგ ბერიაშვილი ფარერის კუნძულებზე წავლენ იქაური კლუბების გასაწვრთნელად. ესეც ფედერაციის დამსახურებაა.

მაგრამ უმთავრესი სიახლე მაინც ისაა, რომ ამიერიდან ფედერაციის ასოციაცია ეწოდება. მოხდა სტრუქტურული ცვლილებებიც — აღმასკომის ნაცვლად შეიქმნა მთავარი კომიტეტი და პრეზიდიუმი, შემცირდა კომისიების რაოდენობა. პრეზიდიუმის შემადგენლობაში იჭრებიან პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტები, გენმდივანი, ხაზინადარი და საგანგებოდ არჩეული ხუთი წევრი. პრეზიდიუმი სრული შემადგენლობით შედის მთავარ კომიტეტში, სადაც მათ ემატებათ რეგიონალური კავშირების ხელმძღვანელები. სწორედ მთავარი კომიტეტი წარმართავს ასოციაციის მუშაობას ყრილობებს შორის პერიოდში. ნაკრებების მწვრთნელთა დანიშვნა-მოხსნაც ამიერიდან მისი საქმეა. ყრილობამ პრეზიდენტად კვლავ თენგიზ გაზდელიანი აირჩია, ვიცე-პრეზიდენტებად კი ალექსანდრე კიკაბიძე, ჯემალ დანიაში. მწვრთნელმა მოსამზადებელ ეტაპზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ეგვიპტეში, ხელბურთელთა ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე მისი მივლინებით კარგი საქმე გაკეთდა. იქ ის პირადად დაესწრო მომავალი მეტოქის სამ თამაშს, ოთხიც ვიდეოფირზე იხილა და პლეი ოფის ძნელ მატჩებს „ხელდამშვენებული“ ხვდება.

ყრილობაზე საინტერესო წინადადებით გამოვიდა შსს-ს სამედიცინო სამსახურის უფროსი ვია აბესაძე. მან უფასო მკურნალობა და შეკრებები აღუთქვა ევროტურნირებში მონაწილე ქალთა და ვაჟთა გუნდებს. აბესაძემ აღნიშნა, რომ მის სამსახურს ბაზალეთის ტბაზე ორი სპორტული კომპლექსი აქვს და ფედერაციას შესთავაზა, იქ ხელბურთელთა ბაზა მოაწყოს. ამ წინადადებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. ისიც ითქვა, რომ ბათუმში მოეწყო კარგი დარბაზი, სადაც საქართველოს ჩემპიონატის ტურების გამართვაც შეიძლება. აქამდე მატჩები მხოლოდ თელავსა და თბილისში ტარდებოდა, ახლა კი გეოგრაფიული არეალის გაფართოებაც შესაძლებელია. ეს კი იმ რეგიონში ხელბურთის პოპულარიზაციის კარგი საშუალებაა.

ისიც აღინიშნა, რომ ნაკრების მნიშვნელოვან მატჩებს რეკლამა აკლია, რაც თამაშებზე მაყურებლის სიმცირის მიზეზად დასახელდა. ამ საქმისთვის პრესცენტრის შექმნა გადაწყდა.

რეგიონების წარმომადგენლებმა დახმარება ითხოვეს. აწ უკვე ასოციაციის პრეზიდიუმმა თქვენ-გაზდელიანმა აუცილებლად მიიჩნია რეგიონებთან ახლო ურთიერთობა ლომაურება და ამ საქმე კიკაბიძეს დაავალა.

ამით ყრილობამ მუშაობა დაამთავრა, ჩვენ კი ზაზა დოლიძეს გავესაუბრეთ. ის ნაკრებთან ერთად გუშინ, დილაადრიან ჩამოფრინდა კრასნოდარიდან, სადაც ხელბურთელთა საერთაშორისო ტურნირში ჩატარდა. ჩვენც, უპირველესად, ბატონ ზაზას ამ შეჯიბრზე ჩამოვუგდეთ სიტყვა.

— ამ ტურნირში ასპარეზობდნენ რუსეთის ჩემპიონი „კაუსტიკი“, მოსკოვის ცსკა, რუსეთის ახალგაზრდული ნაკრები, უკრაინისა და ბელარუსის გუნდები. იქ წასვლამდე ორი კვირა ფიზმომზადებაში გავდიოდით შეკრებას იური სტადუხინის ხელმძღვანელობით. ბურთთან მხოლოდ სამი დღე ვივარჯიშეთ. ბიჭებს სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობა ეტყობოდათ. სამი შეხვედრა წავაგეთ, ერთი მოვიგეთ და ერთიც ფრედ დავამთავრეთ. თუმცა ამას ველოდით კიდეც. თან, გუნდში ახალგაზრდებიც გვყავდა. საერთო ჯამში თამაშის ხარისხით კმაყოფილი ვარ.

**— ახალწვეულები როგორ გამოიყურებოდნენ?**

— ქობულაშვილი, გვაზავა და ფერაძე გამოცადეთ. მათ ურიგოდ არ უთამაშიათ და მჯერა, სექტემბრის მნიშვნელოვან მატჩებს კარგ ფორმაში შეხვდებიან.

**— კრასნოდარში ვეტერანი მეკარის ირაკლი კენჭაძის წაყვანასაც აპირებდით.**

— კენჭაძე თითქმის ყველა შეხვედრის მეორე ტაიმში ვათამაშეთ. ის გამოცდილი ხელბურთელია და დანიასთან შეხვედრებშიც დაგვეხმარება.

**— სათამაშო რგოლებზე რას იტყვით?**

— ტიტე კალანდაძე ტურნირის ბომბარდირი გახდა, ლევან გელაშვილმა და სერგო დათუკიშვილმა ტრავმა მოირჩინეს. მათ ასევე ტრავმამოშუშებული გარი თურქია დაემატება. ყველა მათგანი სრული დატვირთვით ვარჯიშობს და თავსაც არ შეირცხვენენ.

დაცვის ხაზში შეცდომები კი შეიმჩნევა, მაგრამ მათი გამოსწორება ვარჯიშით შეიძლება.

**— ამას სლოვაკებთან მატჩის მერეც ხომ დაგვპირდით?**

— უკვე გვაქვს მონახაზი, რაც დაცვაში ცვლილებებს ითვალისწინებს. დანიელებთან თამაშისთვის ყველაფერი გამოსწორდება.

**— ზემოთ ბრძანეთ, ბურთთან ცოტა ვივარჯიშეთ და ეს ბიჭებს ეტყობოდათო. ეს მზადების პროცესის არასწორ დაგეგმვას ხომ არ ნიშნავს?**

— კრასნოდარში შედეგზე მეტად ხარვეზების დანახვა მაინტერესებდა. ამ მხრივ ტურნირმა გაამართლა. მან ისიც გამოაჩინა, რომ თავდასხმის ხაზი კარგადაა შეთამაშებული. წინ კიდევ მოსამზადებელი ეტაპია, რომელიც ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში დაგვეხმარება.

**— მოსამზადებელ ეტაპზე ცალკე მინდა გკითხოთ.**

— ორშაბათიდან გუნდი თბილისში ათდღიან შეკრებას გაივლის ფიზმომზადებაში. 15-ისთვის იტალიაში წავალთ. იქ ტიტე კალანდაძის კლუბ „ტრიესტთან“ რამდენიმე შეხვედრას გავმართავთ. 23-ში დავბრუნდებით, ბოლო 27-ში კვიპროსში გავფრინდებით, სადაც მეორე დღეს „სტუ-შევარდენი“ ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო მატჩში მათ ჩემპიონს შეხვდება. მერე განმეორებითი თამაშია, რასაც დანიელებთან შეხვედრა მოჰყვება.

**ირაკლი თავაძე**

# მიკას წყალი შეუდგა



ედი ირვინი წლეულს საუკეთესო სეზონს ატარებს

## ირვინმა აიწყვიტა

ფორმულა 1-ის წლევანდელ ჩემპიონატს თითქმის ყოველი ეტაპი საინტერესო სტატისტიკური სიახლეებით ამდიდრებს, უმეტესად პილოტთა თუ გუნდების წარმატებების მაჩვენებლებით, თუმცა ხანდახან პირიქით — წარუმატებლობანიც აღინუსხება.

გერმანელ მიხაელ შუმახერის ბრწყინვალე რვაწლიან კარიერაში ხვალინდელი რბოლა პირველი „მშობლიური" დიდი პრიზი იქნება, რომელშიც ის ვერ იასპარეზებს. გასულ კვირას გამართული ავსტრიის დიდი პრიზიც ასევე პირველი იყო შუმისთვის, რომელიც მან 126 რბოლის შემდეგ გამოტოვა ავარიის მიზეზით. სამი კვირის წინ „სილვერსტოუნის" ტრასაზე ფეხმოტეხილი პილოტისთვის წლევანდელი სეზონი პრაქტიკულად უკვე დასრულდა. რომც შეძლოს მალე გამოჯანმრთელება და ორ-სამ ეტაპზე გამოსვლა, სატურნირო ცხრილში ეს უკვე ველარაფერს შეცვლის და მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს, ალბათ, ზედიზედ მეორედ დაეუფლება ფინელი მიკა ჰაკინენი. ტრიუმფატორი იქნებ შუმახერის თანაგუნდელი ედი ირვინიც კი გახდეს, თუმცა ეს ნაკლებად სავარაუდოა. 33 წლის მრბოლი, რომელსაც აქამდე შუმი ჩრდილავდა და სათვალავშიც არავინ აგდებდა, მოულოდნელად „ფერარის" ლიდერად იქცა. ახლა, როცა გუნდის პირველი ნომერი გზას არ ულობავს, ირლანდიელს, ბუნებრივია, მადა გაეხსნა და უშუმახერო ორ რბოლაში მან დაამტკიცა კიდეც, რომ რაღაცის მაქნისია. მართლაც, ერთი მოგება და ერთი მეორე ადგილი მის მოჭარბებულ ამბიციებზე მეტყველებს. თუმცა არც იმის დაუნახაობა იქნება, რომ ირვინი, რომელიც თავის საუკეთესო სეზონს ატარებს „შუმის" ავარიამდეც ჩინებულად ასპარეზობდა. წლევანდელ ცხრა რბოლაში 2 გამარჯვება, 2 მეორე ადგილი, ერთიც მესამე და კიდევ სამ ეტაპზე მიღებული ჩასათვლელი ქულები — ერთობ შთამბეჭდავი მაჩვენებელია. ამ მხრივ, ესე იგი, სტაბილურობით, ჩემპიონი ჰაკინენი ნამდვილად ვერ დაიკვეხნის. მის აქტივში 6 შედეგიანი რბოლაა. მიკას „მაკლარენმა" სამჯერ ვერ მიაღწია ფინიშამდე. შედარებისთვის: მიკა შარშანაც სამჯერ გამოეთიშა რბოლას, თუმცა ეს მოხდა მთელ სეზონში, ამჯერად კი დისტანციის მხოლოდ ნახევარია გალეული.

ისიც სათქმელია, რომ გერმანიის დიდი პრიზი ბოლო ექვსი წელია, ზედიზედ ორჯერ არავის მოუგია. თუ ეს ტრადიცია ხვალაც არ დაირღვევა, ჰაკინენმა ლიდერობა შეიძლება ირვინს გადააბაროს. მათ შორის სხვაობა ხომ სულ რაღაც ორი ქულაა. მიკას გამარჯვების შემთხვევაში კი ჩემპიონის ვინაობა, ფაქტობრივად, უკვე გარკვეული იქნება.

## კულჰარდი მეტსაც აპირებს

ჰაკინენის თანაგუნდელმა, 28 წლის დევიდ კულჰარდმა ავსტრიაში დაკავებული მეორე ადგილით თავის მონაგარს 6 ქულა შემატა და მეტად პრესტიჟულ „200-იანთა კლუბში" შეაბიჯა. ფორმულის ნახევარსაუკუნოვან ისტორიაში 200-ზე მეტი ქულის დაგროვება მხოლოდ 25 პილოტმა შეძლო. დევიდმა თავისი გუნდის შემქმნელს, 1970 წელს დაღუპულ ახალზელანდიელ მრბოლს, ბრუს მაკლარენსაც გაასწრო, რომელსაც სულ ქულანახევარი დააკლდა ამ ზღვრამდე.

კიდევ 25 პილოტის აქტივში 100 ქულაზე მეტია. 100-იანთა კლუბის 50-ე წევრი წლეულს გახდა ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი, რომელიც სადღეისოდ 117 ქულით 44-ეა. ირვინი 37-ეა 141 ქულით, ხოლო 1997 წლის ჩემპიონი ჟაკ ვილნევი — 31-ე (180 ქულა).

ორიოდ სიტყვით კულჰარდის კარიერის შესახებ. იგი ფორმულის სტარტზე პირველად 1994 წლის მე-5 რბოლაში გამოვიდა, მას შემდეგ, რაც ფრენკ უილიამსმა თავის გუნდში ტრაგიკულად დაღუპული აირტონ სენას ადგილი ანდო. ეს ფატალური შემთხვევა რომ არა, დევიდს მთელი სეზონი სათადარიგოთა სკამზე ჯდომა არ ასცდებოდა.

აყლაყუდა შოტლანდიელს, რომელიც ფორმულის პილოტთაგან თითქმის ყველაზე მაღალია (182 სმ), ურიგო შედეგები როდი ჩამოეთვლება — ხუთი დიდი პრიზი მოუგია (პორტუგალია, იტალია, სან მარინო, ავსტრალია, დიდი ბრიტანეთი) და სამჯერ გამხდარა ჩემპიონატის მესამე პრიზიორი 1995, 97, 98 წლებში.

კულჰარდი საშუალოდ ყოველ რბოლაში 2,4 ქულას აგროვებს და ამ მაჩვენებლით სჯობნის კიდეც ჰაკინენის შედეგს — 2,2.

**ირაკლი ნიჟოლაძე**

ФОРМУЛА 1

დევიდ კულჰარდი და მისი მეგობარი ქალი, ამერიკელი ფოტომოდელი ჰაიდი ვიჩლინსკი, რომელიც დევიდმა ფორმულა 1-ის ექსპილოტ მაქს პაპისს წაჰგვარა

### 200-იანთა კლუბი

| | ქულა | რბოლა | მოგება |
|---|---|---|---|
| 1. ალენ პროსტი (საფრანგეთი) | 798,5 | 199 | 51 |
| 2. აირტონ სენა (ბრაზილია) | 614 | 161 | 41 |
| 3. მიხაელ შუმახერი (გერმანია) | 558 | 126 | 35 |
| 4. ნელსონ პიკე (ბრაზილია) | 485,5 | 204 | 23 |
| 5. ნაიჯელ მენსელი (დიდი ბრიტანეთი) | 482 | 187 | 31 |
| 6. ნიკი ლაუდა (ავსტრია) | 420,5 | 171 | 25 |
| 7. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია) | 385 | 210 | 10 |
| 8. ჯეკი სტიუარტი (დიდი ბრიტანეთი) | 360 | 99 | 27 |
| 9. დეიმონ ჰილი (დიდი ბრიტანეთი) | 358 | 108 | 22 |
| 10. კარლოს რუტმანი (არგენტინა) | 310 | 146 | 12 |
| 11. გრეჰემ ჰილი (დიდი ბრიტანეთი) | 289 | 176 | 14 |
| 12. ემერსონ ფიტიპალდი (ბრაზილია) | 281 | 144 | 14 |
| 13. რიკარდო პატრეზე (იტალია) | 281 | 256 | 6 |
| 14. ხუან-მანუელ ფანხიო (არგენტინა) | 277,5 | 51 | 24 |
| 15. ჯიმ კლარკი (დიდი ბრიტანეთი) | 274 | 72 | 25 |
| 16. მიკა ჰაკინენი (ფინეთი) | 262 | 121 | 12 |
| 17. ჯეკ ბრებჰემი (ავსტრალია) | 261 | 126 | 14 |
| 18. ჯოდი შექტერი (სამხრეთ აფრიკა) | 259 | 112 | 10 |
| 19. დენი ჰალმი (ახალი ზელანდია) | 248 | 112 | 8 |
| 20. ჟან ალეზი (საფრანგეთი) | 235 | 160 | 1 |
| 21. ჟაკ ლეფიტი (საფრანგეთი) | 228 | 176 | 6 |
| 22. კლეი რაგაცონი (შვეიცარია) | 212 | 132 | 5 |
| 23. ალან ჯონსი (ავსტრალია) | 206 | 116 | 12 |
| 24. რონი პეტერსონი (შვეცია) | 206 | 123 | 10 |
| 25. დევიდ კულჰარდი (დიდი ბრიტანეთი) | 201 | 83 | 5 |

**F1** მეათე ეტაპი — **გერმანიის დიდი პრიზი**

## ჰოკენჰაიმი

*ჰოკენჰაიმი, 1 აგვისტო*



**ტრასის სიგრძე** . . . . . . . . . . . . . . . **6.823 კმ**
**რბოლის დისტანცია** . . . . . . . . **45 წრე — 307.035 კმ**

*რბოლა დაიწყება ჩვენი დროით 17 საათზე*

### შარშანდელი შედეგები

1 ჰაკინენი (მაკლარენი); 2 კულჰარდი (მაკლარენი) 3 ვილნევი (უილიამსი); 4 ჰილი (ჯორდანი); 5 მ. შუმახერი (ფერარი); 6 რ. შუმახერი (ჯორდანი)

**კვალიფიკაცია** ჰაკინენი (მაკლარენი) 1:41.838

### წინა წლების გამარჯვებულები

1995 — ჰილი (უილიამსი); 1996 — ჰილი (უილიამსი); 1997 — ბერგერი (ბენეტონი); 1998 — ჰაკინენი (მაკლარენი)

### რეკორდები

**ტრასის რეკორდი** . . . . კულჰარდი (მაკლარენი) 1:46.211

# არ ენდოთ ბოსებს!

მსოფლიოს ჩემპიონატი კარგა ხანია გასცდა შუაწელს და ფინიშისკენ დაეშვა. დღეს და ხვალ ჰოკენჰაიმის ტრასაზე გერმანიის დიდი პრიზის გათამაშებაში ოცდაორი პილოტი კვლავ მიხაელ შუმახერის გარეშე შეუდგება ურთიერთობის გარკვევას.

„სილვერსტოუნის" ავარიის შემდეგ ჩემპიონატის სიუჟეტი, ცხადია, შეიცვალა. ჟურნალისტებს, სპეციალისტებს, ქომაგებს სულ ჰაკინენ-შუმახერი რომ ეკერათ პირზე, ახლა ჰაკინენ-ირვინის დუელი არ ასვენებთ.

„მაკლარენის" ბანაკში ავსტრიული კურიოზის შემდეგ (იქ კულჰარდმა სასტიკად დააზარალა თავისივე პარტნიორი მიკა), ბუნებრივია, მშვიდობიანი ვითარება ვერ იქნება. ხელმძღვანელობამ, როგორც ჩანს, აპატია კულჰარდს მაინცდამაინც თანაგუნდელთან ზომაგადასული აზარტი, მაგრამ ეს პირში წყლის ჩაგუბება, საფიქრებელია, დროებითია. უფრო სწორი იქნებოდა, რომ გვეთქვა: ჯერჯერობით აპატია. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მსგავსს კი არა, მიმსგავსებულ შემთხვევასაც კი ძალზე მკაცრი რეაგირება მოჰყვება. რა თქმა უნდა, „ზომების მიღება" ახლაც შეეძლოთ „მაკლარენის" ბოსებს, მაგრამ ისევ საკუთარ თავს გაუფრთხილდნენ — სეზონის ბოლომდე შვიდი რაუნდია დარჩენილი და ახალი და თანაც კარგი პილოტის მოძებნა, უბრალოდ, შეუძლებელი იქნებოდა. ჰაკინენი ალბათ პარტნიორის გარეშეც მშვენივრად მიხედავდა საქმეს, მაგრამ კონსტრუქტორთა თასის მოპოვება „მაკლარენისთვის" ერთობ საეჭვო გახდებოდა.

არანაკლებად აირია „ფერარის" საქმეებიც. ირვინი №1 პილოტად ალამაღლეს, რაც, მართალია, მისივე ოცნებაც იყო, მაგრამ შუა სეზონში ფუნქციების გადაკეთებ-გადმოკეთებამ სავსებით შესაძლებელია, ცუდი შედეგი გამოიღოს. გუნდში საავარიო სისწრაფით გამოძახებული სალოც ჯერჯერობით ბევრი ვერაფრით დაეხმარება „ფერარის" (იგულისხმება ქულების დაგროვება კონსტრუქტორთა თასისთვის). ავსტრიის რბოლაში გაფერარებულ მიკას თავი არ შეურცხვენია, საკმაოდ კარგად იარა და შესაძლოა, ეს პროგნოზი მცდარიც გამოდგეს, რადგან ამ პილოტს, სიმართლე უნდა ითქვას, არასდროს მისცემია კარგი ბოლიდით ასპარეზობის საშუალება. ვნახოთ...

ახლა, რაც შეეხება დღევანდელ კვალიფიკაციასა და ხვალინდელ რბოლას. კვალიფიკაცია მაკლარენებმა უნდა მოიგონ. მესამე პოზიცია კარგი შედეგი იქნება ირვინისთვის. სალოს ალბათ გაუჭირდება ექვსეულში მოხვედრა, მაგრამ თუ ეს შეძლო, შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ „ფერარი" არჩევანში არ შეცდა. რბოლა კი, თუ გავითვალისწინებთ პილოტების, მანქანებისა და ტრასის მონაცემებს, ასევე „მაკლარენის" გამარჯვებით უნდა დასრულდეს. ნებისმიერი „ფერარისთვის" მესამე ადგილი კარგი შედეგი იქნება. მაგრამ ჩვენდა სასიხარულოდ სპორტში თეორიული მსჯელობის საფუძველზე არ არიგებენ ტიტულებს. ამიტომ, როგორც ამბობენ, ალილო და ხვალეო.

**ირაკლი ბერიაშვილი**



REUTERS

მიკა სალო მოულოდნელად გაფერარელდა

# დეპარტამენტი „მერეზე“ მუშაობს

**როგორც** იქნა, თავისუფალი სტილით მოჭიდავე ჭაბუკებსაც მიეცათ მსოფლიოს ჩემპიონატზე წასვლის საშუალება. გუშინ ვწერდით, უფულო დეპარტამენტი ვერც მათ და ვერც ახალგაზრდათა ნაკრებებს მათთვის ამ უმნიშვნელოვანეს ტურნირზე ვერ უშვებსო. სპორტის მმართველ ამ ორგანიზაციას იქ გასაგზავნი თანხა არც დღეს გამოუყვია. უბრალოდ, შეპირდა, თუ თქვენი ხარჯით წახვალთ, მერე ვიშოვით და მოგცემთო. ნაკრების ხელმძღვანელობამ იცის, რომ ეს „მერე“ უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს (დეპარტამენტს ხომ მათთვის შარშანწინდელი ვალებიც კი არ გადაუხდია), მაგრამ მაინც ისესხა საჭირო თანხა, ერთი-ორი მოჭიდავის დაფინანსებაში სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივი“ დაეხმარა და მსოფლიოს ჩემპიონატზე შვიდი სპორტსმენით მაინც მიდიან. პოლონეთის ქალაქ ლობში 3-7 აგვისტოს იჭიდავებენ ამირან ელბაქიძე (46), ბესიკ გუჩაშვილი (50), თემურ ლობჟანიძე (63), მიხეილ ჩიქოვანი (69), შოთა ბოღოლაშვილი (76), მიხეილ ბაგაური (85) და ზვიად სისაური (მძიმე).

ამ ასაკის ჩვენი მოჭიდავენი შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამენი იყვნენ გუნდურ ჩათვლაში. წლეულს კი შესუსტებული შემადგენლობით გაცილებით მოკრძალებულ მიზანს ისახავენ.

**მირანდა ზედელაშვილი**



მარი-ჟო პერეკი




ემა ჯორჯი

# სეპილიისწინა ამბები

**უძველეს** ესპანურ ქალაქში 21 აგვისტოს მძლეოსნობაში მსოფლიოს VII ჩემპიონატი იწყება, ოლიმპიადის შემდეგ უმნიშვნელოვანესი შეჯიბრი და არის ერთი მზადება მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში. დავიწყოთ უკრაინით. უკვე გაირკვა ის 31 მძლეოსანი, რომლებიც ამ ქვეყნის სახელით ესპანეთში გამოვლენ. უკრაინელთა მთავარმა მწვრთნელმა ვალერი ალექსანდროვმა ამასწინათ ერთი ახალი ამბავიც თქვა, შეიძლება სევილიაში ლეგენდარულმა სერგეი ბუბკამაც იხტუნაოს თავის უღალატო ჭოკზეო.

„თუმცა ბუბკა რომ არ შეგვემატოს“ — დასძინა ალექსანდროვმა — „უმეტლოდ მაინც არ დავრჩებით. ბოლო ხანებში რიგ მძლეოსანთა ნაჩვენები შედეგები მეტად იმედისმომცემად გამოიყურება“.

ამასობაში ორწლიანი შესვენების შემდეგ სარბენ ბილიკებს სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ფრანგი მარი-ჟო პერეკი დაუბრუნდა. პერეკმა 1997 წელს ჯერ ტრავმა მიიღო, შემდეგ კი ისეთი ვირუსული დაავადება აიკიდა, ექიმებმა დღემდე ვერ დაადგინეს, რა იყო. ახლა კი პერეკი დაბრუნდა და ეს მოხდა შორს, ჩრდილოეთით, ფინურ ქალაქ ლახტში. ფრანგმა 200-მეტრიან დისტანციაზე ირბინა და მეორე ადგილზე გავიდა. თავად ლახტის ტურნირის ვარსკვლავებთან სულაც არ ეწყო დახუნძლული, ამიტომ მეორე ადგილი პერეკისთვის ვიდრე ეჭვგარეშე მიღწევა გახლდათ, მაგრამ ფრანგი თავის სიტყვა იყო მთავარი: „არც შედეგი, არც ტურნირის პრესტიჟულობა არ მაინტერესებს. მთავარია, რომ ისევ დავრბივარ“ — განაცხადა მან. მისი მენეჯერის თქმით, სევილიაზე ფიქრი ალბათ, უადგილო, მთელი ძალისხმევა სიდნეის 2000 წლის ოლიმპიადისკენ უნდა იქნეს მიმართული.

ახლა დონოვან ბეილის ამბავი, პანამერიკულ თამაშებზე რომ დააგვიანა. ვინიპეგში ხალხი შფოთავდა და ორგანიზატორებს უწყრებოდა, ბეილის ამხელა პლაკატები რომ გამოფინეთ, მაგას გირჩევნიათ, შეპირებული ცოცხალი ბეილი და მისი სირბილი გვიჩვენეთო. აქეთ ბეილის აგენტიც გაწყრა, დონოვანს კონტრაქტის მიხედვით სწორედაც მარტო თავისი იმიჯის გაქირავება ევალებოდა და ვინიპეგში ჩასვლაზე ლაპარაკიც არ ყოფილა, მით უმეტეს, დონოვან გასული წლის სექტემბერში რომ აქილევსის მყესი გაიწყვიტა, ჯერაც არ მოურჩენიაო. მოგეხსენებათ, ბეილი მაინც ჩავიდა ვინიპეგში, მისივე თქმით, მხოლოდ ხალხის და არა ორგანიზატორების გულისთვის და გუშინ 4X100 მეტრზეც კანადელთა გამარჯვებაში წილი დიდო. ფეხი კარგად იქცეოდაო, თქვა ბეილიმ და სევილიაშიც თავის იმედი მექნებაო.

თავისდა სამწუხაროდ, იგივეს ვერ იტყვის ავსტრალიელი ქალბატონი, ჭოკით ხტომაში მსოფლიოს რეკორდსმენი ემა ჯორჯი, რომელიც წვრთნის დროს უხეიროდ დაეშვა და ბუმბულოვანი საფარის ნაცვლად, რომელზეც წესით და რიგით უნდა დაცემულიყო, პირდაპირ მყარ ზედაპირზე მოადინა ტყაპანი. შედეგი: სისხლჩაქცევები და ვინის მსუბუქი შერყევა. ჯორჯი ზურგით დაცემულა და კიდევ კარგად გადარჩენილა, ხერემალი რომ არ მოუტეხია. სევილიაში მისი წასვლა სათუო გახდა, თუმცა მწვრთნელები და მენეჯერები იმედს არ კარგავენ.





# ყაზანში ჯერჯეროვით სიმშვიდეა

**ქალბატონებმა** მამაკაცებს დაასწრეს და ლას ვეგასის ვაჟკაცთა საჭადრაკო ეპოპეის დაწყებამდე ორიოდე დღით ადრე თავიანთი ფინალი დაიწყეს, ოღონდ ყაზანში არც 100 მოჭადრაკე თამაშობს და არც „ნოკაუტ-სისტემით“ იტკიეებენ თავს. თათრეთის დედაქალაქში ქალთა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს ორი პრეტენდენტი ეცილება ერთმანეთს — ჩინელი სიუ ჟუნი და რუსი ალისა გალიამოვა. მათი პირველი პარტია გვარიანი ჯაჯგურის მიუხედავად, მაინც მშვიდობიანად დასრულდა.

# სანთელ-საკმეველი დუგ უოლკერისთვის

**ევროპის** მრავალტანჯულ ჩემპიონს 200 მეტრზე რბენაში დუგ უოლკერს დოპინგის ხმარების ბრალდება მოუხსნეს.

ოთხშაბათს ბრიტანეთის მძლეოსნობის ფედერაციის სამკაციანმა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა, რომ 26 წლის სპორტსმენს შარშანდელი დეკემბრის ტესტისას აღმოჩენილი ანაბოლიკური სტეროიდი ნანდროლონი განზრახ არ უხმარია და არც იმის დამტკიცება სჭირდებოდა, საიდან მოხვდა ის მის ორგანიზმში.

„ამ გადაწყვეტილების მიღებისას ჩვენ ისიც გავითვალისწინეთ, რომ დუგის 1998-ის აგვისტოს და 1999-ის იანვრის ტესტებმა უარყოფითი შედეგი მოგვცა, ესე იგი, ის დოპინგს სისტემატურად არ ხმარობდა“ — განაცხადა ფედერაციის თავკაცმა დევიდ მურკრაფტმა.

თავად უოლკერმა ეს გასახარი ამბავი თავის დაბადების დღეზე, ოთხშაბათს, ედინბურგის სახლთან ახლოს მდებარე გოლფის მოედანზე გაიგო: „არ შემეძლო, შინ დავრჩენილიყავი და მეცადა, რა მოხდებოდა, ძალიან ვნერვიულობდი. ამ აურზაურმა საშინლად მომქანცა“.

უოლკერი, რომელიც სკანდალის ატეხიდან დღემდე თავის უდანაშაულობას ამტკიცებდა, გამართლების მიუხედავად წლეულს ასპარეზობას საერთოდ აღარ აპირებს.

„ეს ჩემი ღირსების საკითხია. არ მსურს, სარბენ ბილიკზე იმათ მაჯობონ, ვისაც, წესით, იოლად უნდა ვუგებდე“.

**ძახა არჯევანიძე**

REUTERS ლონდონიდან

დუგ უოლკერი






REUTERS სტამბოლიდან

დონალდ მირანდა და ნიკოლა მარკონი

# ჰოლანდიური სასწაული თურქეთში

**დასაწყისი პირველ გვერდზე**

პიტერმა 4X100 მეტრზე ესტაფეტაში თვისტომელებთან ერთად რომ გაიმარჯვა, მერე თავისი ინდივიდუალური ოსტატობის დემონსტრირებას შეუდგა — სამშაბათს ბატერფლაით 50-მეტრიანი დისტანცია მოიგო, ოთხშაბათს 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში თვით დიადი რუსი ალექსანდრ პოპოვი გააწბილა, გუშინ კი 200 მეტრზე ამავე სტილით ცურვისას პირველი ადგილი ხომ დაიკავა, კინაღამ მსოფლიოს რეკორდიც გაუუჯობესა.

მეორე ადგილზე გასული მანამდელი ევროპის ჩემპიონი პოლ პალმერი ჰოლანდიელს მთელი წამით ჩამორჩა, მესამე კი იტალიელი მასიმილიანო როსოლინო იყო. მსოფლიოსი არა, მაგრამ ევროპის რეკორდი გუშინ სტამბოლში მაინც დამყარდა — იგი ეკუთვნის ჩვენი წერილის გმირის თანამემამულე ქალბატონს ინგე დე ბრიუინს, რომელმაც წინა დღის საკუთარივე შედეგი გაუუჯობესა. 50 მეტრზე ბრასით ფავორიტად ბრიტანელ სიუ ბეიკერს თვლიდნენ, რომელმაც ოთხშაბათს ნახევარფინალში ევროპის რეკორდი დაამყარა, მაგრამ სიუმ ფინალში ვეღარ ივარგა და თუმც რეკორდის ავტორობა შეინარჩუნა, პირველობა უნგრელ აგნეს კოვაჩს დაუთმო. მესამე ადგილზე გერმანელი იანე შაფერი გავიდა.

ახლა გულალმა ცურვაზე. ცაში მზერააპყრობილი ქალბატონები გუშინ 100-მეტრიან დისტანციაზე პაექრობდნენ და აქ როგორც იქნა, გაიხარა გერმანელმა სანდრა ფოლკერმა, ოთხშაბათს თავისუფალ სტილით ოქროს დაკარგვით რომ იყო დამწუხრებული. მომდევნო ადგილები „რენეგატებს“ ერგოთ: ესპანელადმოქცეულ რუსს ეივანევსკაიას და გაფრანგებულ რუმინელს მარაჩინუს.

გათამაშდა მედლების კომპლექტი 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. უკრაინელი იგორ სნიტკო თავიდანვე რომ წინ გაიჭრა, ფინიშამდე სულმოუთქმელად იცურა; რუმინელი დრაგან კომანი მეორე იყო, ფრანგი სილვიენ კროსი — მესამე.

წერილის ბოლოს ტრამპლინიდან მხტომელ ვაჟებზე. 3-მეტრიანი ტრამპლინიდან სინქრონულ ხტომაში სწორუპოვარი იტალიური დუეტი მირანდა-მარკონი გამოდგა; გერმანელებს შლეპსა-მეშის მეორე ადგილი ერგოთ, ბრინჯაო კი ინგლისელებმა ალიმ და შიპმენმა შეირგეს.

**დავით გულუა**



REUTERS ვინიპეგიდან

# მოგველანდები არა...

*ხოსე ფერნანდესი, კუბის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი განრისხებულია: ბოლო კვირის მანძილზე მისი სამწყოს სამმა წევრმა ულალატა დიადი ფიდელის გზას და იმპერიალისტურ-მილიტარისტულ, აშშ-ში პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვა. სენიორ ფერნანდესი ყველაფერში ამერიკულ „ხუნტას“ ადანაშაულებს და, ღამით აი, ასე, მოგელანდებითო, ემუქრება თავდახსნილებს.*

| ნორვეგია | ჩეხეთი |
|---|---|
| XVII ტური | I ტური |
| რუსენბორგი 4:1 კონგსვინგერი | სპარტა 2:1 ვიკტორია |

# ლომი ლომთან

ტრაფალგარის მოედანზე ლომის ქანდაკებას მიბჯენილი ეს ჯეელი „სუპერბაიკის“ მოტორბოლის ლომი და მსოფლიოს ჩემპიონი კარლ ფოგერტია. ინგლისელი მრბოლი ნლეულს ისე წარმატებით ვეღარ ასპარეზობს და ბევრს ეგონა, გუნდსაც გამოიცვლიდა, მაგრამ ფოგერტიმ ისევ „დუკატიში“ დარჩენა არჩია — ხან დრონი მეფობენ, ხანაც მეფენიო...



REUTERS ლონდონიდან

## ჯასპაროვი — მსოფლიო

1. e2-e4 c7-c5 2. ♘g1-f3 d7-d6 3. ♗f1-b5+ ♔c8-d7 4. ♗b5:d7+ ♕d8:d7 5. c2-c4 ♞b8-c6 6. ♞b1-c3 ♞g8-f6 7. 0-0 g7-g6 8. d2-d4 c5:d4 9. ♞f3-d4 ♗g7 10. ♞d4-e2 ♕d7-e6 11. ♞c3-d5 ♕e6:e4 12. ♞d5-c7+ ♔e8-d7 13. ♞c7:a8 ♕e4:c4 14. ♞a8-b6+ a7:b6 15. ♞b1-c3 ♖h8-a8 16. a2-a4 ♞f6-e4 17. ♞c3:e4 ♕c4:e4 18. ♕d1-b3 f7-f5 19. ♔c1-g5 ♕e4-b4 20. ♕b6-f7 ♔g7-e5



# როგორ დავაბანდოთ მილიონები

„ტურ დე ფრანსის“ მომგები და სიმსივნის დამმარცხებელი ველომრბოლი ლანს არმსტრონგი ამჟამად მსოფლიოს უპოპულარულესი სპორტსმენია. იქეთ CNN-თან პირდაპირი ტელეპრესკონფერენციაო, აქეთ უამრავ გადაცემასა და სარეკლამო აქციებში მონაწილეობაო. გუშინ დილით კი ლანსი ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე დაპატიჟეს და პერსონალურ ექსკურსიაზე გამოჩენილი ბროკერებიც აახლეს — ოფლით ნაშოვნ მილიონებს ხომ მალე სარფიანად დაბანდებაც დასჭირდება.



REUTERS ნიუ იორკიდან

# ედი, ეგ არის შენი ბედი

მიხაელ შუმახერის უღელში კისრის გაყოფა და მილიონობით გულშემატკივრის იმედების გამართლება იოლი რომ არ ყოფილა, „ფერარის“ მრბოლი ედი ირვინი ბოლო ორი კვირის მანძილზე შესანიშნავად დარწმუნდა. ამხელა ზეწოლის გამო ღამეები თითქმის აღარ მძინავსო, წუწუნებს ედი და პრესკონფერენციებზე თავის ნათქვამს მადიანი მთქნარებით ადასტურებს.



REUTERS ვინიპეგიდან

# სხეულები უპირველეს ყოვლისა

*სპორტის ნირგვარ სახეობათა რიცხვს ვინიპეგში მიმდინარე XIII პანამერიკულ თამაშებზე ჰლაჟის ფრენბურთიც მიემატა. სადაც ოქრო-ვერცხლი გორგოლაჭებით სირბილში, ჰოკეისა და ათას სხვა სახეობაში ჩამოარიგეს, ამან რალა დააშავაო — მით უმეტეს, ქვიშაში გაგორებული ჯანმრთელი სხეულის ხილვას აბა, რა სჯობია. სურათებზე კი კანადელი ჯენიფერ ჰარკნესისა და ამერიკელი ელიზაბეტ პაგანოს (მარცხნივ) ნახტომებია აღბეჭდილი.*

REUTERS ვინიპეგიდან


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი** ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილეები** ილია ბაბუნაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი** ვახტანგ ბზიკაძე
**ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი** სოსო კოტორაიშვილი
**ტექნიკური რედაქტორი** გურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე** მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
**უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
**საფოსტო მისამართი:** თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
**ელექტრონული ფოსტა** sarbieli@iberiapac.ge
**ელექტრონული ვერსია** http://www.opentext.org.ge/sarbieli